



ქართული პოლიტიკა

GEORGIAN POLITICS

საქართველოს აზრადი პოლიტიკის აქტუალური პრობლემები



#4 2015



1131346788667



WWW.GEORGIANPOLITICS.COM



**გამომცემელი: ქიური გარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკის
და მედიის სადოქტორო სკოლა**

E ISSN 1987-8605

ქართული პოლიტიკა

სამეცნიერო ჟურნალი

საქართველოს აგრარული პოლიტიკის ექსპერტული პროგნოზები

თბილისი
2015 წელი

მთავარი სარედაქციო საბჭო

როინ მეტრეველი – პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, თავმჯდომარე

გურამ ალექსიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ლევან ალექსიძე – საქართველოს პოლიტიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

დავით ბაქრაძე – საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი

ნინო ბურჯანაძე – პოლიტიკური პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ თავმჯდომარე

ფრიდონ თოდუა – პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი - მდივანი

გიორგი თოფაძე – პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის ფრაქციის თავმჯდომარე.

ვლადიმერ პაპავა – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

გუბაზ სანიკიძე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

არჩილ ფრანგიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი

თედო ჯაფარიძე – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე

ზურაბ ჯიბლაძე – ჟურნალის მთავარი რედაქტორი, მთავარი სარედაქციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი

სარედაქციო კოლეგია

როინ მეტრეველი – პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, თავმჯდომარე

ისა აბდულაევი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (რუსეთის ფედერაცია, დაღესტანი)

ზაზა ალექსიძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

რევაზ არველაძე – საქართველოს ენერგეტიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ფრიდონ გლაზილი – ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი, თსუ-ს საპატიო დოქტორი (ავსტრიის რესპუბლიკა)

იცხაკ დავიდი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, საქართველოს საპატიო მოქალაქე (ამერიკის შეერთებული შტატები)

სტეფენ ვორშელი – შავის უნივერსიტეტის პროფესორი (ამერიკის შეერთებული შტატები)

გურამ თევზაძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ქევინ თუითი – მონრეალის და ჯენას უნივერსიტეტის პროფესორი (კანადა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

კანტა იბრაჰიმოვი – ჩეჩნეთის რესპუბლიკის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, აკადემიკოსი (რუსეთის ფედერაცია, ჩეჩნეთი)

ელდარ ისმაილოვი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა)

ავთანდილ კორახაშვილი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ნილ მაკფარლენი – ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (დიდი ბრიტანეთი)

შიროტაკე მადეა – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (იაპონია)

ლიანა მელიქიშვილი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ელგუჯა მექმარიაშვილი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

საიდ მულიანი – ფერეიდუნშაჰრის უნივერსიტეტის პროფესორი (ირანის ისლამური რესპუბლიკა)

ჯოანა რაგულსკა – რათგერსის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (პოლონეთის რესპუბლიკა)

ჯერი სიმპსონი – მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორი (ავსტრალიის თანამეგობრობა)

ავთანდილ სილაგაძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ბერნარდ უტიე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, აკადემიკოსი (საფრანგეთის რესპუბლიკა)

დავით ყოლბაია – ვარშავის უნივერსიტეტის დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (პოლონეთის რესპუბლიკა)

ვაჟა შუბლაძე – მეცნიერებათა დოქტორი

ლეო ჩიქავა – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჯონი ხეცურიანი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

რამაზ ხუროძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მეუფე ანანია (ჯაფარიძე) – მანგლისისა და ნალკის მიტროპოლიტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

სტივენ ჯონსი – მაუნტ ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (ამერიკის შეერთებული შტატები)

ოთარ ნათიშვილი

მისალმება ჟურნალს „ქართული პოლიტიკა“6

ოთარ დანელია

სოფლის მეურნეობა - სახელმწიფო
პრიორიტეტი.....8

გელა სამხარაული

საქართველოს აგრარული პოლიტიკა:
ტრადიცია, რეალობა, პერსპექტივები17

გურამ ალაქსიძე

ესმა ორჯონიძიძე
პესტიციდების უსაფრთხო და რაციონალური
გამოყენების ძირითადი ასპექტები
საქართველოში26

ბაკურ გულუა

აგრარული პოლიტიკის შესახებ.....34

გივი ჯაფარიძე

რევაზ ჩაგელიშვილი
გიორგი გაგოშიძე
სატყეო მეურნეობის დარგის მდგრადი
განვითარების პრინციპები45

ომარ ქიქელიაშვილი

სოფლის მეურნეობის ისტორიული გზა
და ახალი თვალსაწიერი.....51

ჯემალ გუგუშვილი

სანაშენე საქმის ორგანიზაცია
მებოცვრეობაში.....58

თენგიზ ყურაშვილი

მანია კარასელიძე
ფართოდ გამოვიყენოთ ცხოველთა ინფექციური
დაავადებების ეპიზოოტოლოგიური კვლევა.....62

ნავოლეონ ქარქაშაძე

სოციალიზაცია და ეკონომიკა - ქვეყნის
განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორები.....70

ჯემალ გუგუშვილი

გიორგი მაქლარაშვილი
ლიზა ბალიაშვილი
მეფუტკრეობის მდგომარეობა და მისი
სამომავლო განვითარება ქვეყანაში.....74

ნუგზარ ბალათურია

კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის
ინოვაციური განვითარების ძირითადი
მიმართულებები საქართველოში.....80

გიორგი ნიკოლეიშვილი

ელგუჯა შაფაქიძე
მეაბრეშუმეობა და მისი მაპროფილებელ
დარგებთან შეთანწყობა,
როლი და მნიშვნელობა.....87

გურამ ტყემალაძე

გიორგი ქვარცხავა
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა როლი
საქართველოს აგრარულ პოლიტიკაში98



მვირფასო მეგობრებო!

უპირველეს ყოვლისა, მივესალმები სამეცნიერო ჟურნალის „ქართული პოლიტიკა“ დაარსებას. სასიამოვნოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ქვეყნისათვის

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი აგრარული მიმართულება ჟურნალის ინტერესთა თვალსაწიერში მოექცა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სამიწათმოქმედო საქმიანობის კულტურა და წესი ოდითგანვე გენეტიკურად იყო შერწყმული ჩვენი ხალხის ყოველდღიურ ყოფასთან. ცნობილი ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება უძველესი დროიდან უმთავრესი საზრუნავი იყო როგორც საქართველოს მოსახლეობისათვის, ისე ქვეყნის უპირველეს მესვეურთათვის, რადგან სახელმწიფოს ძლიერება ყოველთვის ძლიერ სოფელზე იყო დაფუძნებული. ქართველი გლეხი ზედმიწევნით კარგად ფლობდა სამეურნეო საქმიანობის ყველა ნიუანსს და სწორედ ამის შედეგია ის, რომ კულტურული ვაზის, ხორბლის, ხეხილოვანი და ბოსტნეულ-ბალჩეული მრავალი კულტურის სამშობლოდ საქართველო ითვლება, საუკუნეების მანძილზე შექმნილ-გამოყვანილი შინაურ ცხოველთა თუ ფრინველთა მთელი რიგი საუკეთესო ჯიშებიც ქართულია და სხვა. ცალკე თემაა ლითონის მოპოვებისა და დამუშავების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, რამაც ხელი შეუწყო ხალიბთა ქვეყნის მოწინავე სამიწათმოქმედო ქვეყნების რიგში ჩაყენებას და უბრწყინვალესი თიკუნიც – „გეორგია“, სწორედ ჩვენთვის სისხლხორცეულად დამახასიათებელი საქმიანობის გამო გვიბოძა მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ. დღევანდელ დღესაც, როგორც უწინ, როდესაც „თებერვალი დადგება და ხეში წყალი ჩადგება“, მინდვრად გასული ქართველი გლეხი მიწაზე პირველი ხნულის გავლებისას ზეცას ახედავს და არსთა განმრიგეს ხვავრიელ მოსავალსა და ოჯახის სიმრთელესთან ერთად ქვეყნის სიკეთესაც შეავედრებს.

ამიტომაცაა ქართული მიწა-წყალი უფლის მიერ ნაკურთხი და იმ მზის სხივებით გაცისკროვნებული, რომელიც დილის ცვარნამნაპკურები ვაზის მტევნებზე კიაფობს და ამიტომაცაა ქართველთა უპირველესი საქმიანობა და თვით ქართველთა მოდგმა უფლისა და ღვთისმშობლის მადლით გაბრწყინებული.

მინდა, გზა დავულოცო და წარმატება ვუსურვო სამეცნიერო ჟურნალს „ქართული პოლიტიკა“ ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

ოთარ ნათიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,

სოფლის მეურნეობის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი



სოფლის მეურნეობა - სახანძრო ჰიოხიბახი

ოთარ დანელია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

ქართველი ხალხის სოფლის მეურნეობაში ჩართულობა მრავალ ათეულ საუკუნეს ითვლის, ამიტომ საქართველო ოდითგანვე აგრარული ქვეყანა იყო და ასეა დღესაც. დროის მიხედვით განსხვავებულია დარგის წინაშე მდგომი ამოცანები და მათი გადაწყვეტის გზები. თანამედროვე ეტაპზე აგროსასურსათო სექტორის წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს ამოცანას სოფლისა და სოფლის მეურნეობის მაღალი ტექნოლოგიების საფუძველზე განვითარება წარმოადგენს.

2013 წლიდან ახალმა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა, რომლის მიზანია, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, სოფლად ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნა, რომელიც

ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობას, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სოფლად სიღარიბის დაძლევას. რაც მთავარია, სწორი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებით, ჩვენს მეწარმეებს, ფერმერებსა და გლეხებს საშუალება ექნებათ უპასუხონ იმ ახალ გამოწვევებს, რომლის წინაშეც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ დადგა ჩვენი ქვეყანა. ისინი შეძლებენ აწარმოონ ევროპული სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი პროდუქცია და საერთაშორისო ბაზრებზე დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი. მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპას ჩვენთან შედარებით პროდუქციის წარმოების, შენახვისა და ტრანსპორტირების

გაცილებით მაღალი სტანდარტები აქვთ და მათი თანდათანობით ათვისების გარეშე, საბოლოო შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაეროსა და მსოფლიო ბანკის პროგნოზით, მიმდინარე საუკუნის 40-50-იან წლებში მსოფლიოში მოსახლეობის მკვეთრი ზრდის და კლიმატის გლობალური დათბობის პირობებში მოსალოდნელია სურსათის მწვავე დეფიციტი, რაც განვითარებულ ქვეყნებს აიძულებთ სერიოზულად გადახედონ თავიანთ აგრარულ პოლიტიკას, ხოლო იმპორტდამოკიდებული ქვეყნები, თუ სწორ ქმედებებს არ განახორციელებენ, სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნისთვის უახლოესი წლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარების იმგვარი მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შეწყობს მოსახლეობის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფას. ასევე, კონკურენტული უპირატესობის მქონე პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების არსებობის მიუხედავად, რაც განპირობებულია საწარმოო სპეციალიზაციის 11 განსხვავებული ზონისა და 49

ტიპის ნიადაგის არსებობით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში დარგის განვითარების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების ტემპებს. ეს ძირითადად განპირობებული იყო იმით, რომ 2012 წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორი, მსოფლიო პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, არ განიხილებოდა პრიორიტეტად და შესაბამისად, მისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ხარჯები წლების მიხედვით მცირე და ცვალებადი იყო.

ახალმა ხელისუფლებამ რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი. რამდენიმეჯერ გაიზარდა სამინისტროს ბიუჯეტი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამელიორაციო სამუშაოების შესრულებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენასა და მის გამოყენებას, პირუტყვის დაავადებებთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიების შექმნას და საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიკაციას. მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პროგრამის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში დამუშავებული მიწების ფართობი, მოიხნა მიწის ისეთი ფართობები, რომლებიც წლების განმავლობაში მიტოვებული და დაუმუშავებელი იყო. გაიზარდა ინტერესი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებზე, კერძოდ ტექნიკის გამოყენებაზე, მაღალინტენსიურ სათესლე

მასალაზე, ხარისხიან პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე. სასოფლო-სამეურნეო საქონლის სახით სარგებლის მიღების შესაძლებლობამ სტიმული მისცა აგრარული საცალო ქსელების განვითარებას, როგორც გეოგრაფიული, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით.

2014 წელს სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა კახეთში ყურძნის წარმოების ხელშეწყობისა და რთველის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, შეიქმნა საკოორდინაციო შტაბი, რომელიც 24 საათის განმავლობაში მუშაობდა. ჩაბარებული ყურძენი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით ერთიან ელექტრონულ ბაზაში აღირიცხა. შედეგად, რთველი წარმატებით განხორციელდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. საერთო ჯამში გადამუშავდა 124 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, ყურძნის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა 175 მლნ ლარს გადააჭარბა. რთველის პერიოდში ყურძნის ფასი უპრეცედენტოდ მაღალი იყო და ისტორიული მაქსიმუმი შეადგინა.


სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობის და საწარმოებში მანდარინის ორგანიზებულად ჩაბარების, ასევე, არასტანდარტული ვაშლის ორგანიზებულად ჩაბარების მიზნით, ამოქმედდა საკოორდინაციო შტაბები. 2014 წლის სეზონზე სულ გადამუშავებულია 43

376 ტონა არასტანდარტული ვაშლი, 10 358 ტონა არასტანდარტული მანდარინი.


2014 წელს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების ღირებულებამ 3.4 მლრდ ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავების შედეგად შეიქმნა 4.5 მლრდ ლარის ღირებულების პროდუქცია. აგრობიზნესის სექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვება 10 %-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც ძირითადად გამოწვეულია გადამამუშავებელი სექტორის ზრდით, სადაც ზრდის მაჩვენებელი 13.8 %-ს შეადგენს, პირველადი პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი კი წინა წელთან შედარებით 5.2 %-ით მაღალია.

2014 წელს აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულება 4.1 მლრდ ლარს აჭარბებს, რაც წინა წლის მაჩვენებელს 9.7 %-ით აღემატება. აგროსასურსათო სექტორის წილი ქვეყანაში შექმნილ მთლიან შიდა პროდუქტში 2014 წლის წინასწარი მონაცემებით 16.5 %-ია.

წყარო: საქტატი.



აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი)



წყარო: საქტატი.


წინასწარი მონაცემებით ზრდის ტენდენციით ხასიათდება სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა, რომელმაც 2014 წელს 19.1 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 61 %-ით აღემატება.

ქვეყანაში დადებითი ძვრები შეინიშნება აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის მიმართულებით, 2013 წელს დაწყებული სისტემური ღონისძიებების შედეგად, რაც არსებული საგარეო ბაზრების დივერსიფიკაციას და ახალი ბაზრების მოძიების ღონისძიებებს გულისხმობს, მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტირებული აგროსასურსათო პროდუქციის რაოდენობა და ასორტიმენტი. 2014 წელს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ღირებულება 6.7%-ით აღემატებოდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საქართველოდან ექსპორტირებული იყო 825.9 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც

ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 29%-ია. 2014 წელს საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მიხედვით, სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა 80 ქვეყანასთან. მნიშვნელოვნად გაიზარდა თხილის, სპირტიანი სასმელების, ღვინის, მინერალური წყლების, ციტრუსისა და ხილ-ბოსტნეულის ექსპორტი. შესაბამისი ღონისძიებების თანმიმდევრულად გატარების კვალობაზე, ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის საექსპორტო პოტენციალი კიდევ უფრო გაიზრდება.

აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი

(მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

რაც შეეხება ქვეყანაში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტს, 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს იმპორტი გაზრდილია 1.1 %-ით. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში

იმპორტირებული იყო 1.3 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია. ქვეყნის მთლიან იმპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წონა 15.2% -ს შეადგენს. ძირითადად იმპორტირებულია: ხორბალი (12%), თამბაქო (9%), შინაური ფრინველის ხორცი (6%), შაქარი (5%), სპირტიანი სასმელები (5%), ღორის ხორცი (3%), ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი (3%), საკვები დანამატები (3%), მცენარეული ზეთი (3%), თევზი (2%) და სხვ. 2014 წელს, საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტის მიხედვით სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა 110 ქვეყანასთან.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციის საგარეო ვაჭრობის მონაცემების მიხედვით, უარყოფითი სავაჭრო სალდო შემცირდა 7.3 %-ით, ხოლო 2012 წელთან შედარებით - 37 %-ით.

აღსანიშნავია, რომ DCFTA-ის მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. შესაძლებელი გახდა საბაჟო გადასახადების გარეშე პროდუქციის შეტანა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარზე, რომელიც 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. სწორედ ამიტომ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი

თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება (დაახლოების შეთანხმებული ვადების შესაბამისად), რომელიც მოიცავს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან და ნორმებთან მაქსიმალურ მიახლოებას.

2012 წლიდან დაიწყო და გრძელდება სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავდა სურსათის უვნებლობის განვითარების სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა, სადაც თანმიმდევრულად არის გაწერილი უახლოეს წლებში შესამუშავებელი კანონმდებლობა, რომელიც გააზრებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კონტექსტში და უზრუნველყოფს როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციურ სრულყოფას.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ საქართველოს, საუკეთესო გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, აქვს რესურსი გახდეს რეგიონალური ჰაბი, რც გულისხმობს ჩვენი ქვეყნის რეგიონალურ, სავაჭრო, სატრანზიტო ცენტრად ჩამოყალიბებას და ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე დადებითი ტენდენციებისა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულად ითვლება ქვეყნის დასაქმებული სამუშაო ძალის

52%, საიდანაც 98% თვითდასაქმებულია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სოფლად როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო პროფილის ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, საოჯახო ფერმერული მეურნეობების განვითარება, ეკონომიკური დივერსიფიკაცია და აგროტურიზმის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ პროდუქციის წარმოების ზრდა უნდა მოხდეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, საკრედიტო და სალიზინგო სისტემების განვითარების, პირველადი წარმოების, გადამამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების ფონზე. ამ მიზნით, 2013 წლიდან დაიწყო იაფი აგროკრედიტის პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებში დღემდე დაახლოებით 28 500 ბენეფიციარზე გაცემულია 861 მლნ. ლარის ღირებულების სესხი. ქვეყანაში შეიქმნა 119 ახალი გადამამუშავებელი საწარმო. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო კვლავ გააგრძელებს იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფას, რაც გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის წინსვლას და განვითარებას.

როგორც ცნობილია საქართველოს კლიმატურ-ეკოლოგიური ფაქტორები უნიკალურია უხვი მოსავლისა და მაღალი საგემოვნე თვისებების მქონე ხილის, კენკრის და კაკალნაყოფიანი კულტურების წარმოებისათვის. ქვეყანაში

ხილის მოსავლიანობის გაზრდის ხელშეწყობისთვის აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ფერმერების დიდი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელია. აქედან გამომდინარე, სამინისტრომ დაიწყო ახალი პროექტი „დანერგე მომავალი“ რომლის მიზანი თანამედროვე ტიპის მაღალეფექტური ბაღების გაშენება, ხეხილის ტიპის სანერგეების და წვეთოვანი სარწყავის სისტემის მოწყობაა.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას სერიოზულად აფერხებს წვრილი მეურნეობების არსებობა. 1 ჰექტრამდე მიწა საკუთრებაში აქვთ მეურნეობათა 68%-ზე მეტს, რაც განაპირობებს წარმოების ნატურალურ ხასიათს. აღსანიშნავია, რომ საკუთრებაში არსებული მცირე ფართობები 3-4 ნაკვეთად არის წარმოდგენილი. ამდენად მიწების კონსოლიდაცია უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით სამინისტროში იგეგმება კონკრეტული პოლიტიკის შემუშავება და გატარება.

აღნიშნული საკითხის მოგვარების კუთხით მნიშვნელოვანია ძლიერი და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა, მათი ტექნიკით და ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა, კოოპერატორთა ცოდნის დონის ამაღლება და დარგში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმირებულობა. დღემდე შექმნილია სულ 887 სასოფლო-სამეურნეო

კოოპერატივი, რომელთა დახმარების მიზნით ეტაპობრივად ხორციელდება ინსტიტუციური განვითარებისა და ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები.

აგროსასურსათო სექტორში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფერმერებისათვის შემოსავლების შენარჩუნებისა და რისკების შემცირების მიზნით სადაზღვევო ბაზრის განვითარებას. სწორედ ამიტომ 2014 წლიდან ამოქმედდა აგროდაზღვევის პროექტი, რომელიც წარმოადგენს საპილოტე პროგრამას და გულისხმობს მთავრობის მიერ სუბსიდირებას (გარკვეული პირობების გათვალისწინებით). პროექტის ფარგლებში 2014 წელს გაიცა 21,194 პოლისი, დაზღვეულია 18,646 ჰა მიწის ნაკვეთი და 152,140,160 ლარის ღირებულების მოსავალი. სამინისტრო კვლავ გააგრძელებს უკვე დაწყებულ აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელებას და ხელს შეუწყობს აგროსადაზღვევო ბაზრის განვითარების პროცესს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფერმერებისა და სოფლად დასაქმებულთა უნარებისა და შესაძლებლობების ამაღლებას, რათა გაიზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და კონკურენტუნარიანობა. ამ მიზნით საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნა საინფორმაციო-საკონსულტაციო და რეგიონული სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფერმერებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას, განსაზღვრავენ პრიორიტეტებს და

მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული პირების საჭიროებებს.

ქართველ მეწარმეებს, წარმოების მასშტაბებიდან და რესურსებიდან გამომდინარე, არაკონკურენტუნარიან პირობებში უხდებათ საკუთარი პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზება. შესაბამისად, აუცილებელია ხელი შეეწყოს ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციას, რათა გაიზარდოს მისი საექსპორტო არეალი, გაიმყარონ პოზიციები მათ მიერ ოპერირებად ბაზრებზე და შეძლონ ახალი ბაზრების ათვისება.

აღსანიშნავია, რომ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სრული კვებითი ჯაჭვის, პირველადი წარმოებიდან საბოლოო მომხმარებელამდე, ე.წ. „ფერმიდან-სუფრამდე“ კონტროლს და ვრცელდება წარმოების, მათ შორის პირველადი წარმოების, გადაამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე. აქედან გამომდინარე სახელმწიფო მომავალშიც გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას რათა დაცული იყოს მოსახლეობის ჯანმრთელობა და ეკონომიკური ინტერესები.

უვნებელი და ხარისხიანი სურსათის წარმოებისათვის მნიშვნელოვანია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის სრულყოფილი და ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირება, რათა გაკონტროლდეს და

თავიდან იქნას აცილებული ცხოველების, ასევე, ადამიანისთვის გადამდები და პოტენციურად საშიში დაავადებების გავრცელება. 2014 წელს, წინა წლებთან შედარებით, საქართველოში ეპიზოოტიური მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, რაც განპირობებულია ცხოველთა განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაციის მასშტაბურობის ზრდით.

ქვეყანაში ეტაპობრივად დაინერგება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს ცხოველებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვას, ექსპორტ-იმპორტზე ვეტერინარული კონტროლის განხორციელებას, საქონლის ხორციით ვაჭრობისას ეტიკეტირების, გამჭვირვალობისა და მიკვლევადობის უზრუნველყოფას და სანაშენე საქმიანობის გაუმჯობესება-სრულყოფას.

ფიტოსანიტარიული მოთხოვნების დაცვა ქვეყანის ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობის მიღწევისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმია, რაც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებებისაგან დაზიანების მინიმუმამდე შემცირებას და მოსავლის შესანარჩუნებას. ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტების

შესაბამისად, აუცილებელია საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების რიცხოვნობის კონტროლისა და დიაგნოსტიკური მიმართულების გაძლიერება, ქვეყნის ტერიტორიის ფიტოსანიტარიული მონიტორინგის განხორციელება, საკარანტინო მავნე ორგანიზმებით დასნებოვნების ზონების დადგენა და მიღებული მონაცემების საფუძველზე ბრძოლის ღონისძიებების სწორი დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად გააგრძელებს სამეცნიერო წრეებთან (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია) თანამშრომლობას, რათა მოხდეს მათი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ქვეყნისთვის მაქსიმალურად წარმატებული პროექტების შემუშავება და განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს, ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფას, ფერმერთა გადამზადებას საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინტეგრირებულ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, საბაზრო საინფორმაციო სისტემის შექმნას, სასურსათო უსაფრთხოების

ანალიზისა და მონიტორინგის ხარისხის გაუმჯობესებას, შესაბამისი მოქნილი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას და განხორციელებას. ასევე, შეგროვდება ინფორმაცია გენდერულ ჭრილში შემდგომში დეტალური ანალიზის ჩასატარებლად, რაც საჭირო იქნება ისეთი პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც ხელს შეუწყობს ქალების ჩართულობას სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესში. შემუშავდება სპეციალური პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც განისაზღვრება გენდერული თანასწორობის, უმცირესობების, ხანდაზმულების, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობის, ნაკლებად განვითარებული რეგიონების და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები.

თანამედროვე მიდგომები, ინოვაციები და ტექნოლოგიები განაპირობებს წარმოების ოპტიმიზაციასა და ეკონომიკური საქმიანობის წარმატებით განვითარებას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იქნება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება (დაახლოების შეთანხმებული ვადების შესაბამისად), რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებთან მაქსიმალურ მიახლოებას და წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდასა და კომერციალიზაციას.



საქართველოს ახალი პოლიტიკა: ტანისონა, ხელოვნება, პეისპეისიკები

ბელა სამხარაშვილი

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ისტორიის მანძილზე სოფლის მეურნეობა ყოველთვის იყო ეკონომიკის ტრადიციული და მნიშვნელოვანი დარგი. სოფლის მეურნეობაში შემონახულია ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობა: ქართული ხორბლის ენდემური ჯიშები, ცხოველთა აბორიგენული ჯიშები; ვაზის კულტურის ისტორია ხომ მჭიდროდა დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. დღესაც საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგს სწორედ მეღვინეობა წარმოადგენს. ქართული ღვინის წარმოება, მისი დაყენების უძველესი ქართული ტრადიციები აღიარებულია მთელს მსოფლიოში. სოფლის მეურნეობის მდიდარი ტრადიციები და ნაყოფიერი მიწა არაჩვეულებრივი წინაპირობაა სოფლის მეურნეობის სექტორის

განვითარებისათვის. თუმცა 90-იანი წლებიდან ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა სერიოზული ზიანი მიაყენა სექტორის სამრეწველო-ეკონომიკურ პოტენციალს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს აგრარული სექტორი ხან სრულ სტაგნაციაში იმყოფებოდა და ხანაც უმნიშვნელოდ ვითარდებოდა. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებისათვის აგრარული სექტორის განვითარება არ წარმოადგენდა პრიორიტეტს, შესაბამისად, არც სახსრები და არც ყურადღება ეთმობოდა აღნიშნული დარგის განვითარებას. აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის არარსებობამ, სახელმწიფო პოლიტიკის ფსევდოლიბერალურ საწყისებზე აგებამ, დარეგულირების ბერკეტების სრულმა იგნორირებამ სექტორში პროცესების

პრაქტიკულად თვითდინებაზე მიშვება განაპირობა. შედეგად მივიღეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამუშავებული ფართობებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემცირება, რომელიც დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და 2004-2011 წლებში მკვეთრად გამოხატული დადმავალი ტენდენცია შეიძინა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში დაგროვდა რიგი მნიშვნელოვანი პრობლემებისა, კერძოდ: სოფლის მეურნეობის მნიშვნელობის პოლიტიკური იგნორირება, საერთაშორისო დახმარებების არაეფექტურობა, დაუხვეწავი კანონმდებლობა, დაბალტექნოლოგიური მიწათმოქმედება.

2012 წლიდან საქართველოს ხელისუფლებისთვის აგრარული სექტორის ხელშეწყობა ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ჩვენი მიზანია, შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, სურსათის უვნებლობის და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სოფლად სიღარიბის დამღევას. აღნიშნული პრობლემატიკის მოგვარებისთვის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ცდილობს ერთობლივი ძალებით მოახდინოს ქვეყნის გრძელვადიანი აგრარული პოლიტიკის

განსაზღვრა და მისი იმპლემენტაცია. 2013 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არაერთი მასშტაბური პროექტი განახორციელა, რომლის შედეგადაც გლეხებმა, ფერმერებმა, აგრარულ სექტორში დასაქმებულმა მეწარმეებმა მიიღეს დახმარება როგორც ფინანსურ-ტექნიკური, ისე განათლების კუთხით.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრარული სექტორის საბიუჯეტო დაფინანსება, რათა დარგის ხელახალი აღორძინების შესაძლებლობები გაჩენილიყო. მაგალითად, 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 267 მლნ. 450 ათასი ლარი, იმდენი, რაც 2008-2011 წლებში ერთად აღებული (შესაბამისად, 70 მლნ 870 ათასი ლარი, 75 მლნ 160 ათასი ლარი, 30 მლნ 640 ათასი ლარი, 85 მლნ 112 ათასი ლარი).

კომიტეტში მუშაობა დაიწყო აგრარულ სექტორში დაგროვილი პრობლემატიკის განსაზღვრითა და მისი მოგვარების საშუალებების ძიებით. მნიშვნელოვანია აღნიშნულ სექტორში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, რეფორმების გატარების, აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის პოტენციალის სრულად გამოყენების, მისი დარგების აღორძინებისა და დინამიური განვითარების ხელშეწყობა. აგრარულ სექტორში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის კუთხით აგრარულ საკითხთა კომიტეტი მუშაობს შემდეგ მიმართულებებზე: სასურსათო უზრუნველყოფის,

სურსათის უვნებლობის, მიწის რესურსების, აგრარული განათლებისა და მეცნიერების, აგრომომსახურებისა და ფერმერთა საკითხებთან დაკავშირებულ კანონმდებლობის შემუშავება. დღევანდელ ეტაპზე აგრარული სექტორის განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში პირველადი წარმოების პროდუქტიულობისა და არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების დაბალი დონის ამაღლება, სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხის უვნებლობის უზრუნველყოფა, ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება, გლეხებისა და ფერმერებისთვის ახალი ტექნოლოგიური სიახლეებისა და მეცნიერული მიღწევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სწორედ ამ მიმართულებით კომიტეტი შეიმუშავებს საკანონმდებლო ინიციატივებს, ზედამხედველობს პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებას, აკონტროლებს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობას.

მინდა, ზოგადად შევეხო იმ პრობლემებს, რომლის მოგვარებაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია: მიწის ნაკვეთების მცირე ფრაგმენტაცია, რაც ძალიან ამცირებს რენტაბელობას, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, იაფი კრედიტების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, განათლების დაბალი დონე.

საქართველოში 1992 წელს განხორციელებულმა მიწის რეფორმამ ქვეყანაში შექმნა დაახლოებით 700 ათასზე მეტი მცირე ფერმერული (საოჯახო) მეურნეობა, რომელთა კერძო საკუთრებაში მოქცეულია ქვეყნის 80%-ზე მეტი მიწის ინტენსიური სავარგული. აღნიშნული მეურნეობების საკუთრებაში არსებული მიწის ფართობები საშუალოდ 1 ჰექტარს ოდნავ აღემატება. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით ნახევარ ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობს ფლობს დაახლოებით 220 ათასი მეურნეობა, 0,5 ჰექტრიდან 1 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს საკუთრებაში ფლობს დაახლოებით 217 000 მეურნეობა, 5-10 ჰექტრამდე მიწის ფართობის მფლობელია დაახლოებით 65 ათასი მეურნეობა, 10-დან 20 ჰექტრამდე მიწის ფართობი აქვთ 2600 მეურნეობას, 50-დან 100 ჰექტრამდე 500 მეურნეობას, და ა.შ საქსტატის მონაცემების თანახმად, მეურნეობათა დაახლოებით 80% სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწარმოებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის, ხოლო 20% - გასაყიდად. საშუალოდ თვიურ შემოსავლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი საერთო შემოსავლების მხოლოდ 20-30%-ია. ყოველივე ზემოთ მოტანილი მიუთითებს, რომ ქვეყანაში ჩატარებული მიწის რეფორმას წვრილი ნატურალური და ნახევრად ნატურალური გლეხური მეურნეობების შექმნა მოჰყვა. ცხადია,

მიწის ასეთი დანაწევრება დამოუკიდებელ, მცირე, კერძო მესაკუთრე ფერმერულ მეურნეობათა შორის ქვეყნის აგრარული სექტორის შემდგომი განვითარებისა და ქართული სოფლის სოციალური პრობლემების გაუმჯობესებისათვის არ ქმნის ხელშემწყობ პრობლემს, რადგან ცალკე აღებული მცირეფერმერული მეურნეობისათვის თანამედროვე აგრარული ტექნოლოგიების დანერგვა და საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი წარმოების პროდუქციის დამოუკიდებლად გატანა თითქმის შეუძლებელია, რაც უარყოფითად აისახება ფერმერის ოჯახის შემოსავალზე და სოციალური პრობლემების გაუმჯობესებაზე. ამასთან, ამ მეურნეობებს არა აქვთ სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალმოსავლიანი ჯიშის, სათესლე მასალისა და შხამკიმიკატების შეძენის საშუალებები, ასევე მოკლებულნი არიან სრულყოფილ სერვისულ მომსახურებას და ა.შ. ამ და სხვას პრობლემებს ეს მეურნეობები ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად წყვეტენ, რის გამოც ვერ აწარმოებენ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციას. დღეს თითოეული აგრომწარმოებელი ერთპიროვნულად ცდილობს მის წინაშე არსებული ყველა პრობლემის მოგვარებას, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგება, წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, ბაზრის მარკეტინგული შესწავლა თუ სხვა. განვლილმა პერიოდმა დაადასტურა, რომ ასეთი მიდგომით ზარალდება როგორც ინდივიდუალური საქონელმწარმოებელი, ასევე მთლიანად

აგრარული სექტორი. ყოველივე აქედან გამომდინარე, შინამეურნეობებისა და დაქუცმაცებული მიწების პრობლემში, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პრობლემას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია წარმოადგენს. სწორედ ამგვარ გაერთიანებებს შეუძლია ქართველი ფერმერების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, შემოსავლების გაზრდა და მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესება. კოოპერირება საშუალებას აძლევს საოჯახო მეურნეობას, გადაწყვიტოს მის წინაშე არსებული პრობლემები არა ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად; კოოპერატივებში გაერთიანებით მიაღწიონ მასშტაბის ეფექტს, სადაც ამის შესაძლებლობა იქნება (მხედველობაში გვაქვს წარმოების რესურსების შექმნა საბითუმო ფასებში, საჭირო კრედიტების მოძიების გაზრდა პროდუქციის რეალიზაცია და ა.შ.). ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად აგრარულ საკითხთა კომიტეტმა საკანონმდებლო ბაზის შექმნა დასახა და დაიწყო კანონპროექტზე მუშაობა. 2013 წელს კომიტეტმა ინიცირება გაუკეთა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონპროექტს, ხოლო საქართველოს პარლამენტმა კანონად აქცია კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივა. სწორედ მცირემიწიანობის პრობლემის დაძლევა, ნატურალური მეურნეობიდან საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის ხელშემწყობა იყო აღნიშნული კანონის მიღების მთავარი მიზანი.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ახორციელებს კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობას, მათ აღრიცხვას, სხვადასხვა ტიპის კოოპერატივების განათლების დონის ამბობებს და გარკვეული გამოცდილების გაზიარებას სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე. კანონის მიღებიდან მეორე წლისთავზე 1040 კოოპერატივია დარეგისტრირებული. დაიწყო მეორე დონის კოოპერატივების ფორმირება და ამ პროცესს იმედის თვალით ვუყურებთ.

2012 წლიდან დაიწყო და გრძელდება სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, რაც გააზრებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კონტექსტში და უზრუნველყოფს როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციურ სრულყოფას. წინა წლებში არსებულმა არასრულყოფილმა საკანონმდებლო ბაზამ, ადამიანური და ტექნიკური რესურსების ნაკლებობამ, სახელმწიფო კონტროლის არასაკმარისმა საბიუჯეტო პროგრამულმა დაფინანსებამ განაპირობა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის არაეფექტიანობა. სასურსათო უვნებლობა სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ეს საკითხი არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკაზე ახდენს გავლენას,

არამედ უმნიშვნელოვანეს ფასეულობაზე - ადამიანის ჯანმრთელობაზე. აღნიშნულ საკითხზე ჩვენი პოლიტიკა უკომპრომისოა. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით“ საქართველოს მთავრობამ უამრავი მნიშვნელოვანი ვალდებულება იკისრა, რაც უკავშირდება საქართველოში პროდუქტის საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად წარმოებას. აღნიშნული ვალდებულებების შესრულება ფართო გზას გაგვიხსნის ევროკავშირის ბაზარზე, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის ეკონომიკასა და ფერმერების ცხოვრების დონეზე. ამ კუთხით შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“ და მთავრობის ნორმატიულ აქტებში.

პრობლემა, რომელიც გადაულახავ ბარიერად იქცა აგრარულ სექტორში დასაქმებული პირებისათვის, ფინანსური რესურსების „შიმშილია“. სწორედ ამიტომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სხვადასხვა პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს ფერმერებს, ისარგებლონ საკრედიტო მომსახურებით, ხოლო მთავრობა გვერდში დაუდგება მათ და დაეხმარება აღებული სესხის უზრუნველყოფასა თუ დაფარვაში. ასე შემუშავდა პროექტები: დანერგე მომავალი, აწარმოე საქართველოში, შეღავათიანი აგროკრედიტი, გადამამუშავებელი

საწარმოების თანადაფინანსების პროექტი და სხვა, სადაც სახელმწიფო მზადაა, დახარჯოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიზნობრივად ისე, რომ დაეხმაროს ფერმერს არა ერთჯერადი მოსავალის მიღებაში, არამედ გრძელვადიან პერსპექტივში ფეხზე დადგომაში, რათა მათ, საბოლოოდ, თავისი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკის ფორმირებაში. აგრარული მიმართულებით ქვეყნის პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია, სოფლის მეურნეობა გახდეს მომგებიანი და შემოსავლიანი დარგი როგორც მოსახლეობისათვის, ასევე ქვეყნისათვის. სწორედ ამიტომ ვცდილობთ, აღნიშნული დარგი არ იყოს დამოკიდებული ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებზე, არამედ მოხდეს ამა თუ იმ ახალი წარმოების კერძო სახსრებით დაფინანსება, კერძოდ, ამ დარგის დაფინანსებით დაინტერესებულ სხვადასხვა საფინანსო და საბანკო სექტორში იქნეს მოძიებული საჭირო სახსრები. აღსანიშნავია ტენდენცია, რომ ბოლო წლების განმავლობაში სექტორის დამოკიდებულება ბიუჯეტზე თანდათან მცირდება და ნაცვლდება კერძო სექტორის დაფინანსებით, თუმცა არის პრობლემები, რაც უშუალოდ ბიუჯეტის სახსრებს და სახელმწიფოს ქმედით ნაბიჯებს მოითხოვს. აღნიშნული თვალნათლივ ჩანს, როდესაც ვსაუბრობთ სოფლებში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, რაც, თავის მხრივ, იმ არსებით პრობლემას წარმოადგენს, რისი მოგვარებაც სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის,

განვითარების პირდაპირპროპორციულია და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე საკითხს წარმოადგენს ფერმერებისათვის და, ზოგადად, დარგისთვის. შევეცდები, აღნიშნული პრობლემის სიმწვავე სამელიორაციო და სადრენაჟე სისტემების მაგალითზე დავანახო მკითხველს, რაც, საქართველოს კლიმატური პრობებიდან გამომდინარე, ყოველთვის აქტუალურია. აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით მშრალი კლიმატი მოითხოვს ირიგაციის ფართო გამოყენებას, ხოლო დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში საჭიროა ჭარბი წყლის მოცილება სადრენაჟო სისტემების მეშვეობით.

სწორედ აქ იკვეთება სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი, რადგან აღნიშნულ პრობლემას მოსახლეობა თავისი სახსრებით ვერ გაუმკლავდება. სწორედ ამიტომ ბიუჯეტში სპეციალურად გამოიყო შესაბამისი თანხები, რათა აღნიშნული პრობლემის მოგვარება დაიწყოს. თუმცა გამართული ინფრასტრუქტურის მშენებლობა საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს, რისი მომსწრენიც ჩვენ თავად ვართ. 2012 წელს წყალუზრუნველყოფილი იყო 45 000 ჰექტარი, ხოლო ჭარბი წყლის მოცილება ხორციელდებოდა 14 ათას ჰექტარზე. დღევანდელი მდგომარეობით, სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად წყალუზრუნველყოფილი ფართობი გაიზარდა 88 ათასამდე, ხოლო დაშრობილი - 25 ათას ჰექტარამდე. სტრატეგიით

გათვალისწინებულია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი უნდა გასამმაგდეს 2020 წლისათვის.

ასევე მინდა, ყურადღება გავამახვილო ქარსაფარ ზოლებზე, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის თვალსაზრისით. კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე განვითარებული გაუდაბნოების პროცესის პრევენციის მიზნით ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე და დასახლებული პუნქტების მიმდებარედ პრაქტიკულად განადგურებული ქარსაფარი ზოლების აღდგენა-შენარჩუნებას განსაკუთრებული როლი ენიჭება როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაციის პროცესის შესაჩერებლად, ისე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ასამაღლებლად და მოსახლეობის არსებობისათვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველსაყოფად. ამავე დროს ბუნებრივმა ქარსაცავმა ზოლებმა შეიძლება, ხელი შეუწყოს ეკონომიკის ცალკეული დარგის განვითარებას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თუთის პლანტაციები, რომლის ქარსაცავად გამოყენებაც ხელს შეუწყობს მებაგრეშუმეობის განვითარებას. აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, აგრარულ საკითხთა კომიტეტში მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტზე „ქარსაფარი ზოლების შესახებ“.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართველი გლეხი ოდითგანვე ამუშავებს მიწას, აქვს დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციები და მიდგომა, რასაც დღესაც იყენებენ სოფლებში, რაც ნამდვილად მისასალმებელია და პატივსაცემი, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 21-ე საუკუნე თანამედროვე ტექნოლოგიების საუკუნეა. ჩვენი საზოგადოების განვითარების უდიდესი ნახტომი და მიღწევაა უახლესი ტექნოლოგიები, რასაც ძალიან ბევრი დადებითი თვისება გააჩნია. არც სოფლის მეურნეობაშია ახალი ტექნოლოგიების ნაკლებობა, რაც დაეხმარება გლეხს ნებისმიერ ეტაპზე საქმის უფრო სწრაფად განხორციელებაში, ძალისხმევასა და ფინანსების უფრო რაციონალურ გამოყენებაში, მოსავლიანობის მაჩვენებლის ამაღლებასა და მოსავლის აღების შემდგომი პროცესების წარმართვაში.

ამ ყველაფერს თან უნდა ახლდეს შესაბამისი განათლება და ინფორმირებულობა, რის ნაკლებობასაც დღეს საქართველო ნამდვილად განიცდის. აგრარული სექტორისთვის დამახასიათებელი იყო მრავალსაფეხურიანი განათლების სისტემა აგრარული სასწავლებლების, უმაღლესი და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სახით, სადაც მზადდებოდა საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სპეციალისტები. დღეისათვის აღნიშნული სისტემა მოშლილია, რის გამოც მწვავედ დადგა აგრარული პროფილის სპეციალისტების ნაკლებობისა და

სოფლის მეურნეობით ახალგაზრდების დაინტერესების პრობლემები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ჩატარდეს საქართველოს აგრარულ სექტორში უმაღლესი, პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამების საფუძვლიანი მიმოხილვა. განისაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები და შემუშავდეს სპეციალური პროგრამები, რაც გულისხმობს როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული გადამზადების სისტემის ჩამოყალიბებას. გვესაჭიროება სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ არა მარტო თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკული გამოცდილებაც, რათა დაანახონ ამა თუ იმ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების უპირატესობა ქართველ ფერმერებს, რომელთაც, თავის მხრივ, წინაპრებისგან მიღებული ცოდნა და გამოცდილება უმაგრებთ ზურგს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ წვეთოვანი მორწყვის სისტემის უპირატესობა მიგდებით მორწყვასთან შედარებით. წვეთოვანი მორწყვისას იზოგება მატერიალური და ადამიანური რესურსი, ამავე დროს იგი უკეთესია ნიადაგისთვისაც და მცენარისთვისაც. თუმცა ქართველი გლეხისთვის ეს ან არ არის ჯერ ცნობილი, ან მაინც ნაცად ხერხს ამჯობინებს.

ინფორმაციის ნაკლებობას ფერმერები არა მარტო ახალი ტექნოლოგიების მხრივ განიცდიან, არამედ ზოგადად აგრარული სექტორის ნებისმიერი მიმართულებით. ეს საკითხი წითელ ზოლად გასდევს

მთელ დარგს. სწორედ ამიტომ ყველანაირად ვცდილობთ ცნობიერების ამაღლებას. აგრარულ საკითხთა კომიტეტი ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა თურქეთის მთავრობის წარმომადგენლობასთან საქართველოში და თურქეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, რომლის მიზანი იყო აგრარულ სექტორში ტექნოლოგიურ სიახლეებთან დაკავშირებით სასწავლო ფილმების გადმოცემა. აღნიშნული ფილმების დემონსტრირება თურქეთში ძალიან პოპულარულია ადგილობრივ ფერმერებს შორის, რამაც დიდი როლი ითამაშა თურქეთის სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში. ამიტომ საქართველოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულების დარგობრივი მდგრადი განვითარებისათვის ქვეყნის რეგიონების მიხედვით ფერმერთათვის ადგილებზე საინფორმაციო, სასტიმულაციო, სადემონსტრაციო, სამოტივაციო, საინოვაციო სწავლებების ჩატარებისთვის თურქეთის გამოცდილება ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი დიდ მაღლიერებას გამოხატავს თურქეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ გაწეული დახმარებისთვის, რათა შესაბამისი ნებართვის საფუძველზე გამოყენებულ იქნას სასწავლო ფილმები, როგორც მასალა გლეხებისა და ფერმერების სწავლების განხორციელებისთვის. კომიტეტი ასევე

გეგმავს თემატურ შეხვედრებს ქვეყნის სასწავლო ინსტიტუტების აგრარული ფაკულტეტის სტუდენტებთან, ვცდილობთ მათ დაინტერესებას და ჩართულობის ამაღლებას ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია კომიტეტის გასვლითი სხდომები, სადაც კომიტეტის წევრები უშუალოდ ხვდებიან ფერმერებს და ერთად სამუშაო გარემოში ხდება ახალი ინფორმაციის მიწოდება და არსებული პრობლემების გამოკვეთა. კომიტეტის წევრების მიერ სოფლის მოსახლეობასთან, ფერმერებთან, აგრარულ სექტორში დასაქმებულ პირებთან შეხვედრების დროს წამოჭრილი საკითხები კომიტეტის სხდომებზე შემდგომი განხილვის თემატია.

საბოლოოდ შევაჯამებ და ვიტყვი, რომ სოფლის მეურნეობის პოლიტიკას განსაზღვრავს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, მაგრამ იგი უნდა გამომდინარეობდეს გლეხების, ფერმერების, სრულიად ქართველი ხალხის ინტერესებიდან, რომლებმაც დღემდე შემოინახეს ის ძვირფასი კულტურა, რასაც ქართული სოფლის მეურნეობა ჰქვია. შესაბამისად, მუშაობაც უნდა გაგრძელდეს იმ მიმართულებით, რომ აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად გაიზარდოს აგრარულ სექტორში წარმოების მასშტაბები, რენტაბელობა, კონკურენტუნარიანობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლები და გაუმჯობესდეს რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობები.



ჯესტიციის უსაფრთხო და ხასიონადი ბაიოქიმიის ძიებითი ასპექტები საჯანსოვლოში

გურამ ალქსიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიის ნამდვილი წევრი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



ესმა ორჯონიკიძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

სასოფლო-სამეურნეო მცენარეებს დიდ ზიანს აყენებს მავნე ორგანიზმები: მწერები, ტკიპები, ლოკოკინები, ნემატოდები, სოკოები, ბაქტერიები, ვირუსები, მიკროპლანქტონები, სარეველები და სხვა. მათ მიერ გამოწვეული დანაკარგები მინდვრის პირობებში აღწევს პოტენციური მოსავლიანობის 30-35%-ს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვისა და პირველადი გადამამუშავების პერიოდის

ჩათვლით კი – 40-50%-ს. ამიტომ მავნე ორგანიზმებთან ბრძოლა სურსათის წარმოების ზრდის ერთ-ერთი მთავარი რეზერვა და მას ფართოდ მიმართავენ მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმებისაგან დაცვა ამჟამად წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელშიც შედის საკარანტინო,

ფიზიკური, მექანიკური, აგროტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, ბიოლოგიური მეთოდები, მცენარეთა ქიმიური და მიკრობიოლოგიური დაცვის საშუალებები.

მცენარეთა დაცვის თანამედროვე სტრატეგია ითვალისწინებს ბრძოლის ინტეგრირებული სისტემების განხორციელებას, რომელიც მიმართულია მავნე პოპულაციების რიცხოვნობის შეკავებისაკენ მავნეობის ზღვარს ქვემოთ აგროცენოზის წონასწორობისა და გარემოს უსაფრთხოების ფონზე.

ინტეგრირებულ სისტემებში წამყვანია ქიმიური საშუალებების – პესტიციდების გამოყენება. უკანასკნელ ხანებში, ეკოლოგიური მოთხოვნების გამკაცრების შესაბამისად, საჭირო გახდა თანამედროვე ტექნოლოგიების დახვეწა გარემოზე პესტიციდების უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით.

თუ გადავხედავთ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გამოცემულ მცენარეთა ქიმიური დაცვის სახელმძღვანელოებს, გარდა სპილენძის შენაერთებისა და გოგირდისა, მათში თითქმის ვერ ვნახავთ ამჟამად გამოყენებულ პრეპარატებს. პესტიციდების ასორტიმენტის თითქმის მთლიანი განახლება გამოიწვია მცენარეთა ქიმიური დაცვის მეთოდის უარყოფითი მოვლენების გამოვლინებამ.

პესტიციდების ასორტიმენტის სრულყოფა გულისხმობს ადამიანისა და სხვა თბილსისხლიანებისათვის

ძლიერ მოქმედ და მაღალტოქსიკური საშუალებების შეცვლას ნაკლებად ტოქსიკური, მაგრამ მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ მაღალეფექტური პრეპარატებით. ხმარებიდან გამოდის მდგრადი პესტიციდები, რომელთაც ახასიათებთ ბიოსფეროში დაგროვება, ადამიანის ორგანიზმში კუმულირება, აგრეთვე ალერგიული, ბლასტომოგენური, ტერატოგენური, ემბრიოტროპული და სხვა არასასურველი თვისებები.

ჯერ კიდევ 1970 წელს სსრ კავშირში შეწყდა დდტ-ს გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ. ამის მიზეზი იყო დდტ-ს პრეპარატების სისტემატური გამოყენების გამო მათი მნიშვნელოვანი დაგროვება ბიოსფეროში, კუმულაცია ადამიანებისა და სხვა თბილსისხლიანების ცხიმოვან სხეულში, მცენარეთა მავნე ორგანიზმების ბიოცენოლოგიური კავშირების დარღვევა და მწერების ზოგიერთი სახეობის სპეციფიკურად გამძლე რასების ჩამოყალიბება.

70-იანი წლებიდან დაიწყო ფოსფორორგანული ინსექტიციდების ფართო გამოყენება. სხვა ჯგუფის ინსექტიციდებთან შედარებით მათ დიდი უპირატესობა აქვთ: გარდა მწერებისა, მოქმედებენ მავნე ტკიპებზეც, ნაკლებად მდგრადები არიან და არ გროვდებიან გარემოში, არ კუმულირდებიან თბილსისხლიანების ორგანიზმში. ფოსფორორგანული ინსექტიციდები თუმცა მაღალტოქსიკურნი არიან ენტომოფაგებისა

და აკარიფაგების მიმართ, მაგრამ ტოქსიკური მოქმედების ხანგრძლივობა მოკლე აქვთ, რის გამოც ამ სასარგებლო ორგანიზმთა რიცხოვნობა მალე უბრუნდება საწყის რაოდენობას, არსებითად არ ირღვევა ბიოცენოლოგიური კავშირები. მამ ჯგუფის პრეპარატების ასორტიმენტის სრულყოფის მიზნით ხმარებიდან იქნა ამოღებული თბილისის ხლიანებისათვის ისეთი მაღალტოქსიკური პრეპარატები, როგორცაა: თიოფოსი, მეტილეთილ თიოფოსი, მერკაპტოფოსი, ინტრათიონი. მათ ნაცვლად ხმარებაშია ნაკლებად ტოქსიკური – აქტელიკი, მალაფოსი, დინგო და სხვა. კარბამინმჟავას წარმოებულებიდან აიკრძალა პრეპარატი სევინის გამოყენება, სამაგიეროდ ფართოდ გამოიყენება ინსექტიციდი მარშალი, რომელიც აკონტროლებს მრავალი სახეობის მავნე მწერს.

პრაქტიკაში ფართოდ შემოვიდა ინსექტიციდების ახალი ჯგუფი – სინთეზური პირეტროიდები. ისინი გვირილას (პირეტრუმი) მოქმედი საწყისი – პირეტრინების ანალოგებია და ბუნებრივი პირეტრინებისაგან განსხვავდებიან უფრო მაღალი ინსექტიციდური აქტივობით და გარემო ფაქტორებისადმი, პირველ რიგში, მზის ულტრაიისფერი სხივების სპექტრისადმი გამძლეობით. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან: დეცისი, კარატე, რივომეტრინი, ფასტაკი, ფიური და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დეცისის უნიკალური თვისებები. იგი მცენარეთა დაცვის პროდუქტების ყველაზე

წარმატებული წარმომადგენელია. იგი მიჩნეულია უნივერსალური თვისებების პრეპარატად. დეცისის საშუალებით შესაძლებელია 300-ზე მეტი კულტურის დაცვა. იგი დარეგისტრირებულია 100-ზე მეტ ქვეყანაში. ყოველწლიურად დეცისით მუშავდება საშუალოდ 30 მილიონი ჰექტარი ფართობი. იგი ყველაზე პოპულარულ პრეპარატთა რიცხვს მიეკუთვნება მთელ მსოფლიოში.

პირეტროიდული პრეპარატების გამოჩენა, ისეთის, როგორც არის დელტამეტრინი (დეცისი), წარმოადგენდა ერთგვარ რევოლუციას მავნე მწერებთან ბრძოლაში. მისი გამოყენებით ინსექტიციდების ხარჯვის ნორმა 1 ჰა-ზე გახდა 100 გრამის ფარგლებში, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმ დროს ფართოდ გამოყენებული ფოსფორორგანული პრეპარატების ნორმისაგან (0,5-1 კგ/ჰა). დეცისის სპეციფიკური თვისებების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს მისი ქიმიური სისუფთავის მაღალი ხარისხი. იგი შეიცავს ერთადერთ იზომერს, რომელიც არის მაღალეფექტური.

დეცისის კიდევ ერთი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი სწრაფად მოქმედებს მავნე მწერების ნერვულ სისტემაზე.

პირეტროიდების გამოყენების დაწყება წარმოადგენდა მნიშვნელოვან მოვლენას ინსექტიციდების ისტორიაში. მცენარეთა დაცვის საშუალებების ბაზარზე პირეტროიდების წილი 15%-ია. 30 წელზე

მეტია, დეცისი სოფლის მეურნეობაში გამოიყენება. მიუხედავად ამისა, მისი მწარმოებელი ფირმა `Bayer ჩროპსციენცე` არ წყვეტს კვლევებს მისი ახალი, გაუმჯობესებული ფორმულაციების შექმნის მიზნით; ასეთებია: დეცის ექსპერტი, დეცის ულტრა, დეცის პროფი, დეცის ფლუქსი. დელტამეტრინი გამოიყენება არა მარტო დეცისის შემადგენლობაში, არამედ იგი წარმატებით იხმარება კომბინაციაში სხვა აქტიურ ნივთიერებებთან, როგორც არის ნეონიკოტინოიდები, თიამეთოქსამები, თიოკლოპრიდები და სხვა. მათი უპირატესობა ის არის, რომ გამოყენების ხარჯვის ნორმები ბევრად ნაკლებია სხვა ჯგუფის პრეპარატებთან შედარებით. ისინი სწრაფად იშლება არატოქსიკურ კომპონენტებად და სწრაფადვე გამოიდევენება ორგანიზმიდან. შეიზღუდა სისტემური ფუნგიციდების ზოგიერთი ჯგუფის, სახელდობრ, ბენზიმიდაზოლის წარმოებულების გამოყენება, გაუმჯობესდა ჰერბიციდების ასორტიმენტი.

შემუშავებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებში პესტიციდების უსაფრთხო და რაციონალური გამოყენების ტოქსიკოლოგიურ-ეკოლოგიური საფუძვლები, რომლებშიც გათვალისწინებულია პესტიციდების გამოყენების რეგლამენტები კონკრეტული აგრობიოცენოზებისათვის და ითვალისწინებს პესტიციდების მიგრაციის და მეტაბოლიზმის პროცესებს. დამუშავებული და აპრობირებულია კულტურების დაცვის ღონისძიებები,

რომელთა მიხედვით მნიშვნელოვნად არის შემცირებული ერთ ჰექტარზე შეტანილი პესტიციდების რაოდენობა. პესტიციდების გამოყენებისას განსაკუთრებული სიფრთხილე და ვალდებულებების დაცვაა საჭირო. ჩვენს ქვეყანაში მათ სწორ გამოყენებას სპეციალური კანონები და კანონმდებარე აქტები განსაზღვრავენ. საერთაშორისო მასშტაბით პესტიციდების სწორ გამოყენებას განსაზღვრავს სხვადასხვა ხელშეკრულებები, რომელთაგან მნიშვნელოვანია `ფაო`-ს პესტიციდების გამოყენების საერთაშორისო კოდექსი, რომელსაც მრავალ ქვეყანაში იყენებენ, როგორც სახელმძღვანელოს შიდა კანონმდებლობის შესაქმნელად. ქვეყნის შიგნით მოქმედებს კანონი პესტიციდების და აგროქიმიკატების შესახებ. ამ სფეროში განსაკუთრებული როლი ენიჭება პესტიციდების სახელმწიფო რეგისტრაციას (კატალოგი), რაც წარმოადგენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელოვან ფაქტორს.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პესტიციდების გამოყენების სტრატეგია და ტექტიკა. მავნე ორგანიზმების რიცხოზობის მიუხედავად, ქიმიური დაცვის საშუალებების სისტემატური გამოყენების ნაცვლად რეკომენდებულია მოსპობითი ღონისძიებების გატარება ზუსტად განსაზღვრულ პირობებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მავნებლის რიცხოვნობა აჭარბებს მავნეობის კრიტერიუმს, ანუ მავნეობის ეკონომიურ ზღვარს, ე.ი. იმ დონეს,

როდესაც ქიმიური დაცვის საშუალებების გამოყენებაზე გაწეული ხარჯები არ აღემატება შენარჩუნებული, უფრო ზუსტად – მავნებლის მიერ განადგურებისაგან გადარჩენილი მოსავლის ღირებულებას. ამასთან, აუცილებელია პესტიციდების გამოყენების შეთანაწყობა ბიოლოგიურ, ბიოტექნიკურ, აგროტექნიკურ და სხვა ხერხებთან და საშუალებებთან შექმნილი ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამით დამკვიდრდა მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების გამოყენებისადმი ბიოცენოლოგიური მიდგომა – პესტიციდებთან ერთად მავნე ორგანიზმების ბიოლოგიური მტრებისა და სხვა ფაქტორების უფრო ინტენსიური გამოყენებით მიაღწიონ მავნე ორგანიზმების მასობრივი გამოჩენის, გამრავლება-განვითარებისა და გავრცელების მაქსიმალურ შეზღუდვას.

მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების გეგმიურად და მიზანშეწონილად გამოყენების საფუძვლად, მავნეობის კრიტერიუმთან ერთად, მიღებულია მავნებლების, მცენარეთა დაავადებებისა და სარეველების გამოჩენისა და გავრცელების პროგნოზი. იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების და ნარგავების სახეობები და ფართობები, რომლებზეც საჭიროა ქიმიური ღონისძიებების ჩატარება, აგრეთვე სწორად შეირჩეს პესტიციდები და მათი გამოყენების ოპტიმალური რაოდენობა. აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი და მოკლევადიანი

პროგნოზის საბოლოო მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურების იმ სახეობრივი შედგენილობის განსაზღვრა, რომელთა წინააღმდეგაც მოცემულ მომენტში ან მომავლის ზუსტად განსაზღვრულ კალენდარულ ვადაში საჭიროა ბრძოლის ღონისძიებების ჩატარების ზუსტი ვადის სიგნალიზაცია.

მნიშვნელოვანია მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ პესტიციდების გამოყენების ვადების ისეთნაირად შერჩევა, რომ გათვალისწინებული იქნას მავნე ორგანიზმების მიმდებარე, ხოლო მისი ბუნებრივი მტრების გამძლე ფაზებში ყოფნის პერიოდი.

უპირატესობა ენიჭება პესტიციდების შერჩევით გამოყენებას. ამის მაგალითია სხვადასხვა კულტურის ნათესების დიდი მასივების ნაპირების დამუშავება. მაგალითად, ცნობილია, რომ გაზაფხულის ბუზი მავნეობს მარცვლეულის ნათესების ნაპირებში, ხოლო მასივების შიგნით მავნებლის რაოდენობა უმნიშვნელოა. ამიტომ მიმართავენ ნაპირების ვიწრო ზოლის შეწამვლას ინსექტიციდებით, ძირითადი ფართობი რჩება შეუწამლავი. იქ მრავლდებიან ენტომოფაგები, რომლებიც შემდგომ ვრცელდებიან მთელ ნაკვეთზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მკვეთრად მცირდება გამოსაყენებული პესტიციდების ხარჯვის ნორმები და, შესაბამისად, გარემოს დანაგვიანების საშიშროება, მცირდება დანახარჯები.

მეცნიერულად დასაბუთებული ბრძოლის სქემების მიხედვით ქიმიური პრეპარატები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა ბრძოლის სხვა მეთოდებს შედეგი არ მოაქვს. კერძოდ, ხეხილის მავნე ორგანიზმების მიმართ შემუშავებულია ბრძოლის ტაქტიკა, რომელიც ემყარება მათი განვითარების დინამიკას, მავნეობის ეკონომიურ ზღვრებს, რაც წამლობათა რიცხვის ერთიორად შემცირების და ბუნებრივი მტრების შენარჩუნების საშუალებას იძლევა.

ციტრუსოვან კულტურებზე გავრცელებული მავნებელ-დაავადებების მიმართ ქიმიური, ბიოლოგიური, აგროტექნიკური მეთოდების შერწყმის საფუძველზე შემუშავებულია წამლობათა სქემა, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებს წამლობათა რიცხვის შემცირებას.

ვაზის მავნე ორგანიზმების კომპლექსის წინააღმდეგ ამჟამად მოქმედი ღონისძიებათა სისტემა ემყარება აგროეკოლოგიური ზონებისა და ქვეზონების ფარგლებში მავნე და სასარგებლო ორგანიზმების განვითარების ურთიერთბალანსის მიღწევას. თანამედროვე, ლაბილური პესტიციდების გამოყენების საფუძველზე წამლობათა რიცხვი 5-მდეა დაყვანილი (ნაცვლად ადრე გამოყენებული 7-8-ისა). პესტიციდების რეგლამენტირებული და დიფერენცირებული გამოყენებით გარემოს დანაგვიანება მნიშვნელოვნად არის შემცირებული.

ბოსტნეულ და ბაღჩეულ კულტურებში მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემაში გაუმჯობესებულია პესტიციდების გამოყენების ტექნოლოგია. ნიადაგის და ვეგეტირებულ მასაზე მოქმედი ჰერბიციდების გამოყენების შედეგად გამორიცხულია სარეველების მავნეობა.

მარცვლეული კულტურების ნათესების ფიტოსანიტარული მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთი მიზეზია სათესლე მასალაზე კონტროლის შესუსტება, თესლის შეწამვლის ღონისძიებების ჩაუტარებლობა, კულტურათა მორიგეობის დარღვევა, აგროტექნიკის ხარვეზებით გამოყენება. თანამედროვე თესლის შესწამლი პრეპარატები – დივიდენდი, ინდაზოლი, პრესტიჟი, როდოლიტი ამჟღავნებენ ბევრად მაღალ ეფექტურობას და თბილისისხლიანების მიმართ ნაკლებ ტოქსიკურობას.

იმასთან დაკავშირებით, რომ პესტიციდები ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია გამოხატული ტოქსიკურობით, დადასტურებულია, რომ ისინი დროთა განმავლობაში კონცენტრირდებიან ცოცხალი ორგანიზმების კვებით ჯაჭვში, მათ შორის მცენარეებში, რძეში, თბილისისხლიანებისა და თევზების სხვადასხვა ორგანოებში, რაც საშიშია მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ ესა თუ ის ქიმიური ნაერთი დაშვებულ იქნას როგორც მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალება, იგი უნდა აკმაყოფილებდეს

გარკვეულ მოთხოვნებს, რომელთაგან მთავარია: მავნე ორგანიზმისათვის მაღალი ტოქსიკურობა და დასაცავი მცენარისათვის უვნებლობა, ადამიანის და თბილსისხლიანებისათვის უმნიშვნელო ტოქსიკურობა, ბუნების გაჭუჭყიანების ნაკლები საშიშროება, მავნე ორგანიზმების ბუნებრივი მტრების მიმართ ტოქსიკურობის სწრაფი დაკარგვა. პესტიციდებს გარკვეული ხარისხით უნდა ახასიათებდეს უნივერსალობა, ტრანსპორტაბელობა, ხელმისაწვდომობა, არ იწვევდეს მეტალების კოროზიას, არ იყოს ხანძარსაშიში, არ უნდა ახასიათებდეს ცოცხალ ორგანიზმში დაგროვების უნარი, არ უნდა ჰქონდეს კანცეროგენული, მუტაგენური, ემრბიოტოქსიკური და ალერგენული თვისებები. პესტიციდების გამოყენებისას ზუსტად უნდა იქნას დაცული გამოყენების ხარჯვის ნორმები, ჯერადობა და გამოყენების ვადები. დიდი მნიშვნელობა აქვს შესხურების უკანასკნელ ვადებს ანუ `ლოდინის პერიოდს`. ეს არის ის დრო, რომელიც უნდა გავიდეს უკანასკნელი წამლობიდან მოსავლის აღებამდე. იგი განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რამდენ ხანს რჩება პრეპარატი არატოქსიკურ კომპონენტად კონკრეტულ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში. სწრაფად დეტოქსირებადი დაბალტოქსიკური ნაერთებისათვის `ლოდინის პერიოდი` 2-20 დღეა, ხოლო უფრო მდგრადი და ტოქსიკური პრეპარატებისათვის – 1-2 თვე. ზოგიერთი პერსისტენტული პრეპარატის დაშლის ხანგრძლივობა რამდენიმე თვეა,

ქლორორგანული პრეპარატებისათვის (რომლებიც აღარ არის ხმარებაში) – შეიძლება, რამდენიმე წელიწადიც შეადგინოს.

პესტიციდების გამოყენების წესების დაუცველობისას მოსალოდნელია ადამიანისა და სხვა თბილსისხლიანების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მწვავე და ქრონიკული მოწამვლა. მწვავე მოწამვლა უპირატესად შეუძლია გამოიწვიოს ძლიერმა და მაღალტოქსიკურმა, აგრეთვე რეზორბციულად ტოქსიკურმა და ადვილად აქროლადმა პესტიციდებმა, ხოლო ქრონიკული მოწამვლა – მდგრადმა და მაღალკუმულაციური თვისებების მქონე პრეპარატებმა.

პესტიციდებით დამუშავებული ფართობები, აგრეთვე მისი მოსაზღვრე 30 მეტრ ზონაში მდებარე ნაკვეთები საშიშია ადამიანისათვის. ასეთ ფართობებზე სამუშაოების ჩატარება უმრავლესი პესტიციდებისათვის დასაშვებია 4-6 დღის, ხოლო ზოგიერთ მდგრადი პესტიციდების გამოყენებისას 2-3 კვირის შემდეგ.

პესტიციდების შემცველობა ლიმიტირებულია საკვებ პროდუქტებში, ატმოსფეროში, წყალსაცავებში.

წყალსაცავების დაცვის მიზნით მათ ირგვლივ იქმნება 300 მეტრის რადიუსის სანიტარულ-დაცვითი ზონა, რომელიც პესტიციდებით არ მუშავდება. ნიადაგიდან ატმოსფერული ჰაერის, წყალსაცავებისა და პროდუქტების გაჭუჭყიანების თავიდან

ასაცილებლად მდგრადი პესტიციდებით ნიადაგის ფუმიგაცია აკრძალულია.

პესტიციდების გამოყენების ჰიგიენური რეგლამენტაციით გასათვალისწინებელია მომუშავე პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, პესტიციდებთან მომუშავეების პირადი ჰიგიენა, ტრანსპორტის, შესასხურებელი, შესაფრქვევი და სხვა ტიპის აპარატების პესტიციდებისაგან გაუვნებლობის წესები, შენახვის ვადის გასვლის შედეგად უვარგისი პესტიციდების, განთავისუფლებული ტარის მოსპობა.

მცენარეთა დაცვის ზემოთ აღნიშნული ტაქტიკა უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების, მცენარეთა დაავადებებისა და სარეველების მიერ გამოწვეული ზარალის მინიმუმამდე დაყვანას ისე, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგეს დასაცავი მცენარის აგრობიოცენოზს, პესტიციდებით არ დანაგვიანდეს ბიოსფერო, მიღებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო კულტურების სტაბილური, ხარისხიანი და მაღალი მოსავალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ალექსიძე, ო. ქუფარაშვილი – „მცენარეთა მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლა“, თბილისი, 2001.
2. გ. გეგენავა – „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“, თბილისი, 1994.
3. გ. გეგენავა – „მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებები“, თბილისი, 1991.
4. „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პრეპარატების სახელმწიფო კატალოგი“, თბილისი, 2010.
5. „საერთაშორისო სახელმძღვანელო კოდექსი პესტიციდების დისტრუბუციისა და გამოყენების შესახებ“, თბილისი, 2004.
6. ლ. მიქაძე – „პესტიციდები და ეკო-ლოგიური უსაფრთხოება“, თბილისი, 2010.
7. Карл Хюбнер – „Классический препарат с инновационным потенциалом“, Ж. „Защита и карантин растений“, №6, М, 2010.



აბიჯიანი პოლიტიკის შესახებ

ბაკურ გულუა

საქართველოს საპატრიარქოს სოფლის მეურნეობის
განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი

XX საუკუნის საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში სოფლის მეურნეობას, კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობას, ამ სფეროებთან დაკავშირებულ მომსახურე დარგებს – სოფლტექნიკას, სოფლქიმიას, მელიორაციას და წყალთა მეურნეობას, პურპროდუქტების სამინისტროს, რძისა და ხორცის მრეწველობის სამინისტროს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, ხილ-ბოსტნეულის სამინისტროს, დამზადების სამინისტროს, სასოფლო ტრანსპორტს და ა.შ. - სულ 12-მდე ქვედარგს, რომელიც 80-იან წლებში აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის ტერმინით დამკვიდრდა, უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულად ითვლებოდა მრეწველობის მრავალი დარგი, ასევე ენერგეტიკა, მშენებლობა, კომუნალური მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, თავდაცვითი

მრეწველობა, მეცნიერებატევადი კომპლექსები, აგრარულ-სამრეწველო სფერო ქმნიდა ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 47 – 49%-ს და მთლიანი შიდა საზოგადოებრივი პროდუქტის 52 – 55%-ს. აქ იყო თავმოყრილი ძირითადი ფონდების 48% და მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა – 42%.

ასე იყო გასული საუკუნის ბოლო ოცწლეულის I ნახევარში, მაგრამ შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, რომელთა შორის უმთავრესი სსრკ-ის დაშლა იყო, ძირფესვიანად შეცვალა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ისტორიის ჟამტეხილის ამ უაღრესად საპასუხისმგებლო დროს საქართველოს ხელისუფლების სათავეში ვერ აღმოჩნდნენ ძალები, რომლებიც საჭირო სიღრმით გაიაზრებდნენ საზოგადოებრივ-


ეკონომიკური სისტემის თანმიმდევრული ტრანსფორმაციის და ახალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის აუცილებლობას. სსრკ დაშლას ბუნებრივად მოჰყვა გეგმიური, ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის მყისიერად ნგრევა, ამ პრინციპზე დაყრდნობილ მოქალაქეთა სოციალური გარანტიების სისტემის გაუქმება, ათასობით საწარმოთა მომარაგებისა და პროდუქციის გასაღების ბაზრების მოშლა; ეროვნული ვალუტისა და საკუთარი მონეტარული პოლიტიკის უქონლობის გამო სწრაფად განვითარდა ჰიპერინფლაცია. ეს ყველაფერი მიმდინარეობდა თავსმოხვეული შიდა ომებისა და შეიარაღებული დაპირისპირების პირობებში. ჯერარშემდგარი სახელმწიფოსთვის ამ უმძიმეს პერიოდში საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, ერთი შეხედვით, ერთადერთ სწორ გზას მიმართა – მოეწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელმაც მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გამოყენებით ინფლაციის შებოჭვის დოკუმენტი შექმნა.

ამ დოკუმენტის მიხედვით საქართველოს მთავრობის ყოველი მოქმედება, მიმართული ეროვნული ეკონომიკის გადარჩენისაკენ, დაექვემდებარა სავალუტო ფონდის წარმომადგენლობის ყოველდღიურ კონტროლს. პროფესიონალებისთვის გასაგები გახდა, რომ ერთი, თუმცა ძალზე მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას შეეწირა სხვა დანარჩენი – ქვეყნის კრიზისული


მდგომარეობიდან გამოყვანისთვის აუცილებლად გასატარებელი კომპლექსური ღონისძიებები.

ამ თვისობრივმა ნაკლმა წლების განმავლობაში ძალზე მწვავედ იჩინა თავი და საქართველო სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პარამეტრების მიხედვით ყოფილ რესპუბლიკებს შორის ერთ–ერთ უკანასკნელ ადგილზე აღმოჩნდა. ბუნებრივია, ამ ნანგრევებში მოყვა აგრარულ–სამრეწველო კომპლექსიც, სადაც წარმოების ვარდნამ რეკორდულ, ისტორიაში არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მას შემდეგ კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობა თითქმის 10 – 12 პროცენტამდე დაეცა. მსოფლიოს სხვადასხვა ფორუმებზე, სოფლის მეურნეობის მინისტერიალებზე და სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემატიკისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებზე, როდესაც მიხდებოდა ჩვენთან მიმდინარე პროცესების აღწერა, მოხსენებას ან მაწყვეტინებდნენ, ან შემდეგ მაძლევდნენ შეკითხვებს და მაიძულებდნენ გამემეორებინა ციფრები, რადგან მათთვის დაუჯერებელი იყო ასეთი მასშტაბური დაცემის არსებობა (ქვემოთ იხ. ცხრილები).

სოფლის მეურნეობის მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება ყველა კატეგორიის მეურნეობის მიხედვით (სახელმწიფო, კოოპერატიული, პირადი, კერძო).



კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობა



* ეს ტემპები 1994–1995 წლებში შესაბამისად შეადგენდა 20,4 და 10,7–%-ს.

საყოველთაო გამოცდილებიდან ცნობილია, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლა მხოლოდ ძლიერ ხელისუფლებას შეუძლია, რომელსაც პირველ ეტაპზე აუცილებლად მოუწევს ძალზე არაპოპულარული, ვითარების კიდევ უფრო გამამწვავებელი რეფორმების შემუშავება და გატარება. დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებში ეს რეფორმები, მათი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები საჯაროდ ცხადდება, შეძლებისდაგვარად თანხმდება მოსახლეობასთან (იქ დამკვიდრებული ტრადიციული ინსტიტუტების

მეშვეობით) და გამოცხადებულ ნდობაზე დაყრდნობით, წლების მანძილზე ფართო საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ ხორციელდება კიდევ. არის მაგალითები სერიოზული წინააღმდეგობებისა მტკივნეული რეფორმების გატარების მიმართ, მაგრამ არის კიდევ უფრო საინტერესო გამოცდილება ისტორიულად მოკლე დროში ნახტომისებური განვითარებისა. ჩვენს სინამდვილეში ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მთავარი ქვაკუთხედი იყო, არის და უახლოეს მომავალში კვლავ იქნება აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი, რადგან სწორედ ამ სფეროში წყდება უმთავრესი ამოცანები – ტრადიციული, კარგად ათვისებული ეკონომიკური პოტენციალის აღდგენა, მოსახლეობის დასაქმება და საექსპორტო პოტენციალის გამოყენება. ამდენად ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ბერკეტი აგრარული პოლიტიკაა, რადგან ჩვენს პირობებში მას სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. ასე იყო მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოებშიც, სადაც სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული მრეწველობის განვითარებით დაიწყო ამ ქვეყნების აღორძინება.

ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის მიზანი უცვლელია – სოფლის მეურნეობაში არსებული პოტენციალის მაქსიმალურად დასაშვებ ფარგლებში (ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპების დაურღვევლად)

ათვისება და ამა თუ იმ ეტაპზე ქვეყნის წინაშე მდგომი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის სამსახურში ჩაყენება.

მართალია, ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის მიზანი უცვლელია, მაგრამ მუდმივად ცვალებადია ის ხერხები და საშუალებები, რომლითაც ეს მიზნები მიიღწევა. ამდენად აგრარული პოლიტიკის შემუშავება ყოველთვის უკავშირდება დროის სპეციფიკას და გათვლილია გარკვეულ პერიოდებზე. ჩვენს სინამდვილეში მთავრობამ შეიმუშავა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 – 2020 წლებისათვის, რომელიც, ფაქტობრივად, ეტაპობრივი აგრარული პოლიტიკის დოკუმენტს წარმოადგენს (საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ. თბილისი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო).

სანამ შემუშავებული დოკუმენტის აკვარგიანობაზე საუბარს შევუდგებით, აუცილებელია რამდენიმე ასპექტის წინასწარ გააზრება. დასახული მიზნიდან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს ნათელი, ყველასათვის გასაგები ამოცანები, რომლის განხორციელებას მთავრობა დროის ამა თუ იმ მონაკვეთში გეგმავს. უწინარეს ყოვლისა საქმე გვაქვს მაღალხარისხოვანი აგრარული პროდუქციის წარმოების ზრდის უზრუნველყოფის ამოცანებთან,

რომელიც პრაქტიკულად უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს მდგრადი და უვნებელი გარემოს შენარჩუნების პირობებში. ამ ორ ამოცანას ჩვენს პირობებში ემატება მესამე – მზარდი კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე. ეს ყველაფერი უნდა ემყარებოდეს ერთ ძირითად პრინციპს – სურსათი უვნებელი და ფასების მხრივ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ფენისთვის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ რენტაბელური წარმოებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ტირაჟს. შეზღუდული, მცირე მოცულობის ბაზრის პირობებში დიდ საქმეს ვერ გამართავ და კონკურენტუნარიან პროდუქციას ვერ გამოუშვებ.

უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში საქართველო გეოგრაფიულად მიზმული იყო ჩრდილოეთით არსებულ ბაზართან, რომლისთვისაც ჩვენ უკიდურესი სამხრეთი და კლიმატურად ძალზე განსხვავებული სივრცე ვიყავით. აქ მოწეული ხილ-ბოსტნეული ფართო მოთხოვნით სარგებლობდა სამას მილიონიან მოსახლეობაში. სსრკ-ს პირობებში, როცა პრაქტიკულად დახურული იყო მსოფლიო ბაზარი, ეს ქმნიდა უადრესად ხელსაყრელ პირობებს ჩვენთან წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისათვის. ასე მაგ: ბოთლში ჩამოსხმული ერთი 0,75 ლ ტევადობის ღვინო „წინანდალი“-ს ფასი 15 – 20 ლ ბენზინის ფასს უტოლდებოდა. ასე

იყო ხილი, ჩაი, ციტრუსები, ეთერზეთები და ა.შ. კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო ფასების პარიტეტი ტექნოლოგიურ მანქანა-დანადგარებზე და წარმოების სხვა საშუალებებზე. ყოველივე ამან ჩვენთან წლების განმავლობაში ჩამოაყალიბა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპები და ცხოვრების აღმატებული დონე სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. ზემოთქმულს თან სდევდა ნეგატიური ფაქტორებიც. გაზრდილი მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობაზე, რომლის დაკმაყოფილება მუდმივი დეფიციტის პირობებში ხდებოდა, აღუწებდა ყურადღებას მის ხარისხზე და ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ე.წ. „მიწერებისთვის“, ანუ არშექმნილი პროდუქციის ქალაქებზე გაფორმებისა და დიდძალი თანხების მითვისებისათვის. ასეთი, შედარებით ლაღი, უკონკურენტო ცხოვრებისადმი მიდრეკილება ინერციით კარგა ხანს გაგრძელდა და სამეწარმეო აზროვნებაში ცვლილება მხოლოდ ბოლო წლებში მოხდა, როცა ამოიწურა ჯართადქცეული წარმოების საშუალებების, შენობების, ტეროტორიების ყიდვა-გაყიდვით არსებობისა და დროის გატანის ყველა საშუალება. როგორც ხალხური ანდაზა ამბობს, ყველა გაჭირვებას თავისი დადებითი შედეგები მოაქვს და ამჟამად, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მწვავე ამოცანების გადაწყვეტა ჩვენ გვიწევს შედარებით გამოფხიზლებული სამეწარმეო აქტივობის პირობებში.

აქედან გამომდინარეობს ძალზე სერიოზული დასკვნა იმის თაობაზე, რომ აუცილებელია მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ადგილობრივი წარმოების ზრდას (იდეა „აწარმოე საქართველოში“), შემჭიდრობულ ვადებში ვაზიაროთ იგი თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეს ქვეყნის წინაშე დგას დასაქმების უმწვავესი ამოცანა, ამდენად არ უნდა დავუშვათ მცირე და საშუალო ბიზნესის „ჩაყლაპვის“ გზით მსხვილი საწარმოების ქსელის გაფართოება. ეს პროცესი თანდათანობით, გეგმაზომიერად უნდა მიმდინარეობდეს და სახელმწიფო ამ ბალანსის დაცვას შეძლებისდაგვარად აკონტროლებდეს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ეკონომიკა „განწირულია“, ძირითადად აწარმოებდეს საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან პროდუქციას, რადგან მხოლოდ შიდა ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული წარმოებები ვერ იქნება მაღალრენტაბელური. ამდენად კონკურენტუნარიანი სასოფლო – სამეურნეო პროდუქტების წარმოება საქართველოში ორიენტირებული უნდა იყოს ეკოლოგიურად და ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე, რომელსაც დიდი უპირატესობა ენიჭება დასავლურ ბაზარზე, როგორც ფასების, ისე ნიშის ტევადობის მოცულობის მხრივ. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ბუნებრივი ლანდშაფტი დღეისთვის

ქიმიურად ნაკლებად დაბინძურებულია და განვითარებულ სამყაროში ასეთი ანალოგები ცოტა მოიძებნება.

მამასადამე, დროის მთხოვნაა, ხელალებით არ შევამციროთ ხელის შრომა (მას ფასების მხრივ ზოგჯერ უპირატესობაც აქვს), მაქსიმალურად შევინარჩუნოთ მცირე და საშუალო საწარმოები და გეგმაზომიერად დავსახოთ ტექნოლოგიური რეკონსტრუქციისა და გადაიარაღების ამოცანები. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, არ ავამწივოთ ულტრათანამედროვე საწარმოები. წარმოების მაღალი დონითა და ტექნიკური ნოვაციებით.

საჭიროა, გავერკვეთ – დგას თუ არა დღის წესრიგში, სიღარიბის მაღალ დონესთან ერთად, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. ყველანი ვხედავთ, რომ პრობლემურია ფულადი შემოსავლების საკითხი, თორემ არ არსებობს სურსათის დეფიციტის პრობლემა, რადგან ჩვენი ბაზარი მსოფლიო ბაზრის ნაწილია და უკანასკნელ წლებში საქართველო ამ ბაზრის მექანიკურ დანამატად იქცა.

წინა საუკუნის 90-იანი წლების შუა რიცხვებიდან ჩვენი სერიოზული ძალისხმევით მოხდა საქართველოსადმი საერთაშორისო დახმარებების შინაარსის რადიკალური შეცვლა – ქვეყნის მშვიერი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში დახმარებიდან

საკუთარი წარმოების გაფართოებაში დახმარების პოლიტიკაზე გადასვლა. ამ ქმედებებს მალევე მოჰყვა სერიოზული შედეგები და ეს ტენდენციები დღემდე შენარჩუნებული, რაც კეთილსასურველ გავლენას ახდენს დარგის განვითარების დინამიკაზე. აქედან გამომდინარე, აგრარული პოლიტიკის მუდმივი ყურადღების საგანია, ვაწარმოოთ რაც შეიძლება მეტი საექსპორტო პროდუქცია და საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისას ვეცადოთ, რომ პროდუქტების უმეტესი წილი იყოს ჩვენს მიწა-წყალზე ჩვენი ხალხის მიერ მოწეული იმ მოცულობით, რაც პოტენციურად ქართულ მიწას შეუძლია, მოგვცეს. ამოცანის ასე დასმისას ყველასთვის ნათელი ხდება აგრარული პოლიტიკის პირდაპირი კავშირი სტრატეგიულ მიზანთან – მოსახლეობის დასაქმებასთან. მხოლოდ მოქნილი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაშია შესაძლებელი, დასაქმდეს საქართველოს მოსახლეობა – ერთ მილიონზე მეტი შრომისუნარიანი ადამიანი, რაც ვერცერთ სხვა დარგში ვერ მოხერხდება უახლოესი ათწლეულების განმავლობაში.

ხელისუფლების გონივრულ აგრარულ პოლიტიკას შეუძლია, რადიკალურად შეცვალოს ქვეყნის დაძაბული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სურათი, გააჩინოს ხალხში მომავლის იმედი.

განვიხილოთ კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი – ჩვენი ბაზრის ორიენტაცია ყოფილ სსრკ–ს რესპუბლიკებზე, პირველ რიგში რუსეთსა და უკრაინაზე, ბელორუსიაზე და ა.შ. ამ თემას ძალიან მოკლედ შევეხები. ამ ბაზრებში ჩვენი ყოფნის აუცილებლობა სასიცოცხლო ინტერესებით არის ნაკარნახევი და, როგორც ჩანს, უახლოეს პერიოდში ეს ამოცანა აქტუალობას არ დაკარგავს. აქედან გამომდის და მომავალშიც აქტუალური იქნება უმთავრესი ამოცანა – ერთმანეთს შევეუთავსოთ ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისთვის, დამოუკიდებლობისთვის და გავალრმავოთ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დსთ–ს სივრცეში. ერთი შეხედვით ეს ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებია, განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და აგრარული პოლიტიკის ინტერესების შეთავსება სწორედ ამ წინააღმდეგობრივ საფუძველზე უნდა მოხდეს. მოკლედ, ქვეყნის საგარეო პილიტიკა ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს (ისე, როგორც ხდება ამჟამად) საქართველოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგის – აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის საჭიროებებს. სხვაგვარად მუდმივ სიდუხჭირეს ქვეყანა ვერასოდეს დააღწევს თავს; ყველა სხვა შემთხვევაში ქვეყანა მუდმივად იქნება დამაბული და წარუმატებელი. საგარეო პოლიტიკაში

არ უნდა გადავუხვიოთ მოთმინების კურსს, რაც არ უნდა ძალმომრეობითი გამოვლინებები ვიხილოთ ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან.

ყველას კარგად გვახსოვს წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული მასშტაბური პროექტები, რომელიც მოსახლეობის მხრიდან მასობრივი მხარდაჭერის საფუძველი მაინც ვერ გახდა ზემოაღნიშნული ფაქტორის უგულვებელყოფის გამო.

ბუნებრივია, ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის განსახილვევალად, როგორც აგრარული პოლიტიკა გახლავთ, ერთი სამეცნიერო სტატიის ფორმატი საკმარისი არ არის. შევეცდები, მკითხველს მივცე საშუალება, ძალიან მოკლედ გაეცნოს სადღეისო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, რომელმაც ოფიციალურ დოკუმენტში და გატარებულ ღონისძიებებში პოვა ასახვა.

ზემოხსენებული განვითარების სტრატეგიის სამთავრობო დოკუმენტი ძირითადად შვიდი თავისგან შედგება. მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, ჩამოვთვალოთ დასახული პროგრამის ძირითადი მახასიათებლები:

აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება (რაც იმავდროულად შიდა

ბაზარზე საკუთარი წარმოების პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდას ნიშნავს);

ინსტიტუციური განვითარება (გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებების რაციონალიზაციას, მათი კოორდინაციის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას);

მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება (პრობლემათა ფართო სპექტრი მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ინვესტიციების ხელმისაწვდომობის მიღწევა);

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, მონიტორინგის თანამედროვე საშუალებების დანერგვა და კრიზისების პრევენცია);

სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა (წინა წლებში მოშლილი სახელმწიფო საკონტროლო სისტემების აღდგენა სრულ კვებით ჯაჭვში პირველადი წარმოებიდან სუფრამდე („ფერმიდან სუფრამდე“), შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ამ პროცესში არსებული სუსტი რგოლების გამოვლენა და შეფასება სამეცნიერო და სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების დონეზე. FAO-ს, ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA)

მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების გეგმაზომიერი შესრულების ორგანიზაცია და ა.შ. ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის პრობლემატიკის დაძლევა, შესაბამისი ლაბორატორიულ-კვლევითი საშუალებებით აღჭურვა; სასოფლო სამეურნეო პროდუქტების იმპორტისა და ექსპორტის კონტროლის მექანიზმების დახვეწა, უვნებლობის კომპონენტების მონიტორინგის გაძლიერება, საფირმო ნიშნის - „წარმოებულია საქართველოში“ იმიჯის განუხრელი ამაღლება, გეოგრაფიული ადგილწარმოშობის პროდუქციის წრის გაფართოება და მისი დადასტურების მექანიზმის დაცვა ფალსიფიცირებისაგან;

კლიმატის ცვლილებები, შეცვლილ კლიმატურ პირობებში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, მუდმივი ზრუნვა მდგრადი გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავებაზე, ენდემური ჯიშების გაფრთხილება, გენეტიკური ბანკის შექმნა.

განვითარების სტრატეგია 2015-2020 წლებში პრიორიტეტულად მიიჩნევა სფეროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხარდაჭერას, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ სესხებს, გრანტებს, დახმარებებს, ადგილობრივ და საერთაშორისო ინვესტიციებს. საწყის ეტაპზე აქცენტი სწორედ ზემოჩამოთვლილ საშუალებებზე გამახვილდება, ხოლო შემდგომ, შესაბამისი

გარემოს ჩამოყალიბების კვალობაზე, კერძო ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები მეტ როლს ითამაშებენ დარგში ინვესტიციების ჩადების საქმეში.

ამ სტატიაში მე შევეცდები მხოლოდ ერთ, აგრარულ პოლიტიკისათვის და სტრატეგიისთვის განმსაზღვრელ, ფუძემდებლურ სფეროს შევებო – მიწისა და სამიწათმოქმედო პოლიტიკის საკითხს.

საქართველოში კარგად არის ცნობილი ილია ჭავჭავაძის ზრუნვა საადგილმამულო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. საინტერესოა, აღინიშნოს, რომ იგი ამის კეთებას ახერხებდა სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე, ძირითადად ქართულ პატრიოტულ და ეროვნულ ძალებზე დაყრდნობით. ცხადია, ილია ჭავჭავაძე ფეოდალური საადგილმამულო ურთიერთობების თავგამოდებული დამცველი იყო და წინააღმდეგობას უწევდა ბურჟუაზიული ელემენტების ხელში ქართული მიწების გადასვლას. ცნობილია, რომ მათ შორის ჭარბობდნენ არაქართული წარმოშობის მოქალაქეები, რომლებიც თითქმის ჩალის ფასად დაეპატრონენ მთელ ქართულ მიწებს, ტყეებსა და ბაღ-ვენახებს.

დიდ ილიას – ჭავჭავაძეთა გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელს, რომლის ეროვნული გრძნობები ეჭვს არ იწვევდა, თვით ქართულ საზოგადოებაში ჰყავდა ოპონენტები, ე. წ. მოწინავე იდეების

მატარებლები (როგორ გავს ეს ყველაფერი ჩვენს ყოფას), რომლებიც მიწების თავისუფალ ყიდვა-გაყიდვას უჭერდნენ მხარს.

თავს მოვარიდებ უფრო ღრმა წიაღსვლებს, მხოლოდ 1921 წლის 25 თებერვალს გავიხსენებ, როცა საქართველო ძალადობრივი, ჩვენს საშინაო საქმეებში საბჭოთა რუსეთის სამხედრო ჩარევის გზით დაექვემდებარა გასაბჭოებას და დაემხო ახალგაზრდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ საქმესაც ახლდა გარკვეული სიკეთე. საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა მიწის (და არა მხოლოდ მიწის) ნაციონალიზაცია და ქართველი თავად-აზნაურების გულარხეინობის შედეგად გაფლანგული ქართული მიწები საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. შემდეგ იყო კოლექტივიზაცია და საბჭოთა მეურნეობების სისტემის შექმნა, რომელთაც უვადო სარგებლობაში გადაეცათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ძირითადად, სახნავ-სათესი მიწები. მსგავს იურიდიულ საფუძველზე მიეცათ მიწები სოფლად მაცხოვრებლებს პირადი საკარმიდამო მეურნეობების მოსაწყობად. მთავარი აქ ის იყო, რომ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არ დაქუცმაცებულა და არ დაუკარგავს სასაქონლო პროდუქციის შედარებით მსხვილ პარტიებად წარმოების საშუალება. შემდეგ იყო ე. წ. „ხრუმჩოვის აგრარული რეფორმების“ ეპოქა, XX

საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, როცა სოფლის მოსახლეობას პირადი სარგებლობის მიწების ნაწილი ჩამოართვეს. ეს „ჩამონაჭრები“ მიწის მასივებს უნდა მიერთებოდა, მაგრამ საქართველოში ამან ვერაფერი შედეგი გამოიღო. მოსახლეობას ამ მიწებით სარგებლობა აეკრძალა, მაგრამ სახელმწიფო და საკოლმეურნეო მიწის მასივებსაც არაფერი შეჰმატებია, როგორც ხალხური ანდაზა ამბობს – „ავი ძაღლი არც თვითნა ჭამს, არც სხვას აჭმევსო“.

1992 წლის იანვარში, როდესაც ჩამოაგდეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, მინისტრთა კაბინეტში შემოჭრილ „პუტჩისტებს“ ჩემი, როგორც აგრარულ-სამრწყველო კომპლექსის კურატორი ვიცე-პრემიერის მაგიდაზე დახვდათ საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის ერთობლივი გადაწყვეტილების პროექტი ე.წ. „ჩამონაჭრების“ ძველი მოსარგებლეებისთვის დაბრუნების შესახებ. ამ პროექტზე 1991 წლის აგვისტო-დეკემბერში მუშაობდა წარმომადგენლობითი კომისია ჩემი თავმჯდომარეობით. ამდენად თავიდან ბოლომდე ვარ საქმის კურსში, თუ რა მოცულობის სამუშაო შესრულდა. კომისიამ სტატისტიკური და ცოცხალი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხელისუფლების განსახილველად შეიმუშავა კანონპროექტი – „სოფლად მაცხოვრებელთათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შევსების შესახებ“. სწორედ ამ დოკუმენტის

უნიჭოდ გადაწერას დაარქვეს „მიწის რეფორმა“, რომლითაც გაუცნობიერებელი აუდიტორიის წინაშე დღესაც იწონებენ თავს. თითქოს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება იმიტომ ჩამოვაგდეთ, რომ რეფორმებს აჭიანურებდაო და ჩვენ კი რეფორმები სწრაფად გავატარეთო. დაძაბული კრიმინალური ვითარებისა და შეიარაღებული დაპირისპირების დროს მიწების განაწილებას, ერთის მხრივ, შედეგად მოჰყვა მიწების დაქუცმაცება – ე.წ. „პარცელაცია“ და, მეორე მხრივ, ქვეყნის მთავარი სიმდიდრის ყოვლად უსამართლო განაწილება.

ამ უთავბოლო ნაბიჯმა სოფლის მეურნეობას ისეთი დარტყმა მიაყენა, მდგომარეობიდან დღესაც ვერ გამოვსულვართ და მეექვსეა, ამ შეცდომის გამოსწორებას ერთი საუკუნე ეყოს. 90-იანი წლების შუა რიცხვებში ჩვენ დავდექით მძიმე არჩევანის წინაშე – ან გაგვეუქმებინა სამხედრო მმართველობის მიერ გატარებული „რეფორმა“ და დაგვეწყო მიწის ხელახალი გადანაწილება (რაც იქნებოდა სამართლიანი), ან გველიარებინა მიღებული შედეგები და დაგვეკანონებინა მიწაზე კერძო საკუთრების უფლება. მრავალი თვის განმავლობაში ურთულესი პოლემიკის საფუძველზე გადაწყდა მეორე ვარიანტის მხარდაჭერა. საქართველოს პრეზიდენტი მხოლოდ 1999 წლის აპრილში აღიარებს, რომ ჩვენთან მიწის რეფორმა „უკუღმა“ დაიწყო, თუმცა

გასაგები მიზეზების გამო პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ამისათვის ეროვნულ ხელისუფლებას დააკისრებს, და არა პუტჩისტებს. როგორც მოგახსენეთ, ზვიად გამსახურდია ამ თემას არც შეხებია და, სხვათა შორის, არც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გაუუქმებია (მხოლოდ მათი სახელწოდებები შეიცვალა, ძირეული რეფორმები კი შემდეგ უნდა დაწყებულიყო).

ეს ექსკურსი იმისათვის დამჭირდა, რომ ერთხელ მაინც გაშუქდეს ობიექტურად ჩვენს თავს დატეხილი უბედურების ძირითადი მიზეზი (ანუ მიზეზთა ერთობლიობა), რომელმაც ჩვენს ისტორიაში არნახული ტემპებით შეაჩერა სოფლად კვლავწარმოების პროცესი და სწორედ

ამის მიზეზებს ვერ იგებს თანამედროვე მსოფლიო.

ისმის კითხვა, მაინც რაშია გამოსავალი? – მთავრობის მიერ შემუშავებული და მოწონებული სტრატეგია სწორ მეცნიერულ პრინციპებზეა დაფუძნებული და მას თანმიმდევრული განხორციელება ესაჭიროება. მომავალში ცხოვრება მიღებულ აგრარულ პოლიტიკაში მთელი რიგი კორექტივების შეტანის აუცილებლობას გვიკარნახებს, რაც დროულ რეაგირებას საჭიროებს. არც ესაა პრობლემა. დროის მოთხოვნა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და დაჯერებულად ვიაროთ წინ. ამ სვლაში თუ თანმიმდევრულები და მიზანდასახულები ვიქნებით, შედეგებიც არ დაიგვიანებს.



სახყო მეხნაობის ღახბის მდბხადი ბანვი- თახბის ჰხინსიჯები

გივი ჯაჯარიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,
აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი



რევაზ ჩაბელიშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის სატყეო
მიმართულების ეროვნული კოორდინატორი,
აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი



გიორგი გაბოშიძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, საქართველოს სოფლის
მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო
მიმართულების ეროვნული კოორდინატორი

სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარება მიზნად ისახავს დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის რაციონალურ გამოყენებას ანუ ტყე უნდა შევუნახოთ შვილებს.

ის, რაც დღეს ხდება საქართველოს ტყეებში და მთლიანად სატყეო სექტორში, გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი დღევანდელი საზოგადოება ვერ აცნობიერებს ან მიავიწყდა ტყის როლი და მნიშვნელობა პლანეტარული მასშტაბით.

გვმართებს, საზოგადოებას კიდევ ერთხელ და ათას მეერთედ შევახსენოთ, რომ დღევანდელ მეტად სწრაფცვალებად დროს ეკოლოგიური განათლება საფუძვლიანად მოიკოჭლებს, და არა მარტო მოსახლეობაში.

მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ საბჭოთა დროინდელი სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით - „ტყე გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილია, რომელიც შედგება ხეების, ბუჩქების, ბალახეული მცენარეულობის, ცხოველებისა და მიკროორგანიზმებისაგან, რომლებიც ცხოველმყოფელობის პროცესში მოქმედებენ ერთმანეთზე და აყალიბებენ გარემოს“. ეს არის ტყის ზოგადი განმარტება სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით.

ბევრად მეტი და განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მთის ტყეს. მთის ტყე არც მარტო შეშაა ან მისგან დამზადებული სამშენებლო მასალა, არც მხოლოდ ნიადაგის დაცვის, წყლის რეგულირების, გზების და კომუნიკაციების, კლიმატის რეგულირებისა

და გაჯანსაღების, თოვლის ზვავებთან და ღვარცოფებთან ბრძოლის, ნახშირორჟანგის შთანთქმისა და ჟანგბადის პროცედურების საშუალებაა, არამედ ტყე ამ ყველაფრის ერთობლიობაა. უტყეოდ საქართველო საქართველო აღარ იქნება, ამიტომ დღეს ტყის დაცვა მამულის დაცვის ტოლფასია და თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

სამწუხაროდ, ვერც მამული დავიცავით და ვერც ტყეს მოვუარეთ !

საქართველოს მთის ტყეები, განსაკუთრებით, ტენიანი მაღალმთიანეთისა და ზღვისპირეთის, უაღრესედ მყიფე და ადვილად მსხვრევადი (მოწყვლადი) ეკოსისტემებია და, ცხადია, უაღრესად ძნელად აღსადგენიც.

კარგად მოგეხსენებათ, რომ როდესაც ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმაცია იცვლება, უპირველესად უძლიერესი პრესის ქვეშ ექცევა ბუნებრივი რესურსები. აქედან გამომდინარე გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს მთის ტყეებს ისტორიის ამ მონაკვეთზე დაეკისრა გადატაკებული მოსახლეობის გადარჩენის მაგიური მისია.

გაიჩეხა ტყე, გაიჩეხა მთასა და ბარში სხვადასხვა დანიშნულებით, მათ შორის საზღვარგარეთ გასაყიდად.

ამჯერად მინდა, მოკლე ინფორმაცია მოგაწოდოთ საქართველოს ტყეებში დღეს არსებული ვითარების შესახებ სამ განზომილებაში: რა იყო, რა გვაქვს დღეს და რა გვინდა რომ გვქონდეს ხვალ.

რა იყო წარსულში:

საბჭოთა პერიოდში საქართველოს სატყეო სექტორში მოქმედებდა მეცნიერულად დასაბუთებული და კარგად აპრობირებული მეურნეობის გაძღოლის მწყობრი სისტემა, რომელიც ემყარებოდა მეურნეობის მართვის უწყვეტი სარგებლობის პრინციპს და ხორციელდებოდა ტყეების მართვის ტერიტორიული ორგანოების ბაზაზე (სატყეო მეურნეობა, სატყეო უბანი, საოსტატო, სამცველო). ტყის ჭრა ეფუძნებოდა ნებით ამორჩევითი ჭრების სისტემას, რომლის დროსაც მერქნით წლიური სარგებლობა განისაზღვრება წლიური შემატების ფარგლებში და რაც სრულად პასუხობს უწყვეტი სარგებლობის პრინციპს.

საქართველოში ყოველწლიურად შენდებოდა ახალი ტყეები, დამცავი ტყის ზოლები; ხორციელდებოდა დეგრადირებული ტყე-ბუჩქნარების სარეკონსტრუქციო საუშაოები 8,0-10,0 ათას ჰექტარზე; ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები 20,0-25,0 ათას ჰექტარზე; ნაგავსაყრელზე 350 ჰექტარზე გაშენდა „კრწანისის ტყეპარკი; ტყეპარკები: ფოთთან „მალთაყვის“, გურიაში „ექუდიის“, კილომეტრიანი სიგანის მწვანე ზოლი შავი ზღვის სანაპიროზე; თბილისის ზღვასთან 300 ჰექტარ ფართობზე დენდროლოგიური პარკი და სხვა. ცხადია, ყველაფერ ამას ესაჭიროებოდა უამრავი სარგავი მასალა, რასაც უზრუნველყოფდა მუდმივი და დროებითი სანერგეები წარმადობით 45,0-

50,0 მილიონი თესლნერგითა და ნერგით ყოველწლიურად და სხვა.

რა გვაქვს დღეს:

1998 წლის შემდეგ ტყის აღდგენის მხრივ არაფერი გაკეთებულა ტყეების მოჭრა-განადგურების გარდა. უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში დარგში შექმნილია საგანგაშო სიტუაცია. ფაქტია, რომ დარგმა დაკარგა მართვის ძირითადი ბერკეტები, მეურნეობის გაძღოლის ტრადიციული ფუნქციები. ტყეში ვეღარ ხორციელდება გადაუდებელი სატყეო-სამეურნეო თუ სხვა ღონისძიებები. ფაქტიურად აღარ წარმოებს ტყის ხელოვნურად გაშენება, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა, ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიებები.

არ არსებობს ერთიანი სატყეო პოლიტიკა, ტყეები დანაწევრებულია; გარკვეული ნაწილი დაცული ტერიტორიების სისტემაშია მოქცეული, ნაწილი ეკლესიის საკუთრებაშია, ნაწილი აქვს სატყეო სააგენტოს, საიდანაც 177 ათასი ჰექტარი გაცემულია გრძელვადიან სარგებლობაში (სვანეთის, თიანეთის, კახეთის, წალენჯიხის ტყეები).

გრძელვადიანი იჯარით ლიცენზიით გაცემულ ტყეებში არ არის კონტროლის მექანიზმი. მეპატრონე მძლავრობს.

რა გვინდა, რომ სამომავლოდ გაკეთდეს:

1. ჩვენი აზრით, დარგის აღორძინების მიზნით პირველ რიგში საჭიროა, პროფესიული, მეცნიერულად დასაბუთებული შეფასება მიეცეს გარდამავალ 2007 წლის შემდგომ დარგში გატარებულ რეფორმებს, სატყეო მეურნეობების გაუქმების მიზანშეწონილობას, რამაც არა მარტო ტყეების განადგურება, არამედ ქვეყნის ეკონომიკაზეც მოახდინა გავლენა.
2. უპირველესად სატყეო მეურნეობას უნდა აღუდგეს სამეურნეო ფუნქცია. ტყეში ყველა სახის სამუშაოებს უნდა ატარებდნენ კვალიფიციური მეტყევე სპეციალისტები არსებული წესისა და ინსტრუქციების შესაბამისად, და არა კერძო ფირმები, რომელთა ინტერესებშიც შედის მხოლოდ საუკეთესო სამასალე მერქნის მოპოვება, როგორც მთავარი სარგებლობის, ისე სანიტარული ჭრის დროს.
3. ტყის ინვენტარიზაცია და ტყესაკაფის გამოყოფა სახელმწიფოს პრეროგატივად რჩევა. სატყეო მეურნეობა საინვენტარიზაციო სამუშაოებს უნდა აწარმოებდეს ყოველწლიურად; ტყეთმოწყობის სამუშაოებს უნდა აწარმოებდეს ყოველწლიურად ტყეთმოწყობის მასალებზე დაყრდნობით. ასეთი სახით დამზადებული ხე-ტყე ყოველგვარი

ლიცენზიის გარეშე უნდა იყიდებოდეს სპეციალურ სახელმწიფო ბირჟებზე, სერვის ცენტრებში ან ქვედა საწყობში. ზემოაღნიშნულის შესასრულებლად აუცილებელი პირობაა სათანადო დაფინანსება. დაფინანსების წყაროდ უნდა განისაზღვროს სახელმწიფო ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები. საჭიროა, გაიზარდოს ძირზე გასაცემი ხე-ტყის ღირებულება.

4. სამასალე ხე-ტყის სარეალიზაციო ფასი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო საბაზრო ფასებს. რეალიზაციის შედეგად შემოსული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი (80%-ის ფარგლებში) უნდა დარჩეს სატყეო მეურნეობის ანგარიშზე, რაც უნდა მოხმარდეს ტყის დაცვა-აღდგენის სამუშაოებს. ამასთან, საგრძნობლად უნდა გაიზარდოს ტყის დაცვის მუშაკთა ანაზღაურება, შესაბამისად უნდა გამკაცრდეს საჯარიმო თანხა ტყეში აღმოჩენილ დარღვევებზე. ამ მოსაზრების გათვალისწინებით უნდა შეიცვალოს საკანონმდებლო ბაზა და შემუშავდეს ახალი ტყის კოდექსი, რომელიც ორიენტირებული იქნება ძირითადად ტყის დაცვა-აღდგენაზე.
5. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ტყის ფონდის მიწების გაცემა კერძო სამოსახლო და სააგარაკო დანიშნულებისათვის, რაც თავიდან აგვაცილებს ტყის ფონდის მიწების განიავებას.

6. მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა, მდინარეთა წყალშემკრებ აუზებში შენარჩუნებულ იქნას მაღალი სიხშირე და შესაბამისი ტყიანობის პროცენტი (70%). ამ დროს ნიადაგის დაცვა, წყლის რეგულირება, ბრძოლა ღვარცოფებისა და თოვლის ზვავების წინააღმდეგ გარანტირებულია.
7. ტერიტორიის აღნიშნული ოდენობის (3 მილ. ჰე) და პროცენტის მართვას სჭირდება კარგად გააზრებული მენეჯმენტი. სატყეო სექტორის მართვის ფორმად უნდა განისაზღვროს სამინისტრო, ხოლო მეურნეობის გაძღოლის ფორმად - მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკით დადასტურებული ტყის ჭრის ნებით ამორჩევითი სისტემა (პრინციპი), როდესაც იჭრება წლიური შემატება და გარანტირებულია ტყით უწყვეტი სარგებლობა.
8. ყოველწლიურად სულ უფრო მზარდი, მილიონობით ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი (წაბლანა), რაც თან სდევს ტყის გაჩანაგებას, უნებართვო და უსისტემო ჭრების წარმოებას, მაქსიმალურად შეიზღუდება მეურნეობის სწორად წარმართვის, ტყის ჭრის წესების გარანტირებულად დაცვის პირობებში; თავიდან აგვაცილებს ეკომიგრანტების წარმოშობას.

ტყე სტრატეგიული ობიექტია და უნდა დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში, უნდა კატეგორიულად აიკრძალოს მრავალწლიან იჯარაში მისი გაცემა. შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავების შემდეგ არ გამოირიცხება შეზღუდული ფორმით მუნიციპალურ, სათემო, საეკლესიო და კერძო საკუთრებაში გაცემა.

უპირველესად საჭიროა:

1. შეიქმნას მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამები;
2. დასახვეწია საკანონმდებლო ბაზა, სტრატეგია და პოლიტიკა;
3. დასაწყებია როგორც სახელმწიფო, ისე ლიცენზირებული ტყეების ინვენტარიზაცია. ხელმისაწვდომი უნდა გახდეს გასხვისებული ტყეების დოკუმენტაცია, უფლებები, მოვალეობები.
4. გასაუქმებელია კანონი ტყეში დარღვევების დაკანონების შესახებ;
5. შესასაწავლია დამზადებული მერქნის მდგრადი გამოყენების საკითხი;
6. დასაზუსტებელია როგორც სამასალე, ისე საშეშე ზეზე მდგომი ხე-ტყის ფასები;
7. ყველა შემთხვევაში ძირითადი და განმსაზღვრელია დაცვითი (ეკოლოგიური) ფუნქციები,

ეკონომიკური ფუნქცია მასზეა დამოკიდებული.

ქარს მილიონობით დოლარის შემოსავალი.

8. საქართველოს მთის ტყეების თვითდაფინანსებაზე გადაყვანა ხანგრძლივი პერსპექტივით დამლუპველია ქვეყნისთვის. ამასთან, გასარკვევია, შეუძლია თუ არა საქართველოს მთის ტყეებს იმუშაოს ექსპორტზე ან ლიცენზიანტებზე ისე, რომ ქვეყანაში ეკოლოგიური წონასწორობა არ დაირღვეს?! თუ ეს შეუძლია, მაშინ ცხადია, ექსპორტიც არ უნდა გაუშვას ხელიდან, არ გავატანოთ

დღეს საჭიროა, ერთი მხრივ, არსებული მდგომარეობის ობიექტური, მიუკერძოებელი შეფასება, გააზრებული ანალიზი და, მეორე მხრივ, ჩვენი სატყეო მეურნეობის ისტორიისა და უცხოეთის ქვეყნების ტყის მეურნეობის გამოცდილების გათვალისწინება და ამის საფუძველზე საქართველოს ბუნებისა და ხალხისათვის მისაღები სატყეო პოლიტიკის შემუშავება და სატყეო კოდექსში სათანადო ცვლილებების შეტანა.



სოფლის მეურნეობის ისტორიული ბზა და ახალი თვალსაზრისი

ოთარ ქიქელაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკონომიკის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქართველი ხალხისთვის სოფლის მეურნეობა, რომელიც უხსოვარი დროიდან ვითარდება, ისტორიული მემკვიდრეობაა, რასაც იგი საუკუნეების მანძილზე რუდუნებით ეპყრობოდა და უფრთხილდებოდა. ქართველ კაცს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და აქვს მიწის მიმართ და შეთხვევითი არაა, რომ მას დედამიწა უწოდა.

შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან აღმოცენდა და, მეორე მხრივ, თვით ამ საქმიანობამ ასახვა პოვა ქვეყნის ცალკეული კუთხისათვის დამახასიათებელ და სპეციფიკურ ადატ-წესებსა და რიტუალებში. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობამ და მის მიმართ ქართველი

კაცის დამოკიდებულებამ გავლენა იქონია ხელოვნების განვითარებაზე. ასე შეიქმნა ფენომენად ქცეული ქართული სიმღერები: `ურმული`, `ოროველა`, `მრავალჟამიერი`, `ჩაკრულო`, `ვაზო შვილივით ნაზარდო` და სხვა; აგრეთვე პოეტური შედეგები, ფერწერული და ჭედური ხელოვნების ნიმუშები, უნიკალური, მხოლოდ ქართველებისთვის დამახასიათებელი სარეწაო საქმე.

განსაკუთრებული მორალურ-ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა გამორჩეულ რიტუალებსა და წესებს, რომელიც სრულდებოდა ხვნის (გუთნის დედის მიერ), თესვის, მოსავლის აღებისა და დაბინავების, ყურძნის წურვის, ღვინის დაჭაშნიკების, არყის გამოხდის დროს, კალოზე ხორბლის ლეწვისას და სხვა შემთხვევებში.

საქართველო სოფლის მეურნეობის სპეციფიკის თვალსაზრისით მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონია. საქვეყნოდაა ცნობილი და აღიარებული, რომ საქართველო წარმოადგენს ხორბლისა და ვაზის ერთ-ერთ სამშობლოსა და აკვანს. აქ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გამოყვანილია ამ კულტურათა აბორიგენული ჯიშები, რომელთა ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვება.

მიჩნეულია, რომ ვაზი ქართული ფენომენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი ძალა გამოვლინდა ქართულ ქრისტიანობაშიც, რასაც ადასტურებს და განამტკიცებს ის, რომ ქართველი ხალხი ჯვარს ვაზისგან ამზადებდა და მას აღიარებდა რწმენის სიმბოლოდ.

აღნიშნულის გარდა, უაღრესად საყურადღებოა და ფრიად ანგარიშგასაწევი, რომ საქართველოში ხალხური სელექციის მიღწევად ითვლება: ხევსურული ძროხა, თუშური ცხვარი, მეგრული თხა, კახური სამთო-სატყეო სამომთაბარეო ღორი, ქართული რუხი გრძელხორთუმიანი ფუტკარი, რომელთა მსგავსი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ მოიძებნება.

სოფლის მეურნეობის გაძლოლის მდიდარი ტრადიციები საუკუნეების მანძილზე თანდათან იხვეწებოდა, ვითარდებოდა და სრულყოფილ ფორმას იძენდა.

ქართველ მეცნიერთა მიერ გამოყვანილია

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშები და ჰიბრიდები, შეიქმნა მათი მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობის გაძლოლის მეცნიერული სისტემა, რაც დიფერენცირებულია საქართველოს ცალკეული კუთხის მიხედვით.

ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნებამ და მოთხოვნებმა დიდი ხნის ისტორიის მანძილზე ერთხელ და ორჯერ როდი მოახდინა კორექტირება სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურასა და განვითარების მიმართულებებში.

გასული საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოში მიწათმოქმედების დარგებიდან ფართოდ იყო განვითარებული: მარცვლეული მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, საკვებწარმოება, მეცხოველეობის დარგებიდან _ მთისა და ბარის მესაქონლეობა, მათ შორის მეკამეჩეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა, ლოკალურად - მეფრინველეობა.

შემდგომ პერიოდში სხვა ქვეყნებთან კავშირუროთირობის განვითარების შედეგად და ქართველ ნიადაგმცოდნეთა გამოკვლევების საფუძველზე რამდენადმე იცვალა სახე სოფლის მეურნეობამ. დასავლეთ საქართველოს უნიკალურ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს კარგად მოერგო სუბტროპიკული მიწათმოქმედება და წარმატებით განვითარდა მანამდე

ქართული სოფლის მეურნეობისათვის უცხო კულტურები: ჩაი, ციტრუსები, სუბტროპიკული ხილი. შედარებით ადრე ასევე სხვა ქვეყნებიდან მოხვდა საქართველოში სიმინდი, კარტოფილი, პომიდორი, თამბაქო, სხვადასხვა ჯიშის პირუტყვი და ფრინველი.

ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემოტანა თავის გავლენას ახდენდა წარმოების სპეციალიზაციაზე, ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე.

ამ ცვლილებებმა უდავოდ დადებითი გავლენა მოახდინა სტრუქტურული თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობის განვითარებამ ძირითადად ორი სტრატეგიული მიმართულება მიიღო. ჯერ ერთი, გამოიკვეთა ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და მნიშვნელოვან როლს ასრუებს ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში. ეს დარგებია: მევენახეობა და ღვინის მრეწველობა, მეხილეობა და საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, მეციტრუსეობა და ციტრუსების პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა. მეორეს მხრივ – ცალკე დაჯგუფდა ე.წ. „სასურსათო მნიშვნელობის“ დარგები: მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, რომელთაგანაც

შეთანაწყობილია ტექნიკური და საკვები კულტურების პროდუქციის წარმოება.

ამ პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების განვითარება შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალური ეფექტიანობითა და უკუგებით იქნას გამოყენებული საქართველოს უნიკალური ბიოკლიმატური პოტენციალი, ამასთან მაქსიმალურად იქნას ათვისებული მხოლოდ ის მიკროზონალური სივრცე, სადაც მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები არსებობს.

ახლა საქართველოს სოფლის მეურნეობას განვითარებას ახალი თვალსაწიერი გააჩნია. ეს მისი განვითარების ინტენსიური გზაა.

მთელი გასული ოცი საუკუნის განმავლობაში სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების საკითხი ისე მწვავედ და აქტუალურად არ დამდგარა, როგორც ახლა, XXI საუკუნის დასაწყისში. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ევოლუციური (თანდათანობითი) ცვლილებები უკვე ვეღარ ესატყვისება და ვერ ეთავსება ამჟამინდელ და აქამდე უცხო ეკონომიკური ზრდის (განვითარების) წარმოუდგენლად სწრაფ ტემპებს; ამას გარდა, რესურსული პოტენციალის ათვისებისა და გამოყენების ტერიტორიულ-სივრცობრივმა ფაქტორებმა დაკარგა თავისი ძალა და შესაძლებლობები და გზა დაუთმო რევოლუციურ ანუ ინტენსიურ ფაქტორებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა თითოეული ჰექტარი მიწა და რესურსი რაც შეიძლება მეტად `გამოიწველოს` და მისგან, რეალურად მეტის გამოტანა მოხერხდეს. ასეთი, მიმართულება ინტენსიურ, უფრო სწორად, ინტენსიფიკაციის ფაქტორებით ზემოქმედებასა და რეგულირებას თხოვლობს. სწორედ აქ იჩენს თავს წარმოების ინტენსიფიკაციის ისეთი მძლავრი, ქმედითი და თანამედროვეობაზე მორგებული ფაქტორები, როგორცაა: მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, ქიმიზაცია, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა, მელიორაცია (წყლის ძალის გამოყენება და ზედმეტ (ჭარბ) ტენთან ბრძოლა), მოსავლის პროგრამირება, ხარისხის მართვა, რისკის ფაქტორების გავლენის შემცირება, მარკეტინგის მართვის ავტომატიზებული სისტემების გამოყენება, მომავლის საწარმოთა მოდელირება და სხვა. ეს ჩამონათვალი უფრო გაფართოვდება, თუ მხედველობაში მივიღებთ ნანოტექნოლოგიისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სხვა მიღწევებს.

წარმოების ინტენსიური განვითარების აუცილებლობა გაპირობებულია მსოფლიო გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესით, როდესაც მაქსიმალურად უნდა გამოვლინდეს თითოეული რეგიონის (სახელმწიფოს, მხარის, ზონის და ა.შ.) პოტენციალი, როლი და ადგილი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, სპეციფიკური გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ნიშან-

თვისებები, მომავლის მოდელი და ქვეყნის წონადი სახე, სრულად იქნას რეალიზებული პრიორიტეტულ-სტრატეგიული, მაგისტრალური მიმართულებები.

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება დღის წესრიგში აყენებს არანაკლებ აქტუალურ და საჭირო პრობლემას - ეს არის ადგილობრივი ჯიშისა და მაღალპროდუქტიულ ჰიბრიდულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის აუცილებლობა.

ამჟამად მსოფლიოში სოფლის მეურნეობის გენეტიკისა და სელექციის მიღწევები იმდენად დიდი და შთამბეჭდავია, რომ ზოგჯერ თვით მეცნიერთა განცვიფრებასაც კი იწვევს. სწორედ ამის შედეგი იყო ჰეტეროზისის ძალის გამოვლენა და ამ გზით სამხრეთ ამერიკაში ე.წ. მწვანე რევოლუციის დაწყება. ეს დიდი ხნის წინათ იყო. მას შემდეგ ამ სფეროში უდიდესი მიღწევები მოხდა. მიუხედავად ამისა, ჰიბრიდიზაციის პროცესი მთლად სტაბილურ სისტემას ვერ ქმნის და დროდადრო მეცნიერებს საჭირო კორექტივების შეტანა უწევთ ტექნოლოგიურ კომპლექსში, თანაც ჰიბრიდული უნარი ყოველთვის და ყველა პირობებში თანაბარი ძალით ვერც ვლინდება. იგი შეიძლება, კარგად მოერგოს ამა თუ იმ მიკროკლიმატურ პირობებს და, საერთოდ, არც ივარგოს სხვა გეოგრაფიულ სარტყელში.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ თესლი რაც უფრო კულტურულია (ანუ ჯიშობრივია) იმდენად უფრო მაღალ მოსავალს იძლევა. ნებისმიერი თესლიდან მაღალ მოსავალს მივიღებთ მხოლოდ მაღალი და ინტენსიურ-ინდუსტრიული ტექნოლოგიებისა და გაძლოლის სწორი სისტემების გამოყენებით.

ყველა სახელმწიფოში სოფლის მეურნეობის ძირითადი საყრდენი ძალა ადგილობრივი, აბორიგენული, ასევე საუკუნეებში გამოვლილ-გამობრძმედილი, ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს არა მარტო შეგუებული, არამედ მასთან „შესისლხორცებული“ ჯიშებია. საუკუნეების მანძილზე შექმნილი გენეტიკური ძალის ერთი ხელის დაკვრით მოსპობა კი წარმოუდგენელია, მის შეცვლასა და სრულყოფას, როგორც ნიადაგის წარმოქმნას, ასევე ხანგრძლივი, ევოლუციური პროცესის გავლა სჭირდება.

ქართულ ხორბლის, ვაზის, ხეხილის უნიკალურ ჯიშებს, რომელთა მსგავსიც სხვაგან არ მოიპოვება, ვერცერთი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გამოყვანილი სხვა ჯიშები ვერ შეცვლის და ასე კარგად ვერც მოერგება ჩვენს მთიან და უნიკალურ, მიკროზონალურ სივრცეშიც კი მკვეთრად განსხვავებულ და ცვალებად ბუნებრივ პირობებსა და, რაც არანაკლებ საყურადღებოა, მოსახლეობის ეთნოლოგიურ სპეციფიკებს, ადათ-წესებს, სოციალურ კულტურას.

მსოფლიოში ხორბლის ცნობილი 27 სახეობიდან საქართველოში აღნუსხულია 14 სახეობა, აქედან 5 ენდემური ჟიშია (მახა, ზანდური, დიკა და სხვ).

საქართველოში სიმინდის სელექციის ხაზითაც დიდი გამოცდილება არსებობს. ქართველი სელექციონერების მიერ გამოყვანილია სიმინდის 15 ჯიში („ქართული კრუგი“, „გეგუთის ყვითელი“, „აბაშის ყვითელი“, „აჯამეთის თეთრი“ და სხვ.). გამოყვანილია აგრეთვე განთქმული ჰიბრიდები: „წეროვანი 1“, „წეროვანი 2“ და სხვ, რომლებიც ნორმალური აგროტექნიკის პირობებში 1 ჰა-ზე 12-14 ტონას იძლევა და არ ჩამოუვარდება უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ ჰიბრიდებს.

ამასთან ხაზი უნდა გაესვას, რომ ამერიკული ჰიბრიდული სიმინდი (თითქმის მოდადაც რომ უნდოდათ გაეხადათ მისი თესვა) მაღალმოსავლიანია, მაგრამ მისი თესლად გამოყენება არ შეიძლება, ამიტომ ფერმერმა ეს თესლი, თუ მის დათესვას გადაწყვეტს, ისევ იმპორტიორისგან უნდა შეიძინოს. ეს დიდ სიძნელეებს შექმნის.

ქართველ სელექციონერთა გამოცდილება ახალი მიღწევებით უნდა შეივსოს და არსებული პოტენციალი მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებითა და პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებით უნდა განვამტკიცოთ და მდგრადი ხასიათი მივცეთ.

სტრატეგიულ პოზიციად კვალიფიცირდება ის, რომ ადგილობრივი მდიდარი ჯიშობრივი პოტენციური უნარი და აგრეთვე ჰიბრიდული ძალა მაღალ და ინტენსიურ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით უნდა გავაძლიეროთ და მაქსიმალური უკუგებით გამოვიყენოთ.

ადგილობრივი ჯიშების განვითარება და კულტივირება არა თუ კრძალავს, არამედ მეცნიერულად გამართლებულია, რომ მას დასაბუთებულად შეეთანაწყოს ახალი, გინდაც უცხოეთიდან შემოტანილი ისეთი ჯიშები და ჰიბრიდებიც, რომლებიც ივარგებს ჩვენს პირობებში. ასე უნდა შეიქმნას მრავალფეროვანი ჯიშობრივი და ჰიბრიდული სივრცე და წარმოების ინტენსიური განვითარების ახალი შესაძლებლობები. ეს, განსაკუთრებით, ითქმის სიმინდზე.

აქვე გარკვევითა და დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ საქართველოში მარცვლეულით თვითდაკმაყოფილების დონის ამაღლებაში ძირითადი აქცენტის სიმინდზე გადატანა არ შეიძლება. ამ ტვირთის აწევა, ისიც ნაწილობრივ, აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად, ხორბალს შეუძლია (მასთან შეთანაწყობილი უნდა იყოს სიმინდი), დასავლეთ საქართველოში კი – ერთმნიშვნელოვნად სიმინდს. ამ სპეციფიკას ნიადაგურ-კლიმატური პირობები განსაზღვრავს.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის

სამინისტროს როლი და ფუნქცია. უკანასკნელ ხანს ეს სამინისტრო დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. მისი მოწადინებითა და ძალისხმევით შექმნილია კარგად ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფართო ქსელი, უმჯობესდება სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მტკიცდება საგარეო-ეკონომიკური კავშირები.

დადებითი მოვლენაა, რომ სამინისტროს სისტემაში შეიქმნა რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები (სულ - 59, თითოეულში 4-5 სპეციალისტით), მაგრამ ირკვევა, რომ ამ სპეციალისტთა ცოდნისა და კვალიფიკაციის დონე მნიშვნელოვან ამაღლებას მოითხოვს. ამიტომაც სამინისტრო აპირებს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთობლივად შექმნას ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრი და მისი ფუნქციონირება ააგოს უწყვეტი სწავლების პრინციპებზე დაყრდნობით. ამით დიდ და საშვილიშვილო საქმეს ჩაეყრება საფუძველი.

ეს საშუალებას მოგვცემს, გაძლიერდეს წარმოებისა და მეცნიერების ინტეგრაცია, რამეთუ სოფლის მეურნეობის აღმავლობა გამორიცხულია მისი სპეციფიკის მეცნიერების ხელშეწყობისა და განვითარების გარეშე. სწორედ მეცნიერებამ უნდა შექმნას ახალი ჯიშები და ჰიბრიდები, თანამედროვე, ინტენსიურ-

ინდუსტრიული ტექნოლოგიები, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის საშუალებები, ნიადაგის დაცვისა და მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლების რეკომენდაციები, წყლის რესურსების მართვის სისტემა, მაღალ ტექნოლოგიებზე მორგებული სამექანიზაციო საშუალებები, კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების ფუნქციონირებისა და განვითარების ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული მექანიზმი, პერსპექტიული მენეჯმენტის მოდელი, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფი ეკონომიკური მექანიზმი და მარკეტინგული სამსახური. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მართვის პროგრამები და სხვა.

დღესდღეობით კი მეცნიერება თითქოსდა უყურადღებოდაა და მისთვის ვერ მოგვიცლია. მას ფართო სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა სჭირდება.

მაქსიმალური ეფექტიანობით უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამოჩენილ და ავტორიტეტულ მეცნიერთა ინტელექტუალური პოტენციალი და მათი უნარი ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში.

რაც შეეხება მეცნიერთა მიერ დამუშავებული სამეცნიერო პროექტების რეალიზაციას და ცხოვრებაში გატარებას, ეს მისია, როგორც მოწინავე ქვეყნებშია (განსაკუთრებით, ჩინეთში), ხელში უნდა აიღოს ხელისუფლებამ.



სანაშენე საქმის ოიბანოზასია მეზოსვხეობაში

ჯემალ გუგუშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი

მეზოცვრეობას ჩვენი ქვეყნის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში საპატიო და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, როგორც დიეტური ხორცის წარმოების რეზერვს. ბოცვრის პროდუქტიულობის გაზრდა ფერმერული მეურნეობების პირობებში შესაძლებელია სანაშენე საქმის ეფექტურად წარმართვის შემთხვევაში. ბოცვერთა ხალასჯიშიანი მოშენება, სამრეწველო შეჯვარებების დანერგვა ხელს უწყობს ხორცის, ტყავ-ბეწვეულის და სათივთიკე პროდუქტიულობის ამაღლებას.

სანაშენე საქმე მეზოცვრეობაში მოიცავს შიგაფერმერული მეურნეობის ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია არსებული ბოცვრის ჯიშების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე ახალი ჯიშების, ხაზების და ოჯახების ჩამოსაყალიბებლად.

სანაშენე საქმის სწორად ორგანიზება ფერმებში და მოყვარულთა პირად საკარმიდამო ნაკვეთებში თავის მხრივ უზრუნველყოფს ამ დარგის განვითარებასა და პოპულარიზაციას.

პროდუქტიული მიმართულების მიხედვით საქართველოში გავრცელებულია მეხორცულ-ტყავ-ბეწვეული მიმართულების ბოცვრები: რუხ გოლიათი, საბჭოურ შინშილა, თეთრ გოლიათი პეპელა, ვერცხლისებრი და სხვა; მეხორცული ჯიშებიდან - კალიფორნიული და ახალზელანდიური თეთრი, სათივთიკე ჯიშებიდან კი - ანგორულ სათივთიკე და თეთრი სათივთიკე.

ჩამოთვლილი ბოცვრების ჯიშები საქართველოს პირობებისათვის აპრობირებულ ჯიშებად გვევლინება, რომლებიც თავის დროზე წარმატებით

იქნა მოშენებული საქართველოს ყველა კლიმატურ ზონებში. სანაშენე ფერმებში აწარმოებენ ბოცვრების ხალასად მოშენებას, სადაც გამოცდილი სელექციონების ხელმძღვანელობით მიმდინარეობს სასელექციო სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს: კვების, შენახვის, ინდივიდუალური აღრიცხვიანობის ჩატარებას, აგრეთვე სასელექციო გეგმის შედგენას.

გადარჩევა და შერჩევა მეხოცვრობაში მკაცრად მიმდინარეობს. ამ დროს ახდენენ საუკეთესო ხაზებისა და ოჯახების გამოყოფას. ყოველივე ეს მიმართულია მაღალი სანაშენე ღირსებების მქონე ცხოველთა მასივის შესაქმნელად, რომელიც, თავის მხრივ, რეალიზების შედეგად ანაზღაურებს მასზე გაწეულ ყველა დანახარჯს.

მეხოცვულ-ტყავ-ბეწვეული ჯიშების მოშენებისას ყურადღება გამახვილებული უნდა იქნას ცოცხალი მასის ამალგებაზე, ბეწვის სიხშირესა და ჯიშისათვის დამახასიათებელ შეფერილობაზე.

მეხოცვული მიმართულების ბოცვრის ჯიშების შემთხვევაში კი - მალმწიფადობაზე, მეხოცვულ თვისებებზე, სიცოცხლისუნარიანობასა და საკვების ანაზღაურებაზე.

ბონიტირებამდე სანაშენე ფერმებში უნდა ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

შესწავლილ უნდა იქნეს არსებული სულადობა ინდივიდუალური წესით და

საშუალოზე დაბალი შეხოცვების ბოცვრებს უნდა გაუძლიერდეს კვების ფონი მათი საშუალო კონდიციამდე მიყვანის მიზნით.

გამოწუნებულ უნდა იქნეს სუსტი და ავადმყოფი ბოცვრები.

45 დღეზე ასხლეტილი მოზარდი, რომელიც ფერმაში რჩება დანომრილ უნდა იქნეს. (მარჯვენა ყურზე - რიგითი ნომერი, ხოლო მარცხენაზე - პირველი ციფრი აღნიშნავს თვეს, მეორე - წელს და მესამე - ფარდულის ან ბრიგადის ნომერს).

დანომრილი მოზარდი დაფიქსირებული უნდა იქნეს ჟურნალში.

შემუშავდეს ღონისძიებები კვების, მოვლა-შენახვის პირობების შესახებ.

მომზადდეს ბონიტირებისათვის საჭირო ინვენტარი: საზომი ბაფთა, დასანომრი ინვენტარი, ხალათები, საკანცელარიო ნივთები.

ბონიტირების კომპანია ტარდება კომისიური წესით, რომელსაც ესწრება სელექციონერი, ფერმერი, გამგე, ვეტექიმი.

ბოცვრის, სადედე და ძირითად ფარაში გადასაცვანი სარემონტო სულადობა ბონიტირდება ნოემბერ-დეკემბერში ბონიტირების ინსტრუქციის საფუძველზე, რომელიც წლის ბოლოსათვის გვამღვეს ნათელ სურათს, თუ რა სულადობასთან გვაქვს საქმე. აქ იგულისხმება „ელიტა“, I, II და III კლასზე მიკუთვნებული ბოცვერთა რაოდენობა. წარმატებული სასელექციო-სანაშენე სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ფარა

დაკომპლექტებულია „ელიტა“ და I კლასის ბოცვერებით.

მაშინ, როცა ფერმაში აღირიცხება „ელიტა“ და I კლასის ბოცვერები, უნდა განისაზღვროს სანაშენე ჯგუფის რაოდენობა, რომელიც ფერმის მოცულობიდან გამომდინარეობს.

სანაშენე ჯგუფებში მიმდინარეობს დედლებისა და მამლების შემოწმება შთამომავლობის ხარისხის მიხედვით.

საუკეთესო ხაზების გამოვლენა და ხაზობრივი მოშენების დანერგვა.

საუკეთესო ოჯახების გამოყოფა და მათი მოშენება.

სანაშენოდ გადარჩეულ ბოცვერებს უტარდება მიზანმიმართული შერჩევა. მებორცვეობის პრაქტიკაში დამკვიდრებულია შერჩევის ორი ფორმა - ინდივიდუალური და ჯგუფური.

ჯგუფური შერჩევა რეკომენდირებულია არასანიშნე დანიშნულების ფარაში, ინდივიდუალური კი - სანაშენე ფერმებში და სანაშენე ბირთვში.

ინდივიდუალური შერჩევის დროს დედლებს ურჩევენ განსაზღვრულ მამლებს, რადგან მებოცვერობაში ცნობილია, რომ ერთი და იგივე დედალი, რომელიც შეწყვილებულ იქნება სხვადასხვა მამლებით, იძლევა განსხვავებული ხარისხის მქონე შთამომავლობას, ხოლო ერთი და იგივე შეხამების შემთხვევაში - გამოთანარებულ, სიცოცხლისუნარიან ბაჭიებს. არის შემთხვევებიც, როცა მაღალი

ღირსების მქონე დედლებისა და მამლების შეწყვილებით მიიღება შუალედური თვისებების მატარებელი შთამომავლობა, ხშირად არადადამაკმაყოფილებელიც. ამიტომ ბოცვერების მოშენებისას ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი ცალკეული შეხამებები.

მებოცვერობაში ფართოდ არის გამოყენებული აგრეთვე ერთგვაროვანი (ჰომოგენური) და არაერთგვაროვანი (ჰეტეროგენური) შერჩევა.

ერთგვაროვანი ანუ ჰომოგენური შერჩევის დროს სელექციონერი შესაწყვილებლად შეარჩევს მსგავსი წარმოშობისა და ტანაგებულების მქონე წყვილებს, რომლის დროსაც მიიღება მშობლების მსგავსი ერთგვაროვანი შთამომავლობა. არაერთგვაროვანი შეწყვილებისას ხდება წარმოშობისა და ტანაგებულების მიხედვით განსხვავებული ინდივიდების შერჩევა. მიზანი ამ შეწყვილებისა ფარაში ცვალებადობის ხარისხის გაზრდა და სასარგებლო ნიშან-თვისებების მქონე ინდივიდების ფორმირებაა, რომელიც მიმართულია პროდუქტიულობის ამაღლებისკენ. მიღებული შედეგები გაანალიზებულ უნდა იქნეს სელექციონერის მიერ სამუშაოს შემდგომი ეტაპის ჩატარების მიზნით.

სამომხმარებლო ანუ სასაქონლო ფერმებში მოშენების მეთოდებს შორის ფართო გავრცელება პოვა ჯიშთა შორის სამრეწველო შეჯვარებამ. დადგენილია, რომ შეჯვარების შედეგად მიღებული ნაჯვარი სულადობა ხასიათდება მაღალი სიცოცხლისუნარიანობით, ზრდის სწრაფი ტემპით, საკვების კარგი ანაზღაურებით,

გამძლეობით, საუკეთესო ვარიანტების ნაჯვარები საშუალოდ 1 კგ წონამატზე ხარჯავენ 0,5-0,6 საკვები ერთეულით ნაკლებს, ნაკლავის გამოსავლიანობა 2-2,5%-ით მეტია, ცოცხალი მასა 300-400 გრამით აჭარბებს ხალასჯიშიან ანალოგებს.

მებოცვრეობის ფერმებში რეკომენდირებულია ჩატარდეს სამრეწველო შეჯვარება შემდეგი კომბინაციით:

ორჯიშიანი

დედალი		მამალი
1. საბჭოური შინშილა	x	ახალზელანდიური
2. ვერცხლისფერი	x	ახალზელანდიური თეთრი
3. რუხი გოლიათი	x	კალიფორნიული
4. კალიფორნიული	x	საბჭოური შინშილა
5. ახალზელანდიური	x	რუხი გოლიათი

ფერმებში, სადაც სანაშენე ბირთვი დაკომპლექტებულია მხოლოდ ერთი ჯიშით, შესაჯვარებელი მამლები გადმოყვანილი უნდა იქნეს სხვა ფერმიდან. ორჯიშიანი ნაჯვარის სულადობის პროდუქტიული მაჩვენებლის შედარება უნდა წარმოებდეს შეჯვარებაში მონაწილე ხალასჯიშიან ბოცვრებთან.

სამრეწველო შეჯვარების გამოყენების მიზნით რეკომენდირებულია, შემუშავდეს სანაშენე მუშაობის სქემები არსებული ჯიშების გათვალისწინებით მათი ადგილობრივ პირობებთან შემგუებლობით, შესაჯვარებელი ჯიშების ისეთი შეხამებით, რომლებიც მიღებულ შთამომავლობაში გამოავლენენ ჰეტეროზისის მაღალ ეფექტს.



ფაქტორე ბამოვიანოთ სხოვანთა ინფექციური დაავადებების ეპიზოლოგიური ხვანა

თენგიზ ყურაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი



მანია კერესელიძე

ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცხოველთა ინფექციურ დაავადებათა შესწავლას დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს, რადგან აღნიშნული დაავადებები სახალხო მეურნეობას მეტად საგრძნობ ზარალს აყენებს. ამასთანავე, ბევრი მათგანი ადამიანზე გადადის და მათში მეტად მძიმე დაავადებებს იწვევს. ამიტომ როდესაც ვეტერინარი – სპეციალისტი ცხოველთა

ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკას თუ მკურნალობას ატარებს, ამით ის, პირველ რიგში, ადამიანის ჯანმრთელობასა და მის კეთილდღეობაზე ზრუნავს.

ეპიზოლოტიები, ისევე როგორც ეპიდემიები (ადამიანთა მასობრივი გავრცელების დაავადებანი), უბველესი დროიდან არის ცნობილი.

ინფექციური დაავადებანი ცხოველთა შორის არსებობდა ჯერ კიდევ ადამიანის წარმოშობამდე. პალეონტოლოგია გვაწვდის იმის მასალებს, რომ ადამიანის წარმოშობამდე მკვდარ ცხოველებში ადგილი ჰქონდა ტუბერკულოზს, აქტინომიკოზსა და სხვა დაავადებებს. გადამდები დაავადება მოშინაურებული ცხოველებიდან ადამიანზე გადადიოდა მათი ორგანიზმისადმი აღმძვრელთა შეგუების გამო. ევოლუციის ხანგრძლივ პერიოდში ზოგი მათგანი ადამიანთა დაავადების სპეციფიკურ აღმძვრელებად იქცა. იმ დაავადებებიდან, რომლებიც ამჟამად არსებობს, უძველესია: ტუბერკულოზი, ჯილეხი, ცოფი, აქტინომიკოზი და სხვა.

ეპიზოტოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას, აქვს კვლევის თავისი მეთოდები და ასევე ფართოდ იყენებს სხვა მეცნიერებათა მეთოდებს. ყველაზე ადრე ეპიზოტოლოგიაში გამოიყენეს ისტორიულადწერიითი და შედარებითისტორიული მეთოდები. მათ საფუძველზე ჩვენ ვსწავლობთ ისეთ საკითხებს, როგორცაა: ინფექციურ დაავადებათა ევოლუცია, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში დაავადებათა ეპიზოტიური თავისებურებანი, ეპიზოტიათა გამოვლენაზე ქვეყნის სოციალურეკონომიკური, ბუნებრივი პირობების ზეგავლენა. ამ მეთოდის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს

ამა თუ იმ დაავადების ლიკვიდაციის პროგნოზი და სხვა.

შედარებითისტორიული მეთოდი შეისწავლის ეპიზოტიებს სხვადასხვა ქვეყნებში ერთსა და იმავე ისტორიულ პერიოდში, რაც საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ ზოგადი დასკვნები და გამოვარკვიოთ ეპიზოტიათა განვითარების კანონზომიერების ერთიანობა, რომ შესაძლებელი შეიქნეს ერთიანი პროფილაქტიკურ თუ სალიკვიდაციო ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება. ეპიზოტოლოგიური გამოკვლევა ტარდება როგორც ერთეულ, ისე დაავადების მასობრივი გავრცელების შემთხვევაში მეურნეობის თუ რაიონის, ოლქისა და ქვეყნის მასშტაბით. ამ მეთოდს საფუძვლად უდევს ისეთი მონაცემების შეგროვება, რომელიც მოგვცემს საშუალებას, გავერკვეთ დაავადების წარმოშობა-გავრცელების მიზეზებში და დავსახოთ მის სალიკვიდაციოდ სწორი ღონისძიება.

ეპიზოტოლოგიური გამოკვლევის დროს შესაძლებელია, დაგვჭირდეს დიაგნოსტიკის სხვადასხვა მეთოდის (ბაქტერიოლოგიური, კლინიკური, სეროლოგიური, ალერგიული და სხვ.) გამოყენება. დიდი მნიშვნელობა აქვს ეპიზოტოლოგიური ექსპერიმენტისა და დაკვირვების მეთოდს.

ეპიზოტოლოგიის მიერ გამოყენებულ მეთოდთა შორის განსაკუთრებული ადგილი სტატისტიკურ მეთოდს უჭირავს.

ეს მეთოდი, თუ ის ასახავს რამდენიმე წლის და საკმაოდ ფართო ტერიტორიის (მრავალი არაკეთილსაიმედო პუნქტის) მონაცემებს, გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ ამა თუ იმ დაავადებისათვის დამახასიათებელი სეზონურობა, ამთვისებელ ცხოველთა სახე და ასაკი, ეპიზოოტიათა პერიოდულობა; ასევე დაავადების გავრცელებაზე სხვადასხვა ფაქტორთა (კლიმატური, ტოპოგრაფიული, მეცხოველეობის მომთაბარე და სხვა) მოქმედება და დაავადების საწინააღმდეგოდ გამოყენებულ სამკურნალო თუ პროფილაქტიკურ საშუალებათა ეფექტურობა.

ეპიზოოტოლოგია ფართოდ იყენებს ბაქტერიოლოგიურ მეთოდს, რათა გამოავლინოს დაავადების აღმძვრელი, შეისწავლოს მისი ბიოლოგიური თავისებურება და შექმნას საწინააღმდეგო სამკურნალოპროფილაქტიკური საშუალებანი.

ინფექციურ დაავადებათა გამოცნობის საქმეში ეპიზოოტოლოგია იყენებს კლინიკური დიაგნოსტიკის მეთოდს და პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთის მონაცემებს.

ეპიზოოტოლოგიური მეთოდი მიზნად ისახავს ეპიზოოტიური პროცესის შესწავლას, რისთვისაც იყენებს ეპიზოოტოლოგიური გამოკვლევის მეთოდს, რომელიც წარმოადგენს მეთოდთა სისტემას (ბაქტერიოლოგიური, ქიმიური,

მიკოლოგიური, ენტომოლოგიური და სხვ.). ბევრი მათგანი შეიძლება, გამოიყენოს სხვადასხვა მეცნიერებებმა, მაგრამ თითოეულისათვის დამახასიათებელია გამოკვლევის მეთოდთა შერჩევა და ურთიერთშეთავსება გასაანალიზებელი მოვლენის ბუნების შესაბამისად.

უნდა გვახსოვდეს, რომ ინფექციური და ეპიზოოტიური პროცესი იმდენად რთულია, რომ მათ გასაგებად აუცილებელია ხსენებულ მეთოდთა კომპლექსური გამოყენება.

ეპიზოოტიური კერა ინფექციის აღმძვრელის წყაროს ადგილსამყოფელია იმ ტერიტორიულ საზღვრებში, სადაც კონკრეტული სიტუაციის დროს არსებობს აღმძვრელის გადაცემის საშიშროება ჯანმრთელ ამთვისებელ ცხოველებზე. ეპიზოოტიური კერა ეპიზოოტიური პროცესის პირველი რგოლია. ეპიზოოტიურ კერად ჩაითვლება ცხოველთა სადგომი, მისი ტერიტორია, საძოვრის მონაკვეთი და სხვა, სადაც იმყოფება ცხოველი, ამა თუ იმ ინფექციური დაავადების აღმძვრელის წყარო.

ეპიზოოტიური კერა ითვლება მოქმედად, სადაც შენარჩუნებულია ავადმყოფობის შემდგომი გავრცელების საშიშროება.

წარმოშობის ხანდაზმულობის და აქტიურობის ხარისხის მიხედვით არჩევენ: ახალ და ქრობად ეპიზოოტიურ კერებს.

გამოყოფენ სტაციონარული და ბუნებრივი კერების კატეგორიებსაც.

ახალი ეპიზოოტიური კერა ახლად წარმოშობილი კერაა, სადაც, როგორც წესი, იზრდება ავადმყოფ ცხოველთა გამოყოფის ახალი შემთხვევები.

ქრობადი ეპიზოოტიური კერა ხასიათდება იმით, რომ მასში ავადმყოფ ცხოველთა (ან მიკრობმტარებელთა) გამოვლინების შემთხვევები სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდება.

სტაციონარული ეპიზოოტიური კერა ეწოდება ისეთ კერას, სადაც სნეულების აფეთქება მეორდება ან შეიძლება განმეორდეს, რადგან მუდმივად არსებობს პირობა მათი წარმოშობისათვის (მიკრობმტარებელთა არსებობა, გარემო არეში აღმძვრელის ხანგრძლივი შენარჩუნება და სხვა).

ინფექციური დაავადების მრავალი შემთხვევა, აფეთქება წარმოიშობა ცხოველთა დაავადებასთან კავშირში იმ უბნებზე, სადაც უკვე აღარ არის ინფექციის აღმძვრელის წყარო, მაგრამ შენარჩუნდნენ არაცოცხალი ბუნების დაინფიცირებული ობიექტები (გადაცემის ფაქტორები). ასეთ უბნებს ეპიზოოტიური კერისაგან განსხვავებით უწოდებენ დაინფიცირებულ ტერიტორიას.

არაკეთილსაიმედო პუნქტი (ლათ. Punctum – წერტილი) – დასახლებული პუნქტია მისი

კუთვნილი მიწის ნაკვეთით (ადგილებით), სადაც იყო დაავადების შემთხვევები და შენარჩუნდა ინფექციის აღმძვრელის წყარო.

საშიშროების ქვეშ მყოფ ზონად (მეურნეობა) ჩაითვლება არაკეთილსაიმედო პუნქტის გარშემო მდებარე მეურნეობა (დასახლებული პუნქტი).

ბუნებრივ კერას უწოდებენ ტერიტორიას, რომელზეც ამა თუ იმ ინფექციური დაავადების აღმძვრელი ცირკულირებს აქ მუდმივად მცხოვრებ გარეულ ცხოველებს შორის. მრავალი ინფექციური დაავადების თვისებას, წარმოქმნას ბუნებრივი კერები განსაზღვრულ გეოგრაფიულ ლანდშაფტში, უწოდებენ ბუნებრივ კერობრიობას. ბუნებრივ კეროვან დაავადებებს მიეკუთვნება ძირითადად ტრანსმისიული ინფექციები (ტულარემია, რიკეტსიოზები).

დაავადებათა ბუნებრივ კერებს, რომლებიც ევოლუციურად ჩამოყალიბდნენ და არსებობენ ადამიანის ჩარევის გარეშე, ეწოდებათ აუტოქტონები. ასეთ კერებში ეპიზოოტიურ პროცესს აკავებენ მხოლოდ ველური ფაუნის წარმომადგენლები.

ინტენსიური ათვისების ტერიტორიებზე აუტოქტონური ბუნებრივი კერების რაოდენობა შემცირდა. დღეისათვის ასეთ ტერიტორიებზე სჭარბობს ანთროპოურული კერები, სადაც ადამიანის სამეურნეო თუ სხვა საქმიანობის შედეგია ასახული. ანთროპოურული კერებში

ადრე მოქმედ ეპიზოოტიურ ჯაჭვში ჩაერთო შინაური ცხოველი. შეეგუენ რა მასპინძელი ცხოველების უფრო ფართო წრეს, ზოგიერთი დაავადების აღმძვრელმა მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი მოქმედების არეალი. ზოგ შემთხვევაში შინაური ცხოველი თვითონ ხდება ინფექციის აღმძვრელის წყარო გარეული ცხოველისათვის ისეთი დაავადებების დროს, როგორცაა ხორცისმჭამელთა ჭირი, აუესკის ავადმყოფობა, ტრიქინელოზი და სხვა, რასაც მივყავართ ახალი ბუნებრივი კერების წარმოქმნამდე. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მიერ გარეული ცხოველების დასნებოვნება წარმოშობს ახალ დროებით ბუნებრივ რეზერვუარებს; მაგალითად, თურქულის ვირუსით გარეული წვრილჩლიქიანი ცხოველების დასნებოვნება როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო სამოვრებზე.

წვრილი ძუძუმწოვრები, ფრინველები, მრავალი სახეობის ფეხსახსრიანები ინტენსიურად ათვისებენ ტერიტორიებზე შეეგუენ ადამიანის ახლოს ბინადრობას, გადაიქცენენ სინანტროპებად. ამ პროცესმა განაპირობა დაავადებათა ბუნებრივი კერების წარმოშობის შესაძლებლობა დასახლებული პუნქტების საზღვრებში. ასეთ ბუნებრივ კერებს უწოდებენ სინანტროპულს. ზოგიერთ მონაკვეთზე შეიძლება ერთდროულად რამდენიმე დაავადების კერის ლოკალიზაცია. ასეთ ბუნებრივ კერებს უწოდებენ

შეწყვილებულს (შეუღლებულს). ასე კარგი ტენიანობის შემცველ ნიადაგს უხვი მცენარეული საფარით, რომელიც ხასიათდება თავვისებრთა მღრღნელების მუდმივი მჭიდრო ბინადრობით, შეუძლია ერთდროულად შეაკავოს უწყვეტი ცირკულაცია ისეთი დაავადებების აღმძვრელებისა, როგორცაა ტულარემია, ლეპტოსპიროზი, ქუცხელება.

ზოგიერთი ბუნებრივკერობრივი ინფექციის აღმძვრელის პათოგენობის დიაპაზონი საგანგებოდ ფართოა. მსგავს შემთხვევებში აღმძვრელები ცირკულირებენ მრავალი სახის ამთვისებელ ცხოველში ძალიან დიდ ტერიტორიაზე და ქმნიან დიფუზურ ბუნებრივ კერებს. ასეთი ხასიათი აქვს ლისტერიოზის ბუნებრივ კერებს.

ცნობილია აგრეთვე დაავადების მოძრავი ბუნებრივი კერა. ასეთ კერაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მაშინ, როდესაც ცხოველის დაავადების შესაბამისი აღმძვრელის წარმოდგენილი ბუნებრივი რეზერვუარები დამახასიათებელია სეზონური ან პერიოდული მიგრაციისათვის, მაგ: ორნითოზის მოძრავი კერები, რადგან მტაცებლები და გამავრცელებლები ორნითოზის აღმძვრელისა არიან გარეული ფრინველები, მათ შორის გადამფრენი. შერეული ბუნებრივი კერის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ლისტერიოზის აღმძვრელთა რეზერვუარების გარეული მღრღნელების ტერიამტარებლების მიგრაცია. წლის ცივ პერიოდში

ისინი ბუნებრივი საცხოვრებელი ადგილებიდან მიგრირებენ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ფერმებში და სადგომებში, საფურაჟე საწყობებში, საკვების შემამზადებელ საამქროებში, სადაც შარდთან, ფეკალთან და სხვა გამონაყოფებთან ერთად გამოყოფენ პათოგენურ ლისტერიებს. სწორედ ამ პერიოდში ხდება აღმძვრელის ბუნებრივი ცირკულაციის ჯაჭვში შინაური ცხოველების ჩართვა. შესაბამისად იცვლება კერის ხასიათიც – ის ხდება ანთროპოურგული.

ზოგიერთი მკვლევარი გამოყოფს აგრეთვე დაავადების ე. წ. წყლის და ნიადაგის ბუნებრივი კერების არსებობას, სადაც ცალკეული ინფექციის აღმძვრელი უწყვეტად განიცდის ცირკულაციას ძირითადად ჰიდრობიოცენოზში და ნიადაგურ ბიოცენოზში. დაავადების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ინფექციის აღმძვრელი კონტაქტში იყოს ამთვისებელ ცხოველთან და შესაბამისი ჭიშკრით მოხვდეს მის ორგანიზმში. ამის გარეშე ინფექციური დაავადება არც წარმოიშობა და ვერც გავრცელდება, მაშინაც კი, თუ არსებობს ინფექციის აღმძვრელის წყარო და ამთვისებელი ცხოველები. ინფექციის გადაცემის შესაბამისი მექანიზმი აუცილებელი პირობაა დაავადებათა წარმოშობაგავრცელებისათვის. საშიში ინფექციის წყარო შესაძლებელია, უვნებელი იყოს, თუ არ არის გადაცემის ფაქტორი.

ინფექციის გადაცემის მექანიზმი მოიცავს სამ სტადიას:

დაავადების აღმძვრელის გამოსვლა დასნებოვნებული ორგანიზმიდან. ეს შეიძლება მოხდეს ფიზიოლოგიური რეაქციების პროცესში (დეფეკაცია, მოშარდვა, სუნთქვა და სხვა), ასევე ინფექციისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი პათოლოგიური რეაქციების დროს: ხველება, ცხვირცემინება, პირღებინება და სხვა. ის შეიძლება გამოვიდეს სხეულის ზედაპირზე არსებული წყლულებისა და ეროზიების საშუალებით. სისხლის მიმოქცვის სისტემიდან მათი გამოსვლა ხორციელდება სისხლმწოვი ფეხსახსრიანების მეშვეობით;

ინფექციის აღმძვრელის გარემო არემო ყოფნის სტადია. ეს სტადია გრძელდება მანამ, ვიდრე აღმძვრელები არ მოხვდებიან ახალ ორგანიზმში და იქ არ იპოვნიან ხელსაყრელ პირობებს.

ამთვისებელ ორგანიზმში დაავადების აღმძვრელის შეჭრა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ სტადიებს, შეიძლება, გამოვყოთ დაავადების აღმძვრელის გადაცემის შემდეგი გზები:

პირდაპირი (უშუალო) კონტაქტით, გარემო არის ფაქტორთა მონაწილეობის გარეშე. ასეთ დაავადებას კონტაქტურს უწოდებენ. უშუალო კონტაქტური დაავადების

მაგალითს წარმოადგენს ცოფი, რომელიც გადადის ავადმყოფი ცხოველის ნაკბენით; პირდაპირი კონტაქტური დაავადება ხორციელდება ავადმყოფსა და ჯანმრთელ ამთვისებელ ცხოველებს შორის, ასევე დაგრილების პროცესში. ინფექცია ასეთი გზით გადაეცემა ბრუცელოზის, ვიბრიოზის დაავადებებისა და სხვა შემთხვევებში.

პირდაპირ კონტაქტში შედის დაყნოსვა, მოლოკვა, სხეულის ტანით შეხება, მიხახუნება და სხვა. ასეთი კონტაქტით შეიძლება გავრცელდეს ქოთაო, ეპიზოოტიური ლიმფანგოიტი, მკრეჭავი მუნი, თურქული, ძროხის ჭირი და სხვა.

გარემო არის სხვადასხვა ფაქტორთა მეშვეობით. ინფექციური დაავადების გადატანის მოშუალები შეიძლება იყოს: ა) საკვები და წყალი (ალიმენტარული ინფექციები); ბ) ნიადაგი (ნიადაგური ინფექციები); გ) ჰაერი (აეროგენული ინფექციები); დ) ცოცხალი გადამტანები (ასოსახსრიანები, ფრინველები, არამთვისებელი ცხოველები, ადამიანი); ე) დაინფიცირებული საგნები. ზოგიერთი ინფექციის გადაცემა შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა გზით მოხდეს.

აღმძვრელის გადაცემას გარემოს სხვადასხვა ფაქტორთა მეშვეობით ეწოდება მექანიკური.

ალიმენტარული ინფექციები წარმოიშობა აღმძვრელით დაინფიცირებული წყლისა და

საკვების საჭმლის მომწელებელ სისტემაში მოხვედრის შემთხვევაში. ეს ხდება უმთავრესად ავადმყოფსა და ჯანსაღი პირუტყვის ერთად შენახვის პირობებში, როდესაც ისინი სარგებლობენ საერთო საკვებით, დაწყურვებით, საძოვრით. ასეთი გზით ინფექციის გადაცემა ძირითადად მეურნეობის შიგნით ხორციელდება, მაგრამ მომთაბარე მეცხოველეობის პირობებში შეიძლება დაავადების უფრო ფართო მასშტაბის გავრცელების მიზეზიც შეიქმნას. ალიმენტარულ ინფექციებს მიეკუთვნება ქოთაო, ტუბერკულოზი, ბრუცელოზი, თურქული, ძროხის ჭირი, პარატუბერკულოზი და სხვა.

დაინფიცირებული საკვების გატანით შეიძლება ისეთი ალიმენტარული ინფექციების გატანაც საკმაოდ შორ მანძილზე, რომელთა აღმძვრელი გარემოში გამძლეობით ხასიათდება. ასე ხდება ხშირად თურქულის, ჯილეხის, ემფიზემატოზური კარბუნკულის, ღორის ჭირის, ფრინველის ჭირისა და სხვა ინფექციების შეტანა კეთილსაიმედო მეურნეობებშიც.

ზოგჯერ წყალი ხდება ლეპტოსპიროზის წარმოშობისა და გავრცელების მიზეზი. ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლეპტოსპიროზით მკვდარი ცხოველის ლემს გადაადგებენ წყალში ან ავადმყოფი ცხოველის შარდით აღმძვრელი ხვდება წყალში, აქედან კი – სხვა ცხოველის ორგანიზმში.

დაინფიცირებული ნიადაგით დაავადების გადაცემა ხდება, ძირითადად, ე. წ. ნიადაგური ინფექციების დროს. ასეთ ინფექციებს უწოდებენ ისეთებს, რომელთა აღმპვრელი დიდხანს ინარჩუნებს ნიადაგში საწყის თვისებებს და ნიადაგი ხშირად დაავადების ახალი შემთხვევების მიზეზი ხდება. ასეთი სახის ინფექციების ტიპური წარმომადგენელია ჯილეხი და ემფიზემატოზური კარბუნკული. აღნიშნული ინფექციებით ცხოველთა დაავადება, ძირითადად, სამოვარზე ხდება, რადგანაც ბალახთან ერთად ხვდება ჯილეხის ან ემკარის აღმპვრელის შემცველი მიწაც.

განსხვავებულია ინფექციურ დაავადებათა გავრცელება მომთაბარე, სტაციონარული და ნახევრად სტაციონარული მეცხოველეობის პირობებში. ცნობილია, რომ ცხოველთა საარსებო პირობებს გადამწყვეტი

მნიშვნელობა აქვს ინფექციურ დაავადებათა წარმოშობაგანვითარებისათვის. საარსებო პირობების შეცვლასთან ერთად იცვლება ინფექციურ დაავადებაზე მოქმედი ფაქტორებიც. ეს ფაქტორები სხვადასხვა ხასიათისაა ცხოველთა შენახვის სხვადასხვა სისტემის დროს, ამიტომ გასაგებიც უნდა იყოს ასეთი განსხვავება.

ზონის ბუნებრივკლიმატური ფაქტორები, მეცხოველეობის თავისებურება განაპირობებს არა მარტო განსხვავებულ ეპიზოოტიურ სიტუაციას, არამედ ღონისძიებათა დიფერენცირების აუცილებლობასაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შესწავლილ იქნეს სამხარეო ეპიზოოტოლოგია, გამოვლინდეს ამა თუ იმ დაავადებაზე ხელსაყრელად თუ მავნედ მოქმედი ფაქტორები, რომ ყველა ეს თავისებურება გათვალისწინებულ იქნეს ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსში.



სოციალიზაცია და ეკონომიკა - ქვეყნის ბუნებითა ხეობის მნიშვნე- ლოვანი ფაქტორები

ნაკოლეონ ქარქაშაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი, აკადემიის
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

სოციალიზაცია მეცნიერების შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა და სწავლობს ადამიანების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესებს, მათი აზროვნების ტრანსფორმაციას, საზოგადოების ჩართულობას ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სოციალიზაცია ადამიანების აზროვნების სელექციის შედეგია, მყარი სოციალური გარემო კი მტკიცე ეკონომიკის აშენების ფაქტორია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს განსაზღვრავს საზოგადოების სოციალიზაციის ხარისხიც.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე საშუალებას გვაძლევს,

შევსწავლოთ საზოგადოების განვითარება განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში; გავანალიზოთ ფორმაციების მიხედვით ადამიანების ცხოვრების წესი, შევისწავლოთ საზოგადოებრივი თანაცხოვრების გენეტიკური განვითარების დინამიკა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეთნიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხარისხით. ყოველივე ამას განაპირობებს განსხვავებული ცნობიერება, რომლის საფუძველი ინდივიდუალური საცხოვრისი პირობებია.

ქართველებმა სოციალური განვითარების ყველა საფეხური გავიარეთ, რაც ჩვენს გენეტიკურ სრულყოფაზე მეტყველებს. კულტურით, დამწერლობით, განვითარების საერთო დონით ქართველები

სამართლიანად დგანან მსოფლიოს ცივილიზაციის სათავეებთან.

ფეოდალურ ხანაში განვითარებულმა ხელოსნობამ დღის წესრიგში ჩააყენა სოციალიზაციის საკითხები, გაჩნდნენ მანუფაქტურული გაერთიანებები, დაიხვეწა სამეწარმეო ტექნიკა, ადამიანებმა ისწავლეს წყლის რესურსების საყოფაცხოვრებო და საწარმოო მნიშვნელობით გამოყენება, რაც მნიშვნელოვანი პროგრესი იყო. მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში საქართველო კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში უძლიერესი ფეოდალური ქვეყანა იყო შესაბამისი სახელმეწიფო და საწარმოო ინფრასტრუქტურით, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკით. მისი საერთაშორისო ავტორიტეტი თითქმის ბიზანტიის იმპერიის ტოლფასი გახდა.

მომდევნო საუკუნეებში საქართველოში გამოჩნდა კაპიტალისტური ფორმაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლის განვითარებაც საქართველოს რუსეთთან შეერთებამ უფრო დააჩქარა. ქვეყანაში დაიწყო კლასობრივი დაყოფა. ბატონყმობის გაუქმებამ სერიოზული ბიძგი მისცა ახალი ტიპის საწარმოო და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

იმ პერიოდიდან საქართველოს განვითარება და საზოგადოების სოციალიზაცია თანდათან მიუახლოვდა ევროპულ დონეს, გაჩნდა ქართული კაპიტალი,

რომელმაც სათავე დაუდო ქართული კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას.

ფორმაციის ცვლა ყველა ქვეყანაში მტკივნეული პროცესია და ამის მიზეზი არა მარტო ადამიანებში ძველი მსოფლმხედველობის მსხვრევა და ახლის შექმნაა, არამედ ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაცაა.

ქვეყნის განვითარების ეფექტურობას გეოგრაფიულ საზღვრებში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა განსაზღვრავს. იგი საწარმოო პროცესებში საზოგადოების ჩართულობისა და ქვეყნის მმართველობის ეფექტურობის მაჩვენებელიცაა.

წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნის პოლიტიკაც წარმატებულია და ეს კანონზომიერი პროცესია. აქედან გამომდინარე, საქართველოს შიდა და გარე პოლიტიკაც წარუმატებელია. ადამიანების უმუშევრობა პიკს აღწევს და ამიტომ საზოგადოების პოლიტიზირებაც მაქსიმალურია. ქვეყანაში არსებული ქაოსური სიტუაცია არ იძლევა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობას; იგი ბუნდოვანი და კრიმინალიზირებულია, რაც საშიში ტენდენციაა.

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა წარმოების სოციალისტური სისტემის

პირობებში, რომლის ძირითადი, ფუნდამენტური დებულება წარმოების საშუალებებზე, მათ შორის, მიწაზეც საერთო-სახალხო საკუთრებაა. ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში გაჟღერებულმა ლოზუნგმა „მიწა - გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები - მუშებს“, კარგად „იმუშავა“, თუმცა მომდევნო წლებში მოხდა ეკონომიკური ვარდნა, რამაც საზოგადოებრივი აზრის დეფორმაცია გამოიწვია. ეს უკვე სისტემის კრახის დასაწყისი იყო.

ადამიანები ძნელად ეგუებიან ცხოვრების წესის შეცვლას, მით უმეტეს, თუ არასტაბილურობაც უწყობს ხელს. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის დღემდე აუხსნელია ქონების გადანაწილების ის პროცესები, რომლის შედეგადაც გაურკვეველი საქმიანობის ადამიანებმა უპრობლემოდ ჩაიგდეს ხელში ის უზარმაზარი სიმდიდრე, რასაც კომუნისტების დროს „საერთო-სახალხო“ საკუთრება ერქვა. ამ პროცესმა ქართული საზოგადოება ორ ნაწილად გაყო: მქონებლად და არაფრისმქონედ, ანუ მდიდრებად და ღარიბებად. პირველი სარგებლობს ყველა ცხოვრებისეული სიკეთით, მეორე ყოველივე ამას მოკლებულია.

ადამიანების აზროვნებაში ჯერ კიდევ მყარადაა გამჯდარი ცხოვრების სოციალისტური წესი, საერთო-

სახალხო საკუთრების იდეოლოგია და სხვა, რომელსაც ე.წ. დემოკრატიულმა ხელისუფლებებმა გარდა დემაგოგიისა, ჯერჯერობით სხვა ვერაფერი დაუპირისპირა.

ძველი თაობისგან განსხვავებით, ახალი თაობისთვის სოციალიზაციის პროცესები შედარებით იოლად და უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. ამაში მათ ტექნიკური საშუალებებიც ეხმარება. კომპიუტერი, რომელიც შეიცავს უზარმაზარ ინფორმაციას, თანამედროვე ახალგაზრდების ცხოვრების ნაწილი გახდა. დღევანდელ თაობას დაუბრკოლებლად შეუძლია, გაერკვეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში. იგი უმტკივნეულოდ გადის ადაპტაციის პროცესს და მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების თანამონაწილედ კი ხდება, რასაც უკვე ჩამოთვლილი მიზეზების გამო ვერ „ახერხებს“ წინა თაობები.

ახალგაზრდებმა კარგად აუღეს ალღო იმ ურთიერთობებს, რომლებიც მკვიდრდება ქვეყანაში, კერძოდ, მეწარმესა და დამსაქმებლებს შორის. ისინი სწრაფად გაერკვნენ მიმდინარე საწარმოო პროცესებში, ისწავლეს მენეჯმენტიც, მარკეტინგიც, სხვა ეკონომიკური და პოლიტიკური ტერმინები, ამიტომაც ახალ პირობებთან მათი ადაპტაციაც შედარებით უმტკივნეულოა.

მიუხედავად ამისა, უშუალოდ საწარმოო პროცესებში ახალგაზრდობის ჩართულობა 10-15 პროცენტს არ აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე საქართველოში წარმოების ძირითადი ტვირთი ისევ ძველ, კომუნისტებისდროინდელ თაობაზე მოდის, თუმცა, როგორც ითქვა, ახალ პირობებთან მათი სოციალიზაცია ჯერ კიდევ ვერ შედგა, ძველი მსოფლმხედველობით მუშაობა კი სასურველ ეკონომიკურ შედეგს ვეღარ მოიტანს.

ახალი აზროვნების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს მეცნიერების დახმარებით. სამწუხაროდ, ხელისუფლებები ამ მეტად სერიოზულ ბერკეტს ვერ იყენებენ!

იმედია, დროთა განმავლობაში ქართული საზოგადოებაც შედეგზე, წარსული ცხოვრებისკენ ყურება დროებითია; ის თაობაც წავა, რომელსაც ძველი ცხოვრების ნოსტალგია დღემდე შემორჩა. მომავალი ევროპულ ღირებულებებს ანიჭებს უპირატესობას და ეს კანონზომიერიცაა. წარსულისკენ ყურება არაპერსპექტიულია, ამიტომ ძველმა თაობამაც უნდა დაძლიოს წარსულის ნოსტალგია და ხელი არ შეუშალოს ახალ თაობას. მხოლოდ შეკავშირებული ერი შეძლებს ახალი ცხოვრების აშენებას და ეს პერიოდიც დადგება - თუ როდის, ამას განსაზღვრავს საზოგადოების სოციალიზაცია, რომელიც აუცილებლად მოხდება.



მეფუხეობის მდბო- მახობა და მისი სამომავლო განვითარება ქვეყანაში

ჯემალ გუგუშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი



გიორგი მაქლარაშვილი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი



ლიზა ბაღიაშვილი

მაგისტრი

დარგის ინტენსიური განვითარება გასული საუკუნის შუა პერიოდიდან დაიწყო, როცა შეიქმნა ქვეყანაში მსხვილი საჯიშე მეურნეობები (მუხურის, ხარაგოლის, სამტრედიის, სოხუმის, წნორის, დუშეთის), სადაც აწარმოებდნენ განაყოფიერებულ დედა ფუტკრებს და ნაყრებს. ამავე პერიოდს ეკუთვნის მეფუტკრეობის საცდელი სადგურის შექმნაც თავისი საყრდენი პუნქტებით (ჩოხატაურის, საგარეჯოს, გუდაუთის, ახალციხის). გათვალისწინებული იყო ამ საყრდენ პუნქტებზე ქართული ფუტკრის ცალკეული პოპულაციების ძირითადი სანაშენე ბირთვების არსებობა, საიდანაც მოხდებოდა საჯიშე მეურნეობებში სადედე სულადობის დაკომპლექტება და მისი შემდგომი რეპროდუქცია. მაგრამ როგორც საცდელი სადგურის, ისე მეფუტკრეობის სამმართველომ ვერ შეძლო ამ ფუნქციის შესრულება, რამაც ძალზე სავალალო შედეგი გამოიღო - საქართველომ დაკარგა სანაშენე პროდუქციის ბაზარი, რასაც ვერ უშველა 1975 წელს შექმნილმა რესპუბლიკურმა სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებამ. 80-იანი წლებიდან, როცა ახლადშექმნილ რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას შემთხვევითი, უღირსი ადამიანები ჩაუდგნენ სათავეში, მათ გააკოტრეს ეს გაერთიანება. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მთლიანად მოიშალა მთელი სტრუქტურები და მეფუტკრეობა გადავიდა წვრილგლეხურ მეურნეობაზე. „საქსტატის“ მონაცემებით აღინიშნება ფუტკრის ოჯახების თვალსაჩინო მატება, მაგრამ თავლის

წარმოება 1 კგ-ზე ნაკლებია თითოეულ ოჯახზე, რაც ბუნებრივად ეჭვს ბადებს ამ მონაცემების სისწორეში. მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ლიკვიდირებულ იქნა მეფუტკრეობის ინსტიტუტიც, მასთან ერთად განადგურდა სამეცნიერო კადრები, ექსპერიმენტული ბაზები და ინსტიტუტის მთელი ქონება განყოფილება-ლაბორატორიების სახით. ლიკვიდირებულ იქნა ცალკეული პოპულაციების ბუნებრივი გავრცელების იზოლირებული კერები და ეს ძვირფასი სანაშენე მასალა - მეგრული, ქართლური, გურული და აჭარული პოპულაციები ამჟამად გაქრობის პირზეა მისული.

საქართველოში მეფუტკრეობის დარგის აღმავლობისათვის საჭიროა რიგი ღონისძიებების განხორციელება:

- უნდა განისაზღვროს ქართული ფუტკრის პროდუქციის რეალიზაციისათვის საგარეო და საშინაო ბაზრის შესაძლებლობები. ამ საკითხის განხორციელებისათვის არ კმარა ცალკეულ პირთა ენთუზიაზმი.

- უნდა აღდგეს ოპტიმალურ საზღვრებში მეფუტკრეობის სამეცნიერო კერა, ამის გარეშე შეუძლებელია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, ფუტკრის პროდუქციის სტანდარტიზაცია, თაფლოვანი ფლორის რეზერვების გამოვლენა, სამკურნალო პრეპარატების გამოყენების მეცნიერულად გააზრებული სისტემის შექმნა, სანაშენე - სასელექციო სამუშაოების წარმართვა და სხვ.;

- გააზრებულად წარიმართოს ქართული ფუტკრის სანაშენე პროდუქციის წარმოების მოცულობა და ამისათვის გათვალისწინებულ იქნას უცხოეთის ბაზრის (პირველ რიგში, თურქეთის) მოთხოვნილება კავკასიურ ფუტკარზე, რაც საფუძვლად დაედება სანაშენე საფუტკრეების ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას;

- სხვადასხვა ქვეყნებში თაფლის ექსპორტირებისას სავალდებულო მოთხოვნების შესრულებისათვის წინასწარ უნდა მოხდეს ამ ქვეყნებში თაფლზე არსებული სტანდარტების შესწავლა, პროდუქციის სერტიფიცირება მათ შესაბამისად და სასაქონლო სახის მიცემა;

- ფუტკრის სხვა პროდუქტების (ყვავილის მტვერი, ცვილი, დინდგელი, შხამი, რძე) წარმოებისა და ექსპორტირების შესაძლებლობები. ამ პროდუქტების დამზადებისა და სასაქონლო სახის მიცემისათვის სხვა ქვეყნებში არსებული მოთხოვნების, აგრეთვე ჩვენი მომხმარებლის მოთხოვნილებების შესწავლა და პროდუქციის წარმატებულ რეალიზაციისათვის მის ნაირსახეობათა შექმნის შესაძლებლობების გამოყენება.

- ქართული ფუტკრის დაცვა და მისი აღწარმოებისთვის საჭირო ცალკეული პოპულაციების დაცვის მიზნით იზოლირებული კერების შექმნა. დღეს უფრო ქმედითი საშუალება ამ პოპულაციების დაცვისთვის არ გაგვაჩნია.

- სანაშენე საქმიანობის გააქტიურებისათვის უნდა შეიქმნას უკვე შემოწმებული და საკმაოდ ეფექტური სტრუქტურები ცალკეული პოპულაციების მიხედვით: სანაშენე ბირთვი რეპროდუქტორი საფუტკრეები სასაქონლო მეურნეობებში. სანაშენე ბირთვის ჩამოყალიბება მოხდება ადგილობრივი დაინტერესებული მხარის უშუალო ძალისხმევით, რომელსაც სათანადო სულადობის შერჩევაში დაეხმარება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სანაშენე ბირთვში შექმნილი სულადობით დაკომპლექტდება რეპროდუქტორი საფუტკრეები, ხოლო აქ გაფართოებული აღწარმოებით მიღებული პროდუქცია განაწილდება სასაქონლო (არასანაშენე) საფუტკრეებში. პერსპექტივაში გაღრმავებული სანაშენე საქმიანობისათვის გამოყენებულ უნდა იქნას დედა ფუტკრების ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი. ამავე სქემაში განხორციელდეს სანაშენე საფუტკრეების სერტიფიცირება სასელექციო მიღწევების სტიმულირებისათვის;

- სანაშენე კერების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იქნება ჰიბრიდული დედა ფუტკრების წარმოება, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი სათაფლე პროდუქტიულობის მიღწევას. ამ საქმის საფუძვლად გამოდგება მეფუტკრეობის საცდელ სადგურში ადრე შესრულებული კვლევა პერსპექტიული პოპულაციათაშორის (მეგრული-ქართლური) ნაჯვარი დედა ფუტკრების მისაღებად. შემდგომ კვლევაში დაზუსტდება შეჯვარების

ოპტიმალური ვარიანტი - თავდაპირველად პოპულაციათაშორისი, ხოლო შემდგომ - ხაზთაშორისი ჰიბრიდული დედა ფუტკრების წარმოებით.

- თაფლის შეუფერხებელი რეალიზაციისათვის უპირველესად უნდა გადაწყდეს შესაბამისად მოწყობილი საწარმოების შექმნა, სადაც მოხდება: თაფლის ნატურალობის დადგენა, კონდიციონება, არასასურველი ნივთიერებებისგან გაწმენდა, ჩამოსხმა-შეფუთვა და ეტიკეტირება. დღეს ამ მიმართულებით მხოლოდ ერთადერთი საწარმო არსებობს, რომელიც მინიმალურადაც ვერ ახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. მთელი წარმოებული პროდუქციის პირველადი დამუშავებისათვის ასეთი საწარმოები უნდა შეიქმნას რეგიონული პრინციპით. შემდგომში სასურველია მათი შექმნა ყოველ გამართულ საფუტკრე მეურნეობაში.

- თაფლის ხარისხის დაცვის მექანიზმი. იგი ხორციელდება: ა) თაფლის ნატურალობის დადგენის მეთოდების გამოყენებით, ბ) თაფლის გადამუშავების უახლესი ტექნოლოგიების მეშვეობით (ზედმეტი წყლის, წყალში უხსნადი ნაწილაკების, მცენარეული ტოქსინების, არასასურველი სუნის მოცილება, თაფლის სწრაფი დაკრისტალების საწინააღმდეგოდ მისი კუპაჟირება და სხვ.). ხარისხის დაცვა ის საშუალებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქართული თაფლის კონკურენტუნარიანობა და უცხო ბაზარზე მისი რეალიზაცია.

- ფუტკრის პროდუქტებზე სახელმწიფო სტანდარტების შემუშავება. საკითხის უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო, რაც საჭიროა როგორც მეწარმის, ისე მომხმარებლისთვის, საუკუნის დასაწყისში დაიწყო თაფლზე საჭირო გამოკვლევები, ათვისებულ იქნა კვლევის რიგი მეთოდები, მაგრამ ფინანსური სიძნელების გამო იგი შეჩერდა. თაფლის სტანდარტი გადაწყვეტს ბევრ გაუგებრობას, რაც წარმოიშობა მისი რეალიზაციის პროცესში, დაიცავს პატიოსანი მეწარმის ინტერესებს და ხელს შეუწყობს თაფლის წარმოების დამამთავრებელ ეტაპს (ჩამოსხმა-შეფუთვა, რეალიზაცია). თაფლისთვის ისევე, როგორც ფუტკრის სხვა პროდუქტებისთვის, ამას აქვს პროპაგანდისტული დანიშნულებაც, რადგან ეს პროდუქტები უცხოურ ანალოგიურ პროდუქციას ბიოლოგიური აქტივობით აღემატება, რაც შესაბამის სტანდარტებში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს.

- ფუტკრის სხვა წარმოება და მათი რეალიზაცია მეფუტკრეობას საკმაოდ მნიშვნელოვან შემოსავალს მოუტანს. დღეს ყველაზე მოწესრიგებულია ფუტკრის შხამისა და რძის წარმოება, შედარებით ჩამორჩება ყვავილის მტვრისა და დინდგელის დამზადება-გამოყენება. აუცილებელია ამ პროდუქტებზე სტანდარტების შემუშავება და გადამმუშავებელი საწარმოების შექმნა, ნედლეულის სანაცვლოდ მზა პროდუქციის წარმოება, მოსახლეობისათვის ახალი სასურსათო, სამკურნალო და

მასტიმულირებელი პრეპარატების შემუშავება.

- მეფუტკრეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფუტკრის დაცვასა და მოსახლეობისთვის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, რაც მოითხოვს რიგი საკითხების გადაწყვეტას, კერძოდ:

საფუტკრე ინვენტარის წარმოება და საჭირო მოწყობილობის (ჭურჭელი, ციბრუტი და სხვ.) შექმნა;

ხელოვნური ფიჭის დამზადებისათვის საცვილე ნედლეულის დაცვა ფალსიფიკაციისაგან;

საფუტკრე ინვენტარის (სკა და სხვ.) დამზადება ნებადართული მასალების გამოყენებით;

თაფლის დამზადების პროცესში მხოლოდ ნებადართული მასალისაგან გაკეთებული ჭურჭლის გამოყენება;

თაფლის წურვისთვის ეკოლოგიურად სუფთა მოწყობილობის (ციბრუტი და სხვ.) გამოყენება;

ფუტკრისათვის იმ სამკურნალო პრეპარატების გამოყენება, რაც არ იწვევს პროდუქტებში მათი ნარჩენების მოხვედრას და ხარისხის გაუარესებას;

- ფუტკრისათვის უფრო სრულყოფილი საკვები საშუალებების წარმოება და გამოყენება, რომელთაგან პროდუქციის დაბინძურების გამომჟღავნება გაადვილებულია და მათი მართებული

გამოყენება აუმჯობესებს საფუტკრე მეურნეობის ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

- თაფლოვანი ფლორის გამოყენების გაუმჯობესებისათვის საჭიროა, ძირითადი თაფლოვანი მცენარეების გარდა გაიზარდოს დამატებითი თაფლოვანების რეზერვები მათი დარგვის მეშვეობით (ხეზურა, ევოდია, დოიცია, მასტაკანთო და სხვ.); ბალახეული მცენარეებიდან - სილფია, რაფსი, ფაცელია და სხვ. სტაციონარული საფუტკრეებისათვის უნდა მოეწყოს მწვანე სანექტრე კონვეიერი. აუცილებელია ამ თაფლოვანმცენარეთა სათესლე და სანერგე მეურნეობის მოწყობა.

- აქტიურ სეზონზე საკმაოდ ხშირად წარმოქმნილი უღალო პერიოდების უარყოფითი ზემოქმედებისაგან ფუტკრის დასაცავად ხელი უნდა შეეწყოს საფუტკრეების მფლობელებს ფუტკრის მთაბარობაში და ამ მიზნით თაფლოვანი მასივების მფლობელებმა უზრუნველყონ მათთვის საჭირო ადგილების გამოყოფა ფუტკრის განთავსებისათვის. ნიადაგის აქტიური ეროზიის რაიონებში რეკომენდებულ იქნას მეფუტკრეობის ინსტიტუტის მიერ გამოვლენილი მცენარეების (თეთრეკალა, ფუჭფუჭა, ტყისცოცხი) გამოყენება, გაიშალოს საკვლევი სამუშაოები ახალი, პრაქტიკისათვის დღემდე უცნობი თაფლოვანი მცენარეების გამოვლენისა და გავრცელებისათვის.

- მემცენარეობაში ფუტკრის გამოყენება უნდა ჩაითვალოს აგროტექნიკის

სავალდებულო ელემენტად.
განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს XX საუკუნის 70-იან წლებში შემუშავებული რეკომენდაციები ფუტკრის გამოყენებაზე, რაც საფუძვლიანად უნდა განახლდეს რიგი მიზეზების გამო:

რეკომენდაციები მიეცეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მფლობელებს და საფუტკრეთა მეპატრონეებს, ფართოდ გამოიყენონ ფუტკრის პოტენციალი ენტომოფილური მცენარეების თესლისა და ნაყოფის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, ხოლო დამტვერვის პროცესში ფუტკარი დაცული იქნას პესტიციდებისაგან და გარემოს მავნე ფაქტორებისგან;

მიზანშეწონილად ჩაითვალოს მეფუტკრეობის ინსტიტუტის მიერ შედგენილი მემცენარეობაში ფუტკრისმიერი დამტვერვის ნორმებისა და სამუშაოს ანაზღაურების შესახებ მეთოდური მითითების განახლება და მისი წარდგენა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში დასამტკიცებლად.

რჩევა მიეცეს სასათბურე მეურნეობის მეპატრონეებს, ზუსტად დაიცვან სათბურეებში დასამტვერად შეტანილი ფუტკრის ოჯახების მოვლა-შენახვისა და გამოყენების ტექნოლოგიური ხერხები.

- მეფუტკრეთა კვალიფიკაციის ამაღლება. დარგის მომსახურება ამჟამად მინდობილია ისეთ კონტინგენტზე,

რომლის კვალიფიკაცია საჭიროებს ძირეულ გაუმჯობესებას. ნათქვამი ეხება როგორც ფუტკრის მომსახურე რგოლს, ისე ე.წ. მაღალი დონის სპეციალისტებს, რომელთა ცოდნის შევსება აღარ ხდება ინფორმირების შეწყვეტის გამო, ხოლო უმაღლესმა სასწავლებლებმა საერთოდ შეწყვიტეს მეფუტკრეობის სწავლება. ამრიგად, ეს ერთ-ერთი ყველაზე მოუგვარებელი საკითხია, შეიმჩნევა ორგანიზატორთა სრული ვოლუნტარიზმი, რის დასაძლევადაც საჭიროა:

- აღრიცხულ იქნას ის ორგანიზაციები, რომლებიც აცხადებენ პრაქტიკოს მეფუტკრეთა სწავლებაზე პრეტენზიას;

- შეფასდეს განათლების სამინისტროს მხრიდან, რამდენად მომზადებული არიან ეს ორგანიზაციები პროცესისათვის, რა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები აქვთ და რამდენად შეესაბამება მასწავლებელთა კვალიფიკაცია მეფუტკრეთა მომზადების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, ჩატარდეს ამ სასწავლებლების სერტიფიცირება;

- გაირკვეს, არის თუ არა საშუალება, მეფუტკრემ შეიძინოს მაღალ დონეზე შედგენილი სახელმძღვანელო ლიტერატურა, საჭიროების შემთხვევაში მოგვარდეს ეს საკითხი და აღიკვეთოს იმ სახელმძღვანელოების გამოყენება, რაც გაუმართავად, არაპროფესიულად არის დაწერილი და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.



ხვევისა და ბალახაუშავები მეწველობის ინოვაციური ბანკითა ხების ძიებით მიმართულებები საქართველოში

ნუგზარ ბალაშვილია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი, საქართველოს
კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტის დირექტორი

კვების მრეწველობა – ესაა მრავალპროფილიანი, ეფექტური და საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პოტენციალი, რომლის განვითარებაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემებისა და ეროვნულ-ეთნიკურ ურთიერთობათა პრობლემების მოგვარების საკითხიც.

გასულ წლებში აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში წარმოებული პროდუქციის პიკური მაჩვენებლები იყო: ყურძნის ღვინო – 22 მლნ დეკალიტრი, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები – 1200 მლნ კ.კ., პირველადი გადამუშავების ჩაი – 140 ათასი ტონა; ეთერზეთოვანი ნედლეული – 51 ათასი ტონა, საკვები თევზის პროდუქცია –

83 ათასი ტონა, ფერმენტირებული თამბაქო - 20 ათასი ტონა და ა.შ.

კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობა უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობაში წარმოებული ნედლეულის სრულ ათვისებას და შესაბამისად სოფლის მოსახლეობის დასაქმებას. მხოლოდ კვების მრეწველობაში დასაქმებული იყო 80 ათასზე მეტი ადამიანი. მათ შორის ჩაის მრეწველობაში – 18,6, პურისა და სკონდიტრო მრეწველობაში - 14, საკოსერვო - 11, ღვინის - 7,5, თამბაქოს წარმოება - 7,9, ხორცისა და რძის - 8,5, თევზის - 3,6 ათასი და ა.შ.

როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზების გამო საქართველოს კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგები


უმოქმედოდ დგას. სოფლის მეურნეობაში არსებული ნედლეულის დამზადების შესაძლებლობები დღემდე რჩება გამოყენებელი რეზერვის მდგომარეობაში, რაც გადაუჭრელ პრობლემად ტოვებს მოსახლეობის სოფლად დასაქმებას, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ათვისების საქმეს. ამასთან, დღემდე არ არსებობს ამ სფეროს აღორძინების მეცნიერულად დასაბუთებული არც კონცეფცია და არც ცალკეული დარგების განვითარების კონკრეტული პროგრამები.

ბოლო წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი კვების პროდუქტებიდან არცერთზე არ არსებობს მოთხოვნილება საზღვარგარეთის ქვეყნებში. როგორც ევროპის, ასევე ამერიკის ბაზრები გაჯერებულია სუფრის ღვინოებითა და ხილ-კენკროვანთა წვენებით, სხვა ტრადიციული კვების პროდუქტებით, რის გამოც აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ახალი მიმართულებების გამოკვლევა ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით.



სურ. 1. რუსეთის ბაზარზე ფუნქციონალური კვების პროდუქტების მიმწოდებელი ქვეყნები

ფინეთის, ესტონეთის, იაპონიისა და სხვა შედარებით პატარა ქვეყნების გამოცდილების გაცნობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტებისა და ნატურალური საკვები დანამატების წარმოება ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით. როგორც სურ. 1-დან ჩანს, საქართველოს მსგავს ისეთ პატარა ქვეყნებზე, როგორცაა ფინეთი და ესტონეთი, მოდის რუსეთში მიწოდებული ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების 78%.



სურ.2. ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების ბაზრები

განვითარების ამ გზას აღნიშნული ქვეყნები დაადგა იმის გამო, რომ ტრადიციული პროდუქტების წარმოებაში ისინი ვერ გაუწევენ კონკურენციას მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს ვერც ევროპაში და ვერც ამერიკაში. მხოლოდ მეცნიერებატევადი, ინოვაციური კვების პროდუქტებითა და ნატურალური საკვები

დანამატებით შეეძლება დაიკავოს თავისი ადგილი საქართველომ როგორც რუსეთის, ასევე დანარჩენი მსოფლიოს ბაზრებზე.

ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტები – ესაა ყოველდღიური მოხმარების პროდუქტები, რომლებიც გამდიდრებულია მათში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით.

იაპონიაში ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტები განიხილება, როგორც მედიკამენტური თერაპიის ალტერნატივა და მათი წარმოება შეადგენს ამ ქვეყანაში წარმოებული სურსათის 50%.

ცნება „ფუნქციური დანიშნულების პროდუქტი“ გამოიყენება 1991 წლიდან მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო დონეზე იქნა დადგენილი მოთხოვნები სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების კვების პროდუქტებისადმი (FOSHU - Food of Specific Health Use). კვების პროდუქტების ფუნქციონალურ მიმართულებას განსაზღვრავენ შემდეგი პირობები: ნატურალური ინგრედიენტებისაგან დამზადების აუცილებლობა; ამ პროდუქტების ყოველდღიურ რაციონში გამოყენების შესაძლებლობა; ორგანიზმზე გარკვეული ზემოქმედების არსებობა ამ პროდუქტების მოხმარებისას (მაგალითად, ორგანიზმის ბიოლოგიური დაცვის მექანიზმის გაძლიერება, კონკრეტული დაავადებების პროფილაქტიკა, დაბერების პროცესის შეწყვეტა და ა.შ.).

როგორც სურ. 2-ის მონაცემებიდან ჩანს, ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების ძირითადი მომხმარებლებია იაპონია, აშშ და ევროპის განვითარებული ქვეყნები. აღნიშნული პროდუქტების მოხმარება მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება 15-20%-ით, მათ შორის რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებშიც.

საქართველოში არსებობს ვაზის 500-ზე მეტი ჯიში, რომელთაგან გამოკვლეული და წარმოებაში დანერგილია ყურძნის მხოლოდ ის ჯიშები, რომლებიც იძლევიან საუკეთესო ხარისხის ღვინოებს. ამასთან ერთად არსებობს ყურძნის მრავალი ქართული ჯიში, რომლებიც შეიძლება ნაკლებად პერსპექტიული იყოს ღვინის წარმოებისათვის, მაგრამ დაბალმეტოქსილირებული პექტინის, ფენოლური ნაერთების მაღალი შემცველობის გამო, შეიძლება, პერსპექტიული გახდეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი რადიოპროტექტორული დანიშნულების, ანტიოქსიდანტური და ანტიკანცეროგენული სასმელების დასამზადებლად.

ყურძნის ღვინოდ გადამუშავებისას ყოველ 2 ბოთლ მზა პროდუქტზე მოდის 1 ბოთლი ყურძნის გადამუშავების ნარჩენი. ეს უკანასკნელი მდიდარია ფენოლური ნაერთებითა და პექტინოვანი ნივთიერებებით, რაც მას ხდის საუკეთესო ნედლეულის წყაროდ ანტიოქსიდანტური და ანტიკანცეროგენული სასმელების დასამზადებლად.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მანდარინის ნაყოფები, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე რჩება გამოუყენებელი რეზერვის მდგომარეობაში. ამ ძვირფასი საკონსერვო ნედლეულის დამზადებისას არასტანდარტული ნაყოფები შეადგენს საერთო მოსავლის 40-45%. ჩვენი გამოკვლევებით დადგინდა იქნა, რომ ციტრუსოვანთა არასტანდარტული ნაყოფები (ლიმონი, მანდარინი) გაცილებით მეტი რაოდენობით შეიცავს ბიოაქტიურ ნივთიერებებს სტანდარტულ ნაყოფებთან შედარებით და, ამდენად, პერსპექტიულ ნედლეულს წარმოადგენს საექსპორტო პროდუქციის - ფუნქციონალური კვების პროდუქტებისა და ნატურალური საკვები დანამატების საწარმოებლად.

მას შემდეგ, რაც საქართველოს კანონმა ვაზისა და ღვინის შესახებ აკრძალა დასახელება „ქართული კონიაკის“ გამოყენება, გარკვეული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება, რადგანაც “ქართული ბრენდი“-ს არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია, ჩაანაცვლოს “ქართული კონიაკი”, თავისი დაბალი ხარისხისა და არაპოპულარობის გამო.

საქართველოს შეუძლია, უზრუნველყოს კვების მრეწველობის დარგები სამამულო წარმოების შაქრით, რაც ესოდენ აუცილებელია ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტების თვითღირებულების შემცირებისა და, შესაბამისად, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის.

დღემდე გამოუყენებელი რჩება ნატურალური საკვები დანამატების _ ეთეროვანი ზეთებისა და მცენარეული წარმოშობის ნატურალური საღებავების წარმოების შესაძლებლობები. გასულ წლებში საქართველო აწარმოებდა 2-3 ტონა ნატურალურ საღებავებს, რაც დღევანდელ ფასებში შეადგენს 50-75 მლ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციას. მთლიანად განადგურდა ცალკე დარგად ჩამოყალიბებული ეთერზეთების წარმოება, რაც ასევე მოითხოვს აღდგენასა და ქვეყნის სამსახურში ჩაყენებას.

ქვემოთ მოყვანილია საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შესრულებული სამუშაოების შედეგები, სამუშაოებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავებას ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით მსოფლიო ბაზარზე, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნასა და მათი წარმოების მოწყობას.

კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინოვაციური განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინოვაციური განვითარების ყველაზე რეალურ გზას წარმოადგენს აგროტექნოპარკების შექმნა.

აგროტექნოპარკი – ესაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაციის ფორმა, შექმნილი აგრარულ სფეროში არსებული ინოვაციების კომერციალიზაციის მიზნით.

აგროტექნოპარკის შექმნა გამიზნულია ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტის ბაზაზე. ინსტიტუტს დამუშავებული აქვს აგროტექნოპარკში დასაწერად შემდეგი ინოვაციური ტექნოლოგიები:

1. პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის მიღების ტექნოლოგია. პურის მრეწველობაში გამოყენებული ხელოვნური გამაუმჯობესებელი – გლუტენი იწვევს უმძიმეს დაავადებას – ცელიაკიას, რის გამოც მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება ნატურალურ გამაუმჯობესებლებზე. ინსტიტუტში დამუშავებული ნატურალური გამაუმჯობესებელი წარმატებით გამოიცადა საქართველოსა და ჰოლანდიის საწარმოებში. ამ დანამატის მისაღებად შეიძლება, ათვისებულ იქნას 30 ათასი ტონა ყურძნის ნედლეული.

2. თხევადი შაქრის წარმოების ტექნოლოგია. დამუშავებულია შაქრის სორგოსაგან თხევადი შაქრის წარმოების რაციონალური ტექნოლოგია. შაქრის სორგო შეიძლება, მოყვანილ იქნას წითელწყაროს რაიონში არსებულ დამლაშებულ (60 ათას ჰა) მიწებზე. აქ შეიძლება, ვაწარმოოთ 100-120 ათასი ტონა იაფი თხევადი შაქარი კვების მრეწველობის დარგებისათვის.

ხაზგასასმელია ისიც, რომ შაქრის სორგო ახდენს დამლაშებული ნიადაგების განმარილიანებას.

3. ნატურალური საკვები დანამატების (არომატიზატორები, საღებავები) წარმოების ტექნოლოგიები. ევროპასა და ამერიკაში დიდი მოთხოვნილებაა ნატურალურ საკვებ დანამატებზე. დამუშავებულია ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით ნატურალური საღებავებისა და არომატიზატორების (ეთეროვანი ზეთები) მიღების ინოვაციური ტექნოლოგიები.

4. ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიები. მსოფლიოში იზრდება მოთხოვნილება ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტებზე, რომლებიც წარმოადგენენ მედიკამენტური თერაპიის ალტერნატივას. ინსტიტუტში დამუშავებული ინოვაციური ტექნოლოგიებით შეიძლება, წარმოებულ იქნას 70-80 ათასი ტონა ანტიკანცეროგენური და რადიოპროტექტორული დანიშნულების საექსპორტო პროდუქცია.

5. 2010 წელს ინსტიტუტმა მეღვინეობის მსოფლიო კონგრესს გააცნო ინსტიტუტში დამუშავებული კახური ტიპის ღვინოების ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები. 2013 წელს იუნესკომ ქვევრის ღვინის დაყენების კახურ მეთოდს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რაც გზას უხსნის ამ ტიპის ღვინოებს მსოფლიო ბაზარზე დასამკვიდრებლად.

6. ჭაჭის არაყი ანუ “ჭაჭა” ქართული კულტურის ისეთივე ნიშანია, როგორც კახური ტიპის ღვინო. ინსტიტუტის მიერ დაპატენტებული ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში “ჭაჭა”-ს ყველა მონაცემი აქვს, იქცეს ისეთივე სახელგანთქმულ სასმელად, როგორცაა იტალიური “გრავა”. ამასთან, შეიძლება ვაწარმოთ 20-25 მლნ ბოთლი საექსპორტო პროდუქტ

7. ატმის გადამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიები. ატმის დამზადებამ საქართველოში მიაღწია 80-90 ათას ტონას. ინსტიტუტის მიერ დამუშავებულია მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქტების – ატმის პიურეს, წვენებისა და ა.შ. მიღების რაციონალური ტექნოლოგიები, რომელთა რეალიზაცია მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს.

8. ციტრუსოვანთა ნაყოფების გადამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიები.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. საქართველოში გასულ წლებში მზადდებოდა 450-500 ათასი ტონა ყურძენი. ყურძნის ამ რაოდენობიდან მაღალხარისხოვანი ღვინის მისაღებად პერსპექტივაში შეიძლება, გამოყენებულ იქნას (ღვინოზე არსებული მოთხოვნილებიდან გამომდინარე)

250-300 ათასი ტონა ყურძენი. ყურძნის დანარჩენი რაოდენობა გამოყენებულ უნდა იქნას ფუნქციონალური დანიშნულების სასმელებისა და ნატურალური საკვები დანამატების მისაღებად. ყურძნის ეს რაოდენობა საშუალებას იძლევა, ვაწარმოთ 0,6-0,8 მლრდ აშშ დოლარის საექსპორტო პროდუქცია;

2. ჭაჭის არყის წარმოების ახალი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, გავზარდოთ ყურძნისეული წარმოშობის ქართული სასმელების კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, ვაწარმოთ 250-300 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საექსპორტო პროდუქცია.

3. ციტრუსოვანთა არასტანდარტული ნაყოფებიდან (მანდარინი) შეიძლება, ვაწარმოთ 100-150 მლნ აშშ დოლარის საექსპორტო პროდუქცია დაბალმოლეკულური პექტინით გამდიდრებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების სასმელებისა და ნატურალური საკვები დანამატების სახით.

4. საქართველოში შეიძლება, ვაწარმოთ 200-300 მლნ აშშ დოლარის საექსპორტო პროდუქცია ნატურალური საკვები არომატიზატორების, საღებავებისა და მათზე დამზადებული ფუნქციონალური დანიშნულების ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების სახით.

5. ხილ-კენკროვანთა ნედლეულის პოტენციური რესურსების გამოყენებით

შეიძლება, ვაწარმოოთ 250-300 მლნ დოლარის პროდუქცია ფუნქციონალური დანიშნულების სასმელებისა და ნატურალური საკვები დანამატების სახით.

6. საქართველოში არსებული მცენარეული ნედლეულის პოტენციური რესურსების ათვისების, მათგან კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნისა და წარმოებაში დანერგვის მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმნას აგროტექნოპარკი.

აგროტექნოპარკის (GFI) ფუნქციონირების მოსალოდნელი შედეგები:

სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება;

- ✓ იმ მეცნიერი მუშაკების, დოქტორანტების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის ხელშემწყობი სასტარტო პირობების შექმნა, რომელთაც დაგეგმილი აქვთ საკუთარი კომპანიების გახსნა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში სამეწარმეო საქმიანობა;

- ✓ უკვე არსებული მცირე და საშუალო საინოვაციო კომპანიებისათვის, ასევე ურთიერთხელსაყრელი პირობებით აგროტექნოპარკთან თანამშრომლობის მსურველი კომპანიებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა;

- ✓ კოოპერატივებისგან განსხვავებით (რომლისთვისაც ჯერ მზად არ არის საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი), ტექნოპარკისთვის ძირითადია პრინციპი – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები არ უნდა ეწეოდნენ პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებულ დამატებით რისკებს. მეურნე რჩება თავის სახლში, თავის მეურნეობაში. გლეხს (მეურნეს) არ სჭირდება საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, დამატებითი კრედიტების აღება; მის მიერ საკუთარ მეურნეობაში წარმოებულ პროდუქტსა თუ ნახევრფაბრიკატზე ანგარიშსწორება ხდება ადგილზე პროდუქციის ჩაბარებისთანავე.

7. საქართველოში საინოვაციო საქმიანობის სტიმულირების მიზნით პარლამენტის მიერ მიღებულ უნდა იქნას კანონი „ტექნოპარკების საინოვაციო მოღვაწეობის სპეციალური რეჟიმის შესახებ“.



მეაბრეშუმეობა და მისი მახოფიდახად დახებათან შეთანხმება, ხოცი და მნიშვნელობა

გიორგი ნიკოლიშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი



ელგუჯა შაშაძიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი

მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგია, გამოირჩევა მაღალსაქონლიანობით, მაპროფილებელ (დამატებით) დარგებთან რაციონალური შეთანხმებით და მეურნეობის სტრუქტურების სრულყოფით. ამასთან, ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, შრომითი რესურსების და საწარმოო საშუალებების

რაციონალურ გამოყენებას, ასე რომ ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს დარგთა რაციონალური შეთანხმება პრაქტიკულად განსაზღვრავს მათი სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგს.

დარგთა (კულტურათა) შეთანხმება უნდა შეესაბამებოდეს მეცნიერების უახლესი მიღწევების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მოთხოვნებს, კონცენტრაციის

კონკრეტული პირობების ოპტიმალურ დონეს; შრომის, ტექნიკის და სხვა საშუალებათა ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის წარმოებას, შიდამეურნეობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

დარგების რაციონალურ შეთანწყობას საფუძვლად უდევს სამეურნეო ხასიათის მთელი რიგი მოსაზრებები, რომელთაგან მთავარია:

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გაძღოლა, თვითდაფინანსების ინტერესებიდან გამომდინარე მაქსიმალური ეფექტიანობა და მყარი ეკონომიკური პირობების უზრუნველყოფა;

ნარჩენების რაციონალური გამოყენება – ძირითადი პროდუქციის ნაწილის მიერ მეორე დარგის განვითარებისთვის სარგებლობის მოტანა და უნარჩენო ტექნოლოგიების განვითარება;

მეურნეობის კონკრეტული ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მაქსიმალური გათვალისწინება, რაციონალური მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მაღალხარისხოვანი პროდუქციით;

თუთის მცენარის მრავალმიზნობრივი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა;

წარმოების საშუალებათა (საჭიე შენობები, საშრობი ფარდულები) და ტექნიკის ეფექტიანი გამოყენება;

მიწების რაციონალური გამოყენება, ეროზიის წინააღმდეგ ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა;

შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, სეზონურობის დაძლევა და დანახარჯების მიმოქცევის დაჩქარება;

საწარმოთა შიდა მოთხოვნილების დაკმაყოფილება კვების პროდუქტებზე და, განსაკუთრებით, მაღალხარისხოვან საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე.

მთელი წლის მანძილზე ფულადი შემოსავლების შედარებით გამოთანაბრებული მიღება, ტრანსპორტის ხარჯების შემცირება, მოსახლეობის პროფესიონალიზმის სრულყოფილი გამოყენება და ა.შ.

დარგთა სავალდებულო ურთიერთშეთანწყობის საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, მეაბრეშუმეობაში შესაძლებელია, შეთანწყობილ იქნას მეთუთეობა და მებამბეობა, მეაბრეშუმეობა და დაფნის/ტუნგოს წარმოება, მეთუთეობა და მეაბრეშუმეობა, მეთუთეობა და მინდორსაცავი ზოლების გაშენება, თუთის ნარგაობის ნიადაგის ეროზიული მოვლენებისაგან დაცვა, მეთუთეობა და მეცხოველეობა – შემოდგომაზე გაუხეშებული ფოთლისგან არატრადიციული საკვების (ნეკერი) წარმოება, პლანტაციის რიგთაშორისებში ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა და ა.შ.

უდიდესი შესაძლებლობები არსებობს მეაბრეშუმეობაში საწარმოთა რაციონალური გაძღოლისა და ტექნოლოგიების დანერგვით წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

საქართველოში მეაბრეშუმეობა, მისი ფართოდ გავრცელების რეგიონებსა და რაიონებშიც კი, იყო და კვლავ დარჩება სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგად, რომლის რაოდენობრივი მხარე განისაზღვრება შრომის თავისუფალი რესურსების, არსებული საკვები ბაზის და მიწის სავარგულების ყველაზე რაციონალურად გამოყენების გათვალისწინებით. ამიტომ მეაბრეშუმეობის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის რაციონალურ შეთანწყობას მოცემულ ზონაში, რეგიონში თუ რაიონში სოფლის მეურნეობის მაპროფილებელ დარგებთან. ამასთან, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დამხმარე დარგებთან შეთანწყობის შესაძლებლობაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუთის აბრეშუმხვევიას ახასიათებს არაჩვეულებრივი ჩქარი ზრდა თუთის ფოთოლზე შესაბამისი მოთხოვნილებით. იგი თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე წონაში მატულობს ცხრა ათასჯერ, რაც მეცხოველეობის სხვა დარგებში არ შეინიშნება. აბრეშუმის ჭია ყოველდღიურად ჭამს თავის წონასთან შედარებით 2,4-2,5 - ჯერ მეტ ფოთოლს. ფოთოლზე მოთხოვნილება იზრდება სისტემატურად, მაგრამ არათანაბრად. ჭიის

გამოკვების ინტენსიური პერიოდი იცვლება მისი სრული შეწყვეტით კანისცვლის დროს. მეხუთე ასაკში აბრეშუმის ჭია ითვისებს დაახლოებით 150-160 - ჯერ მეტ ფოთოლს, ვიდრე პირველ ასაკში. 25-30 - ჯერ იზრდება აგრეთვე გამოსაკვები ფართობის რაოდენობაც. კანისცვლის პერიოდში ფოთლის მიწოდების შეწყვეტის პარალელურად მცირდება მუშახელობა მოთხოვნილება. აბრეშუმის ჭიის 4-ჯერ კანისცვლა დაახლოებით 5-6 დღეს გრძელდება და მოიცავს გამოკვების მთელი პერიოდის 15-20%-ს, რაც გავლენას ახდენს დარგთა რაციონალურ შეთანწყობაზე, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის წარმოებაში დანერგვაზე, შრომის ანაზღაურებაზე და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე. აბრეშუმის ჭია მიწოდებული ფოთლის დაახლოებით 55-50%-ს იყენებს, ხოლო დანარჩენი უქმად იკარგება, რაც აგრეთვე შრომის ორგანიზაციის თვალსაზრისით გასათვალისწინებელი ფაქტორია.

აღნიშნული თავისებურებანი აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული პერსპექტივაში დარგის განვითარების ძირითადი მიმართულების განსაზღვრის დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხერხდება მეაბრეშუმეობის სხვა დარგებთან რაციონალური შეთანწყობა, შრომითი რესურსების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, საწარმოო საშუალებების მაღალი წარმოებითი გამოყენება, წარმოებაში შრომის რაციონალური ორგანიზაციის დანერგვა და დარგის რენტაბელობის ამაღლება.

სოფლის მეურნეობაში მიწა ხასიათდება დიდი უნივერსალობით - ერთსა და იმავე მიწაზე შეიძლება, მიღებულ იქნას სხვადასხვა სახის პროდუქცია. ამიტომ მიწის რაციონალური გამოყენების აუცილებლობა და დარგთა მიგნებული შეთანწყობა უახლესი მეთოდების გამოყენებით უნდა მოხდეს.

სოფლის მეურნეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული აგრეთვე ბუნებრივ პირობებთან, რაც თავის მხრივ იწვევს წარმოების სეზონურობას და სხვადასხვა დარგის რაციონალური შეთანწყობის საშუალებას იძლევა, რასაც დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. ამასთან, სოფლის მეურნეობაში იწარმოება მრავალი სახის პროდუქცია, რომელშიც მონაწილეობას დებულობენ ერთი და იგივე საწარმოო რესურსები, რომელთა გამოყენების მრავალვარიანტულობა განაპირობებს ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენების აუცილებლობას და ა. შ.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია გულისხმობს მთავარი (წამყვანი) და დამხმარე დარგების შეთანწყობას, რომელთაც ერთმანეთს შორის აქვთ მეტნაკლები პირდაპირი და შებრუნებული ურთიერთკავშირი. თითოეული დარგის და, აქედან გამომდინარე, მთლიანად მეურნეობის ეფექტიანობა არის შედეგი ამ ურთიერთკავშირისა. დარგთა სწორი შეთანწყობა საშუალებას იძლევა უფრო სრულად გამოვიყენოთ მეურნეობაში

არსებული რესურსები, უფრო შედეგიანად მოვაწყოთ წარმოება. წარმოების სწორ სპეციალიზაციასა და დარგთა სწორ შეთანწყობაზეა დამოკიდებული ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, შრომის ნაყოფიერება, წარმოების რენტაბელობა და სხვა.

ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ოპტიმალური იქნება სპეციალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს მთავარი და დამატებითი დარგების ისეთ შეთანწყობას, რომელიც მოცემულ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში ხელს შეუწყობს მიწის, შრომის, ტექნიკის და წარმოების სხვა საშუალებების რაციონალურ გამოყენებას და პროდუქციის მაქსიმალურ რაოდენობას ნაკლები დანახარჯებით.

მსხვილ კოოპერატივებსა და სხვა გაერთიანებებში (ვთქვათ, სუბტროპიკულ ზონაში) შრომითი რესურსების მთელი წლის მანძილზე შედარებით გამოთანაბრებული დატვირთვის მიზნით შეიძლება, გამოვიყენოთ მრავალწლიანი კულტურებიდან დაფნა და ტუნგო, ხოლო ერთწლიანი კულტურებიდან - ცოცხი, სოია, ტურნეფსი და ბარდა. მითითებული კულტურები მუშახელის მეტ რაოდენობას მოითხოვს ჭიის გამოკვებისაგან თავისუფალ პერიოდში. ამასთან, ბარდა, სოია და ტურნეფსი წარმატებით შეიძლება, მოვიყვანოთ თუთის პლანტაციის რიგთშორისებში,

ხოლო დაფნის ნედლი ტოტების გამოშრობა-შენახვისათვის წარმატებით შეიძლება, გამოვიყენოთ ჭიის გამოსაკვები საჭიე შენობები, სპეციალური ბინები ან მეაბრეშუმეთა სათავსოები, რომელიც პრაქტიკულად 9-10 თვე თავისუფალია. ამავე მიზნით შესაძლებელია მათი გამოიყენება ცოცხის შესანახად და სოიას გასაშრობად. ამით მიიღწევა აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები შენობების მთელი წლის განმავლობაში გამოთანაბრებული დატვირთვა, ფონდუკუგების დაჩქარება და პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით ამორტიზაციის ანარიცხების შემცირება, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს პარკის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ჩვენი გაანგარიშებით, საორიენტაციოდ 1,0 ჰა დაფნის მოსავლიანი (10 ც/ჰა) პლანტაციის მოვლაზე წლის განმავლობაში იხარჯება დაახლოებით 190 კაცდღე. მითითებული კაცდღეების საერთო რაოდენობიდან 22,4% იხარჯება იანვარში, 20,5% თებარვალში, 17,8% მარტში, 11,0% ნოემბერში და 21,1% დეკემბერში, ხოლო მაის-ივნისში - 2,8%. რაც შეეხება ივლის-ოქტომბრის თვეებს, დაფნის პლანტაციებში საჭიროა შრომის საერთო დანახარჯების დაახლოებით 3,5%.

ამრიგად, დაფნის კულტურა აბრეშუმის ჭიის გამოკვებისათვის განკუთვნილ პერიოდში მეტად მცირე რაოდენობით მუშახელს მოითხოვს, რაც უზრუნველყოფს მეაბრეშუმეობასთან მის რაციონალურ შეთანწყობას. ამასთან, მექანიზაციის დონის

ამაღლებით შრომითი დანახარჯები კიდევ უფრო შემცირდება გამოკვების პერიოდში ჭიის კანისცვლის დროს, რაც კიდევ უფრო შეამსუბუქებს მდგომარეობას. ანალოგიური მდგომარეობაა ბარდას, ტურნეფსის და სხვათა წარმოების შემთხვევაში.

ცენტრალური აზიის ქვეყნებში, კერძოდ, უზბეკეთში, მეაბრეშუმეობის არნახული ტემპით განვითარება შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის მაპროფილებელ დარგთან – მებამბეობასთან მისი რაციონალური შეთანწყობის შედეგად.

მეაბრეშუმეობის კლასიკურ ქვეყანაში – იაპონიაში, უმნიშვნელოვანეს პრობლემად იყო მიჩნეული მეაბრეშუმეობის სხვა დარგებთან შეთანწყობის საკითხი. მეცემენტოს მეაბრეშუმეობის ფილიალში, რომელიც ჩიბას პრეფექტურაშია განლაგებული, სხვა პრობლემებთან ერთად შეისწავლებოდა მეაბრეშუმეობის დარგის შეთანწყობა სხვა დარგებთან და მისი ეკონომიკური უპირატესობანი.

საქართველოში სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებთან (მევენახეობა, მეხილეობა და ა.შ.) მეაბრეშუმეობის შეთანწყობის საკითხი უფრო რთულად მოსაგვარებელია, ვიდრე, ვთქვათ, უზბეკეთში – მებამბეობასთან; მეაბრეშუმეობის მდგომარეობას ძაბავს ისიც, რომ მეაბრეშუმეობა, ძირითადად მეჩაიეობისა და მევენახეობის ზონებშია გავრცელებული და მუშახელზე მოთხოვნილების თანამთხვევადია, თუმცა მდგომარეობის შემსუბუქება ამ

შემთხვევაშიც შეიძლება. მაგალითად, თუ ჩაის ფოთლის პირველი კრეფის სეზონი ემთხვევა მაისის თვის მეორე ნახევარს და თუთის აბრეშუმხვევი IV-V ასაკში იმყოფება, მუშახელზე მოთხოვნილებაც პიკს აღწევს; მაშინ გრენას ინკუბაციაც უნდა დავიწყოთ არა აპრილის ბოლო დეკადაში, არამედ მაისის პირველი დეკადის შემდეგ, როცა ჩაის ფოთლის პირველი კრეფის პიკი ჩამცხრალი იქნება და ეს პერიოდი შეიძლება, გამოვიყენოთ მეაბრეშუმეობაში. ანალოგიური ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სხვა დარგებშიც ადგილობრივი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ სოფლად მოსახლეობის დამაგრების, სამუშაო ძალის რაციონალურად გამოყენების საქმეში მეაბრეშუმეობას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. მეაბრეშუმეობაში მუშახელის გამოთანაბრებელი დატვირთვისა და სხვა დარგებთან რაციონალური შეთანწყობის თვალსაზრისით, როგორც აღინიშნა, მეტად მნიშვნელოვანია უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვა, მომავალში რისი საფუძვლიანად შესწავლაცაა საჭირო.

მითითებული დარგების შეთანწყობის მიზანშეწონილობის განსაზღვრის დროს უნდა შევისწავლოთ აგრეთვე თუთის პლანტაციების რიგთაშორისებში მოწეული პროდუქციის (სოიოს, სიმინდის, ბოსტნეული კულტურებისა და შემოდგომაზე ჩამოცვენილი თუთის ფოთლის) მეცხოველეობაში

გამოყენების შესაძლებლობა და ეკონომიკური ეფექტიანობა მუშახელის გამოთანაბრებელი დატვირთვის ჩათვლით.

თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვების სეზონის დამთავრების შემდეგ პლანტაციაში არის გაუხეშებული ფოთლის დიდი მარაგი, რაც ძვირფასი საკვებია შინაური ცხოველებისათვის, მაგრამ მიზნობრივი თვალსაზრისით პრაქტიკულად გამოუყენებელი რჩება. ამჟამად შესაძლებელია შემოდგომაზე გაუხეშებული ფოთლისგან „ნეკერის“ დამზადება მეცხოველეობის გამოსაკვებად. ჩვენი გათვლებით აღნიშნული მეთოდი ეკონომიკურად 2-3-ჯერ უფრო ეფექტურია მთის სათიბში, რცხილასა თუ ნეკერჩხლისაგან დამზადებულ საკვებთან შედარებით.

ანალოგიური მდგომარეობაა თუთის აბრეშუმხვევიას ნაძირის (ეკსკრემენტების) მეთევზეობაში საკვებად გამოყენების (ამჟამად მას იყენებენ მხოლოდ, როგორც ორგანული სასუქი) საქმეში.

მეაბრეშუმეობის განვითარების საფუძველს წარმოადგენს მტკიცე საკვები ბაზა, მაგრამ ჩვენში თუთის ფართო მასივებად გაშენება ყოველთვის იზღუდებოდა და იზღუდება მცირემიწიანობის მიზეზით.

მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობის პირობებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეზღუდულობა მკაცრად უდებს ზღვარს თუთის პლანტაციების გაშენების შესაძლებლობას. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება

უნდა მიექცეს არსებული რეზერვების ამოქმედებას მეთუთეობის სხვა დარგებთან და კულტურებთან შეთანაწყობით, თუთის ცალკე მდგომი მცენარეების გაშენებას მინდორსაცავ ზოლებში, გამწვანების ადგილებში, მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და ხრამების ნაპირებზე, ფერდობებზე, ნაკრძალებში, ქარისმიერ და წყლისმიერ ეროზიულ ნიადაგებზე და მისთვის შესაფერის სხვა ადგილებში (ზღვის დონიდან 1000 მ სიმაღლემდე) გაშენებას.

მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში იაპონიაში თუთის ნარგაობას ძირითადად ეკავა დასამუშავებელი მიწების 12% მაშინ, როცა საქართველოში ეს მაჩვენებელი დაავადება „ფოთლის სიხუჭუჭის“ გავრცელებამდე (1964 წ) თითქმის სიმბოლური იყო, ხოლო ამჟამად უმძიმესი მდგომარეობაა.

სამომავლოდ თუთის ნარგაობის გაშენება უნდა დავუკავშიროთ რეგიონების, საწარმოო სპეციალიზაციის ზონების, ადმინისტრაციული რაიონების და მიკროზონების მიხედვით სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობებს. სახელდობრ, სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის იმ ზონებსა და ქვეზონებში, სადაც მეაბრეშუმეობა კარგად არის განვითარებული და მოსახლეობის განლაგებაც ფოთლით სარგებლობის საშუალებას იძლევა, უპირველესად უნდა გავაშენოთ დარაიონებული ფოთლის მაღალმოსავლიანი ჯიშები (ჰიბრიდები).

იმ ზონებსა და ქვეზონებში, სადაც ფოთლის გამოყენება აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად ნაკლებად ხელმისაწვდომია, წინა პლანზე დგება მერქნის ინტერესები, თუმცა ორივე შემთხვევაში ნარგაობის გაშენების ძირითადი ფუნქცია მაინც ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან დაცვა იქნება.

თუთა სწრაფად მზარდი მცენარეა. ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მისი სიმაღლე 18-20 მეტრს აღწევს, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა კი - 200-250 წელს. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფესვთა სისტემა ტენით ნაკლებად უზრუნველყოფილ ადგილებში 4,0 მეტრ სიმაღლეზე ჩადის ნიადაგში, რაც მისი ფერდობებზე, მდინარის ნაპირებზე, მინდორსაცავ ზოლებში და სხვა ადგილებში გაშენების ხელსაყრელ პირობებს ქმნის. მართალია, ყოველწლიური ექსპლუატაციის შემთხვევაში მაღალშტამბოვანი ნარგაობის სიცოცხლის ხანგრძლივობა 50-60 წლამდე მცირდება, მაგრამ მეაბრეშუმეობის გავრცელების ზონაში ქარსაცავი ზოლების განაპირა მწკრივებში, შიდა ქარსაფარ ზოლებში კი უფრო ინტენსიურად, მისი გაშენება წარმატებით შეიძლება. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სუბტროპიკულ ზონაში მინდორსაცავ ზოლებში ძირითადად გაშენებულია ალელიპატური მცენარეები (მარადმწვანე მცენარეები, ციტრუსები, კაკალი და ა.შ.), რომელთა მოქმედებით ითრგუნება თუთის დაავადება „ფოთლის სიხუჭუჭის“ გადამტანი მწერი, მცირდება მისი მავნე

მოქმედება და ფოთლის შედარებით უკეთეს მოსავალს ვიღებთ, ვიდრე ასეთი მცენარეების გაუვრცელებელ ზონაში.

მეაბრეშუმეობის ახალ, მაღალი ზონის რაიონებში (ონი, ასპინძა, ადიგენი და ა.შ.) და ბარის რაიონების მაღალი ზონის სოფლებში (ვანის რაიონში – ყუმური, გადიდი, სულორი; ჩოხატაურში – სურები, ბაღდადში – საკრაულა და ა.შ.) უნდა გაშენდეს თუთის ისეთი ჯიშები, რომლებიც გამოირჩევიან შედარებით ყინვაგამძლეობით, მოკლე ვეგეტაციის პერიოდით, ძლიერი ფესვთა სისტემის განვითარებით და გვალვაგამძლეობით.

მაღალი ზონის რაიონებში არსებულ ფერდობებზე ეროზიული და ეროზიამოსალოდნელ ადგილებში თუთის ნარგაობა ძირითადად უნდა გაშენდეს ცალკემდგომი მცენარეების სახით, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა. ფოთლის საკვებად გამოყენება შეიძლება 2-3 წელიწადში ერთჯერადი ექსპლუატაციით.

ხრამების, წყალგამყოფებისა და მდინარეების ნაპირებზე გაშენებული ნარგაობის ძირითადი ფუნქცია განისაზღვრება დახრამვის საწინააღმდეგო და მდინარის ნაპირების წალეკვისაგან დაცვით.

მინდორსაცავ ზოლებში თუთის გაშენებით, ერთი მხრივ, მეაბრეშუმეობისთვის მყარი საკვები ბაზის სარეზერვო ფონდი შეიქმნება, ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახურ და სატყეო მეურნეობებს, კოოპერატივებს

და ა. შ. წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით მიეცემათ დამატებითი ფულადი შემოსავლების შესაძლებლობა.

აღნიშნული ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნაყოფმომცემი ნარგაობის გაშენებას. ასე უნდა გაკეთდეს იმიტომ, რომ თუთის ველური ფორმები გამოირჩევიან ძლიერი ნაყოფმსხმოიარობით და მწიფობის ხანგრძლივი პერიოდით, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტყის ბინადართა გამოკვების, მცენარეთა (ტყის) თვითგანახლებისა და ნიადაგის საკვები ელემენტებით გამდიდრების თვალსაზრისით. ამასთან, თუთის ნაყოფი ძვირფასი სასურსათო პროდუქციაა, მისგან შეიძლება დამზადდეს სპირტი, არაყი, ძმარი, სიროფი, კონსერვი, ჯემი და მრავალი სხვა პროდუქტი. თუთის ხის მერქანი სიმაგრის მიხედვით კოპიტის, თელას, თეთრი აკაციისა და სხვა ძვირფასი ჯიშების გვერდით დგას, ხოლო ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით ბევრად აღემატება მათ. იგი კარგად იტანს სინესტეს, თხელ ფირფიტებად დახერხვის დროსაც ინარჩუნებს სიმაგრეს, ფერს, სიპრიალეს, კარგად ექვემდებარება აგრეთვე მხატვრობა-მოჭუქურთმებას, რის გამოც წარმოადგენს ძვირფას სადურგლო მასალას ისეთი ნაკეთობების დასამზადებლად, რომლებიც საჭიროებენ სახარატო დამუშავებას. ამიტომ იყო, რომ ისტორიულად თუთის ნარგაობისადმი ინტერესი განპირობებული იყო, როგორც არა მარტო მეაბრეშუმეობის საკვები ბაზა, არამედ ხეხილოვანი

კულტურა, სამკურნალო, დეკორატიული და ძვირფასი მერქნის მომცემი მცენარე.

თუთის მცენარეს სხვა სასარგებლო თვისებებიც გააჩნია, მაგრამ აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეთუთეობის სხვა დარგებთან შეთანწყობა და პირდაპირი დანიშნულებით გამოყენების პარალელურად თუთის მცენარის სხვა დანიშნულებითაც გამოყენება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებად უნდა იქნას მიჩნეული.

მიმდინარე ეტაპზე მეაბრეშუმეობაში შექმნილი კრიზისული ვითარების გამო თუთის ნარგაობის გაჩეხვა მოდად იქცა. თუ XX საუკუნის 50-70 წლების სინამდვილეში ასე თუ ისე ადმინისტრირების გზით შეიძლებოდა თუთის ნარგაობის მასიური ამოძირკვის შეჩერება და ახალი ნარგაობის გაშენება, სადღეისოდ ასეთი ღონისძიების განხორციელება არავითარ შედეგს არ მოგვცემს.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში პრობლემა უნდა მოგვარდეს არა ადმინისტრირების გზით, არამედ ამ სისტემისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური კანონების მომარჯვებით, მათი მიგნებული გამოყენებით. თუთის განადგურებული საკვები ბაზის იმ ნაწილში, რომელიც წარმოდგენილი (საკარმიდამო, საზოგადოებრივი და ა.შ.) იქნება ინტენსიური ნარგაობის პლანტაციების სახით, რიგთაშორისებში ისეთი კულტურები უნდა ვაწარმოოთ,

რომლებიც ძირითადად ნარგაობას არ მიაყენებენ ზიანს და ნაკლები შრომისა და მატერიალური დანახარჯებით მაღალ მოსავალს მოგვცემენ.

პლანტაციის რიგთაშორისების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის ზონების, ქვეზონების, რაიონების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით რეკომენდებული კულტურების დასათესად აუცილებელია წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან თუთის პლანტაციის (3X3 მ გაშენების სიხშირით) ფოთლის მაქსიმალური მოსავლის შემთხვევაშიც ფოთლის ერთეულზე 4,0-4,5-ჯერ ნაკლებ შემოსავალს იძლევა, ვიდრე ვენახი, 5,0-6,0-ჯერ ნაკლებს, ვიდრე თესლოვანი ხილი და 2,5-3,0-ჯერ ნაკლებს, ვიდრე კურკოვანი (ტყემალი, ქლიავი) ხილი. ასეთ პირობებში ცხადია, ყველაფერი უნდა გაკეთდეს თუთის პლანტაციების რიგთაშორისების მიგნებული გამოყენებისა და ფართობის ერთეულიდან მეტი რაოდენობით შემოსავლის მიღებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენთანაც იგივე მდგომარეობა განმეორდება, რასაც იაპონიაში ჰქონდა ადგილი.

იაპონიაში 1929 წელს თუთის ნარგაობის ფართობი შეადგენდა 624,0 ათას ჰექტარს, 1943 წელს – 364,0 ათასს, ხოლო 1963 წელს 163,7 ათას ჰექტარამდე ანუ დაახლოებით 4,0-ჯერ შემცირდა. მითითებულ პერიოდში თუთის ნარგაობის შემცირების პარალელურად ადგილი ჰქონდა უფრო ეფექტური კულტურების (ბრინჯი,

ხეილოვანი კულტურები და მარცვლეული ნათესი) დაკავებული ფართობების გადიდებას.

თუთის პლანტაციის რიგთაშორისებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანა დამოკიდებულია ნიადაგობრივ პირობებზე, რიგთაშორის მანძილზე, მორწყვის შესაძლებლობებზე, ნიადაგის დასამუშავებელ მანქანებზე და მრავალ სხვა ფაქტორზე. ქვეყნის ყველა რეგიონში თუთის რიგთაშორისებში მოსაყვანად უპირატესობა ენიჭება პარკოსან კულტურებს, რადგან ისინი ახდენენ ჰაერში არსებული ბმული აზოტის შეთვისებას და ნიადაგის განოყიერებას მინიმალური სასუქების შეტანის გარეშე.

დაავადება „ფოთლის სიხუჭუჭის“ გავრცელების ზონაში თუთის რიგთაშორისებში პარკოსანი კულტურების შერჩევის დროს უნდა გავითვალისწინოთ მათი ბიოლოგიური თავისებურებანი და თუთის კულტურასთან შეთანწყობის შესაძლებლობა.

თუთის პლანტაციის რიგთაშორისებში ტურნეფსის მოყვანის საკმაო გამოცდილება ჰქონდა ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურს. იმერეთის ზონაში ტურნეფსი ითესება ზაფხულში და მოსავლის აღება მიმდინარეობს ზამთრის პერიოდში. იგი ძვირფასი წვნიანი საკვებია. მართალია, ტურნეფსი ხელს უწყობს ნიადაგის გამოფიტვას, მაგრამ მისი შევსება მოხდა ორგანული სასუქების გამოყენებით,

რაც მეთუთეობის მეცხოველეობასთან შეთანწყობის შესანიშნავ პირობებს ქმნის.

დადასტურებულია, რომ ოქტომბერ-ნოემბერში თუთის ფოთოლს აქვს კარგი კვებითი ღირსება და წარმატებით გამოიყენება მეცხოველეობაში. მითითებულ პერიოდში აღებული თუთის ფოთოლი საკმაოდ მდიდარია (ნედლი პროტეინი, ნედლი ცხიმი, ნედლი უჯრედი და ა.შ.) ძვირფასი საკვები ნივთიერებებით, ხოლო უფრო გვიან აღებულ ფოთოლში – ერთგვარად მცირდება. ამასთან, სექტემბერ-ოქტომბერში აღებული თუთის ფოთოლი მეცხოველეობისათვის მეტ ყუათიან ნივთიერებებს შეიცავს, ვიდრე იონჯა, სამყურა, ესპარცეტი და სხვა კულტურები, რაც მისი საკვებად გამოყენების ფართო შესაძლებლობას ქმნის.

თუთის პლანტაციების რიგთაშორისებში რეკომენდებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა ძირითადი თუ თანამდევი პროდუქციის სახით, რომელიც წარმატებით გამოიყენება მეცხოველეობაში საკვებად.

ამრიგად, საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენის პროცესი უნდა დაიწყოს მისი სხვა დარგებთან შეთანაწყობის ტექნოლოგიების დანერგვით, რაც ქვეყანას დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. ჩიკვაძე - „საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ეკონომიკის და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევით პროგრამა XXI საუკუნისთვის; შინაარსი, ძირითადი პრობლემები. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ინსტიტუტი; საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციების პრობლემები საქართველოში, შრომების კრებული I ტ. 1996, გვ. 61-85.
2. ნ. იაშვილი, გ. ბახტაძე - „მეაბრეშუმეობის განვითარება საქართველოში“; თბილისი, სახელგამი, 1949, გვ. 6-7.
3. ო. ქეშელაშვილი – „სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიური ანგარიში; თბილისი, 2013, გვ. 337-338.
4. გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე, თ. დალალიშვილი – „შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლებისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი) დამზადების შესაძლებლობა, ტექნოლოგია და ეკონომიკური ეფექტიანობა“, რეკომენდაცია; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2014.
5. გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე, თ. დალალიშვილი - «თერმული წყლით გამთბარ სუბსტრატში თუთის კალმით დაფესვიანება და ეკონომიკური ეფექტიანობა», რეკომენდაცია; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2014.
6. გ. ნიკოლეიშვილი, გ. ჯაფარიძე, ე. შაფაქიძე, თ. კუნჭულია - “საინვესტიციო პროექტი - მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში“; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2015.



საბუნებისმეტყველო მეცნი- ეებათა ხოლი საქართველოს აბიჯად პოლიტიკაში

გურამ ტყემალაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი



გიორგი ქვარცხავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული
მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის
ფაკულტეტის დეკანი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

საქართველოს მთავრობის გაზრდილი
მოთხოვნილება ფუნდამენტური,
საბუნებისმეტყველო და, განსაკუთრებით,
აგრარული მეცნიერებების მიმართ,
ავალდებულებს შესაბამისი დარგის
მეცნიერებსა და პრაქტიკოს ექსპერტ-
სპეციალისტებს, უპირველესი ყურადღება
მიაქციონ ინოვაციური მეთოდებისა

და ტექნოლოგიების შემუშავებასა და
დანერგვას სოფლის მეურნეობაში.

ცხადია, აღნიშნული ამოცანების
გადაწყვეტასა და დასახული მიზნების
განხორციელებაში ანუ საქართველოს
აგრარული პოლიტიკის წარმატებაში
უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ახალ
თანამედროვე მეცნიერულ ხედვებსა და

ინოვაციური ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგებში.

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სიცოცხლის შემსწავლელ ისეთ მეცნიერებათა მნიშვნელობაზე, როგორცაა: ბიოქიმია, ფიზიოლოგია, აგრობიოტექნოლოგია, მიკრობიოლოგია და ჯანსაღი გარემოს სადარაჯოზე მუდმივად მყოფი ეკოლოგიური მეცნიერებები.

განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ბიოქიმიური კვლევის მნიშვნელობას აგრარულ ტექნოლოგიებში, ცხოველთა და ფრინველთა დაბალანსებულ კვებაში, სასურსათო პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებში; მოკლედ შევჩერდებით ადამიანთა კვებაში ქიმიური - ბუნებრივი და ხელოვნური - ინგრედიენტების, ე.წ. საკვები დანამატების აკვარგიანობაზე, მათი ფართოდ გამოყენების შესაძლო უარყოფით შედეგებზე.

თანამედროვე ბიოქიმიის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს ნივთიერებათა ცვლის რეგულაციისა და მიზანდასახული მართვის პრობლემა. პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა აგრარული ტექნოლოგიების, კერძოდ, აგრარული კულტურების პროდუქტიულობის ამაღლების, ცხოველთა კვების, საკვები პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიური

პროცესების სრულყოფისა და შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობაა. ნივთიერებათა ცვლის ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება ნათლად ადასტურებს, რომ ნივთიერებათა ცვლა არის მრავალრიცხოვანი და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და კოორდინირებული ქიმიური პროცესების მწყობრი სისტემა. აგრარულ ტექნოლოგიებში გადამწყვეტ როლს ასრულებს ფერმენტი, რომელთა საშუალებით ხორციელდება როგორც ყველა კონკრეტული რეაქცია და მათი რეგულაცია, ისე მეტაბოლიზმის მთელი პროცესი და მისი მართვა. ფერმენტების აქტივობისა და ბიოსინთეზის ინტიმური მექანიზმების შესწავლა იძლევა მცენარეზე მიზანმიმართული ზემოქმედების საშუალებას, რაც მცენარის ბიოსინთეზურ აქტივობაზე მოქმედების გზით რეალიზდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფერმენტების თვისებებისა და რეგულაციის მოლეკულური მექანიზმების შესწავლას, რომლებიც უშუაოდ არის დაკავშირებული ენერჯისა და აზოტის ცვლასთან, აგრეთვე მცენარეთა ფოტოსინთეზურ აქტივობასთან. ამ უკანასკნელმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მოსალოდნელი გლობალური დათბობის მძიმე შედეგების ნაწილობრივი შემცირების კუთხით.

ორიოდე სიტყვა ბიოქიმიისა და ბიოქიმიური კვლევის შესახებ აგრარულ

მეცნიერებებში, კერძოდ, ცხოველთა და ფრინველთა კვებაში, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავების ტექნოლოგიურ და ბიოტექნოლოგიურ პროცესებში:

ცხოველთა და ფრინველთა კვების მიზანს წარმოადგენს:

მათი ზრდა-განვითარების სტიმულირება და პროდუქტიულობის ამაღლება;

დაბალანსებული რაციონის შემუშავება და შენახვის ჰიგიენური პირობების, ვეტერინარული სამსახურის სრულყოფა და ადამიანისათვის უვნებელი პროდუქციის წარმოება.

ვფიქრობთ, ამ ორი უმთავრესი მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება:

ცხოველთა და ფრინველთათვის საკვებმოპოვებისა და წარმოების წარმადობის გაზრდა და გარემო პირობების გაუმჯობესება (ნიადაგის, ატმოსფეროსა და წყლების ეკოლოგიურ სისუფთავეზე ზრუნვა და სხვ.).

თვით მცენარეული საკვების (ბალახის, თივის, სენაჟის) მრავალფეროვნების გაზრდა და, რაც მთავარია, დაბალანსებული საკვების დამზადება.

ზემოთ მოტანილი მიზნების აღსრულებასა და დასახული ამოცანების გადაწყვეტაში ბიოქიმიას შეუძლია თავისი სიტყვის თქმა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი

მცენარე, ასევე ცხოველი კარგ კლიმატურ პირობებში, ნაყოფიერ ნიადაგზე, დაუბინძურებელი ატმოსფეროსა და წყლების პირობებში იძლევა უხვ და ყუათიან პროდუქციას. აქედან დასკვნა:

უნდა გამკაცრდეს მოთხოვნები ყველა გადამამუშავებელი დიდი თუ პატარა ქარხნის, ფაბრიკისა თუ საწარმოს, ინდივიდუალური, გლეხური თუ ფერმერული მეურნეობის მიერ წარმოებული ყველა სახის პროდუქტის უვნებლობაზე. ამასთან, ყველა აღიჭურვოს თანამედროვე გამწმენდი ნაგებობებით და მათზეც დაწესდეს სათანადო სახელმწიფო რეგულირება. სახელმწიფოს მიერ აგრეთვე უნდა დაწესდეს ატმოსფეროსა და წყლების მუდმივი ქიმიურ-ბიოქიმიური, ტოქსიკოლოგიური და მიკრობიოლოგიური კონტროლი. აიკრძალოს ხმარებიდან ამოღებული და ვადაგასული პესტიციდებისა და შხამ-ქიმიკატების გაუაზრებელი, თვითნებური გამოყენება.

საკვები მცენარეების პროდუქტიულობისა და უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განხორციელდეს: ახალი სერტიფიცირებული ბუნებრივი დანამატების შექმნა, შერჩევა და გამოყენება სხვა პროდუქტებთან კომბინირების გზით; აგროტექნიკური, აგროქიმიური და მელიორაციული ღონისძიებების გაუმჯობესება; ნიადაგის ბიოქიმიურ-მიკრობიოლოგიური შესწავლა;

მცენარეებში ენერჯისა და ნივთიერებების (ამინომჟავების, ცილების, ნახშირწყლების, ვიტამინებისა და სხვ.) ცვლასა და მათს ფოტოსინთეზურ აქტივობაზე მინერალური მარილების, ორგანული სასუქების, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, სხვადასხვა ბიოპრეპარატებისა და სტიმულატორების გამოცდა-გამოყენება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

უნდა მოხდეს თვით სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაზე საკვებში შეტანილი სხვადასხვა მცენარეული, ცხოველური თუ მიკრობიოლოგიური დანამატის ბიოქიმიური გავლენის შესწავლა ასაკის, სეზონურობის, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატის გათვალისწინებით; ასევე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების გაცემა, ცხადია, აღნიშნული დანამატებისა და დანამატისანი საკვების ტოქსიკოლოგიური, მიკრობიოლოგიური გამოკვლევების, აგრეთვე დანამატების ფარმაკოდინამიკისა და ფარმაკოკინეტიკის შესწავლის საფუძველზე.

ამგვარად, ბიოქიმია - აგრარულ მცენარეთა ბიოქიმიის, ცხოველთა და ფრინველთა კვების ბიოქიმიის, რძისა და რძეპროდუქტების ბიოქიმიის, ხორცისა და ხორცპროდუქტების ბიოქიმიის, ნიადაგის ბიოქიმიის, მიკროორგანიზმთა ბიოქიმიისა და სხვათა სახით, ემსახურება

ნიადაგში, მცენარესა და ცხოველში, საკვები პროდუქტებისა და საკვები ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებში მიმდინარე ქიმიური და ბიოქიმიური პროცესების მიზანდასახული მართვისა და რეგულირების მექანიზმების შესწავლას; ახალი ინოვაციური ბიოქიმიური მეთოდების დამუშავებას და სხვ, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება აგრარული კულტურების ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ამაღლებას; საკვები პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური სქემების ოპტიმიზაციას; უვნებელი პროდუქციის წარმოებას; მათ რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას; ნიადაგის დაცვას გამოფიტვისგან; ჰაერისა და წყლების დაცვას დაბინძურებისგან; ჯანმრთელი გარემოს შექმნას, ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

და სულ ბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში და, უპირველესად, აგროკულტურებისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებში, მცენარეთა და ცხოველთა კვებაში, საკვებწარმოებასა და ვეტერინარიაში ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების, მეთოდებისა და მიდგომების დამუშავებას. აღნიშნულ დარგებში ინოვაციებს კი საფუძვლად უნდა დაედოს კვლევის ქიმიური, ბიოლოგიური

და მიკრობიოლოგიური შესაძლებლობები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი ქართული პროდუქციის წარმოება და მსოფლიო ბაზარზე ღირსეული ადგილის დაკავება. დღეს ეს რეალურად მიღწევადია.

ზემოთქმულის განხორციელებას დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მთავრობის დადგენილებით შექმნილი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სამეცნიერო კვლევითი ცენტრი თავისი სამეცნიერო პოტენციალით, მატერიალური რესურსებით, დასახული მიზნებითა და ამოცანებით; აგრეთვე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილი კვლევის თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. გვჯერა, ფაკულტეტი თავისი ადამიანური და მატერიალური რესურსებითა და სტუდენტი ახალგაზრდობით ღირსეულ წვლილს შეიტანს აგრარული მეცნიერებების შემდგომი განვითარების საქმეში.

თანამედროვე აგროტექნოლოგიების და, განსაკუთრებით, ინტენსიური და მაღალინტენსიური ტექნოლოგიების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს აგრარულ კულტურათა ბიოლოგიური

ანუ ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური პოტენციალის ამაღლება, რაც, თავის მხრივ, მაღალპროდუქტიული და მაღალხარისხიანი პროდუქციის მიღების უპირველესი საწინდარია.

უკანასკნელ ხანებში მკვეთრად გაიზარდა აგროტექნოლოგთა ინტერესი ფიტოპრეპარატებისა და სუფთა მეტაბოლიტების ბიოლოგიური და ქიმიური თვისებების შესწავლის მიმართ როგორც ბუნებრივ (ინ ვივო), ისე ხელოვნურ (ინ ვიტრო) ექსპერიმენტებში. აგროტექნოლოგების წინაშე დადგა ამოცანა ფუნდამენტური გამოკვლევების აუცილებლობის შესახებ. ზოგადად, ნებისმიერი ტექნოლოგიური თუ სელექციური პრობლემის გადაწყვეტა, აგრეთვე ნებისმიერი იდეის რეალიზაცია, უბრალოდ, წარმოუდგენელია აგრარული კულტურების ღრმა ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ცოდნის გარეშე. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ აგროტექნოლოგების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს მცენარეთა ბიოლოგიური პოტენციალის განსაზღვრა - მცენარეული ორგანიზმის სხვადასხვა თვისებების გამოვლინების ხარისხის დადგენა, კერძოდ, მცენარის ბიოლოგიური პოტენციალის იმ ნაწილის ამაღლება, რომელიც განაპირობებს მოსავლის მაღალპროდუქტიულობას და ხარისხს. აქედან გამომდინარეობს აგროტექნიკური ღონისძიებების ისეთი კომბინაციების შემუშავების

აუცილებლობა, რომლებიც იძლევა მცენარეთა ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური ერთობლივი პარამეტრების განსაზღვრის შესაძლებლობას. ასეთი მიდგომა კი მოგვცემს აგრარული კულტურების (განსაკუთრებით, მრავალწლიანი კულტურების) ბიოლოგიური პოტენციალის პროგნოზირების საშუალებას უკვე სიცოცხლის პირველივე წელს და არა, ვთქვათ, 15-20 წლის შემდეგ, როგორც ეს ხდებოდა ადრე. მცენარეთა ბიოლოგიურ პოტენციალს ბევრად განსაზღვრავს, მაგალითად, ფოტოსინთეზური პროცესები, ნახშირწყლებისა და ცილების აქტიური ბიოსინთეზი, აზოტისა და ენერჯის ცვლა და სხვ.

აგრარულ კულტურებში ბიოლოგიურ კანონზომიერებათა ცოდნის საფუძველზე ხდება, მაგალითად, ნიადაგში მინერალური და ორგანული სასუქების დიფერენცირებული შეტანა, ცხადია, ნიადაგისა და მცენარის თავისებურებებიდან გამომდინარე და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აუცილებელია, არა მარტო მცენარეთა ბიოლოგიური პოტენციალის ამაღლება, არამედ, ხშირ შემთხვევაში, მცენარეთა დაცვა გაუარესებისაგან, რაც შეიძლება გამოიწვიოს, ვთქვათ, ამა თუ იმ პესტიციდმა.

საქართველო მიისწრაფვის ადგილის დასამკვიდრებლად შედარებით

მოკლევადიან პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებს შორის, ხოლო გრძელვადიან მომავალში - მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა შორის. ამავდროულად ყველას ესმის, რომ დღის წესრიგში რამდენიმე მწვავე საკითხი დგას, რომელთა გადაუჭრელობა აღნიშნულ ინტეგრაციას შეუძლებელს გახდის. ამ საკითხთა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მდგომარეობს ეროვნული ნაწარმის შესაბამისობაში როგორც ევროპის თავისუფალი ბაზრის ძირითად მოთხოვნებთან, ასევე მთლიანობაში განვითარებული მსოფლიოს გლობალური ბაზრების პირობებთან. ეკონომიკის სტანდარტიზაციის ამოცანა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და, ამავდროულად, რთული პრობლემაა ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის სფეროებში.

სურსათის უვნებლობა ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. უკვე რამდენიმე ათასწლეულია, ადამიანები ცდილობენ, თავი დაიცვან მავნებელი და უხარისხო სასურსათო პროდუქტების მოხმარებისგან. ამ თემაზე საუბრობდნენ ჰიპოკრატე, ავიცენა, პანენი და სხვა. ძველი გერმანული კანონმდებლობით არსებობდა მკაცრი სასჯელი იმ მეპურეებისთვის, რომლებიც ცუდ პურს გამოაცხობდნენ და ა. შ.

დადგენილია, რომ გარემოში არსებული ტოქსიკური ნივთიერებების 70% ადამიანის ორგანიზმში სწორედ სურსათიდან ხვდება. მასში საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებები შეიძლება, დაგროვდეს როგორც ბიოლოგიური, ასევე სასურსათო ჯაჭვის მეშვეობითაც. ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიებმა უფრო მრავალფეროვანი გახადა სურსათთან შეხებაში მყოფი მასალები, რომლებიც თავისთავად შესაძლოა, გახდეს სურსათის კონტამინაციის (დაბინძურების) წყარო.

სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე სისტემების მიხედვით გამოკვლეული უნდა იქნას არა მარტო მზა პროდუქტი, არამედ წარმოების მეთოდები, ნედლეული, დამხმარე მასალა, რეალიზაციის პუნქტები. შემოღებულია ახალი, ყოველმხრივი ინტეგრირებული მიდგომა „მინდვრიდან მაგიდამდე“, რომლის თანახმადაც სურსათის უვნებლობის სისტემა უნდა მოიცავდეს წარმოების ყველა ეტაპს.

გლობალური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება. დიდი ყურადღება ეთმობა ასევე ფორტიფიცირებული და გენმოდირეცირებული პროდუქციის კონტროლს.

ფორტიფიცირებული ანუ „გამდიდრებული“ არის პროდუქცია, რომელსაც დამატებული

აქვს აუცილებელი ნუტრიენტები იმ რაოდენობით, რომელიც აღემატება მის ბუნებრივ შემცველობას. ამ მეთოდს მიმართავენ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით. მაგ: სუფრის მარლში იოდის დამატება ხელს უშლის ჩიყვისა და თავის ტვინის დაავადებათა განვითარებას. ასევე ხდება პურის, რძის პროდუქტების და მარგარინის გამდიდრება ვიტამინებით. რადგან საქართველოს მთიანი რეგიონები ოდითგანვე ჩიყვის ენდემურ კერად იყო ცნობილი, ჩვენს ქვეყანაშიც შემუშავებულია ფორტიფიკაციის ეროვნული პოლიტიკა.

დღევანდელ მსოფლიოში სურსათით მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ფართოდ გამოიყენება ბიოტექნოლოგიის უახლესი მიღწევებით მიღებული გენმოდირეცირებული ორგანიზმებიდან (გმო) წარმოებული სათესლე და საწარმო მასალა, ასევე გენმოდირეცირებული სასურსათო პროდუქტები. გმო სასურსათო პროდუქტების გამოყენებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. გამოყენების თვალსაზრისით ასეთი პროდუქტები გამოირჩევიან მაღალი ხარისხით, დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებენ სასაქონლო სახეს და კვებით ღირებულებას. მოწინააღმდეგეების აზრით კი გენმოდირეცირებულ მცენარეთა უჯრედებში შესაძლებელია, მოხდეს ადამიანისთვის საშიში ნივთიერებების (ტოქსინები, ალერგენები) არამიზნობრივი

სინთეზი და ის საზიანო აღმოჩნდეს როგორც ადამიანისთვის, ასევე ეკოსისტემისთვის, რადგან მისი გადაცემა ხორციელდება კვებითი ჯაჭვების საშუალებით. ამიტომ ამ საკითხისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა და ერთგვარი რისკის გამო საერთაშორისო დონეზე (კარტახენას ოქმი) შემუშავდა რეგულირების მექანიზმები. ხოლო გმო-ს შემცველი პროდუქტების ქვეყანაში მიმოქცევის პოლიტიკას განსაზღვრავს სახელმწიფო. აუცილებელი პირობაა გმო-ს შემცველი პროდუქტის შემცველობის აღნიშვნა ეტიკეტზე. ვფიქრობთ, სასურველია, ჩამოყალიბდეს კვების პროდუქტების ხარისხის დარღვევის კონტროლის ლაბორატორია, რომელიც განახორციელებს როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე საკვები პროდუქტების სერტიფიცირების სამუშაოებს, დაწყებულს ნედლეულიდან და დამთავრებულს საბოლოო პროდუქტის შექმნამდე; დამატებით გაითვალისწინებს მონიტორინგს გარემო არეზე, ნიადაგზე, წყალზე, ნედლეულზე და სხვა ფაქტორებზე, რომელსაც გადის საკვები პროდუქტი საბოლოო სახის მიღებამდე.

სასერთიფიკაციო სამუშაოების გარდა ლაბორატორიას აგრეთვე შეუძლია, დამატებით განახორციელოს საკვლევი სამუშაოები და გასცეს რეკომენდაციები საკვები პროდუქტების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ინოვაციების დანერგვა აგრარულ მეურნეობაში კომბინირებული პროცესია და ის ვითარდება ტექნოლოგიებთან, ეკონომიკასთან, ინსტიტუციებთან და საზოგადოების ცვლილებასთან ერთად. ინოვაციების განვითარებისთვის მხოლოდ ცოდნა და ტექნოლოგიების სრულყოფა საკმარისი არაა. ამ დროს უმთავრეს როლს თამაშობს კანონმდებლობა, პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა, დაფინანსების წყაროები და ბაზრის კვლევა (Klerkx, L., Aarts, N., & Leeuwis, C. 2010. Adaptive management in agricultural innovation systems: The interactions between innovation networks and their environment. *Agricultural Systems*, 103, 390-400).

აგრარული ინოვაციური სისტემა წარმოადგენს ამ საქმეში ჩართული ინდივიდუუმებისა და ორგანიზაციების ქსელს, რომელსაც მხარს უჭერს სახელმწიფო პოლიტიკა და ინსტიტუციები და რომლის შედეგია ახალი პროდუქციის, ორგანიზაციული ფორმებისა და პროცესების დანერგვა. პოლიტიკა და ინსტიტუციები მუშაობს ისე, რომ მაქსიმალურად ეფექტური იყოს ცოდნის გაზიარება ყველა ინდივიდს შორის. მაგალითისთვის, აგრარული და კვების მრეწველობის სექტორები, როგორც წესი, წარმოდგენილია ცალ-ცალკე, მცირე საწარმოების სახით და მათი განვითარება საკმაოდ ნელი ტემპებით მიდის; თუმცა ცვლილებები სწრაფად ხდება,

როდესაც ეს ორი სექტორი მჭიდროდ და კონსოლიდირებულად იწყებს მუშაობას (Innovation in the food and agricultural industries: a complex adaptive system. By Michael Boehlje, Stefanie Broring and Maud Roucan-Kane. Working paper #09-19 December 2009 Dept. of Agricultural Economics. Purdue University).

ინოვაციების დანერგვა აგრარულ სექტორში აუცილებელია მსოფლიოს წინაშე არსებული ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორცაა კლიმატის ცვლილება, გლობალური დათბობა,

სურსათის ხელმისაწვდომობა, ენერგეტიკული, ეკოლოგიური და უსაფრთხოების საკითხები. ყოველივე ზემოთქმულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ცოდნის ხელმისაწვდომობით, რომელიც უნივერსიტეტიდან იწყება. უნივერსიტეტი უნდა გახდეს ინოვაციების და ქვეყნის მდგრადი განვითარების პროგრამების შემუშავების ძირითადი ბაზა. განვითარებისთვის აუცილებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების როლის გაძლიერება და ამ საქმეში მეტი რესურსების მობილიზება.

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
გიორგი გაგოშიძე	მიმართულების რედაქტორი
მარინე ბუაჩიძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ზაზა კირთაძე	ლოგისტიკის სპეციალისტი
ანდრო გაფრინდაშვილი	პროგრამისტი
გიორგი მახარაშვილი	პროგრამისტი



ქიული შარბაძე 1944-1993 წ.

ეროვნული გმირი, წმინდა გიორგის ოქროს, ვახანგ შორგასლის პირველი ხარისხის და სხვა ორდენების ჯავლანი, გენერალ-მაიორი

2014 წელს საქართველოს ბაქენიან უნივერსიტეტში დაფუძნდა ქიული შარბაძის სახელობის სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. ქიული ამავე უნივერსიტეტის წარმომადგენელი სტუდენტი და ასპირანტი იყო. მოგვიანებით მან აწვა დანიშნა დისკრავიის მართვის უფლებამოსის საპროცედურა, ხელისუფლებაში ყოფნისას ის ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა მემორიალთან. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მემორიალთა ქსედი, დაფუძნდა ჯერ ახალგაზრდული პრობლემათა შემსწავლელი, ხოლო შემდეგ - საზოგადოებრივი ურთიერთობების, ფორმირების და პროგრესირების სამეცნიერო ცენტრები. მისი ავტორობით სახელმწიფო მმართველობით საქმიანობაში პირველად დანიშნა სისტემური ანალიზის მეთოდი, ე.წ. „სისანი“, რომელმაც მთლიანად შეცვალა ქვეყნის რეგონალური საქმიანობის შეფასების და მართვის არსებული პრაქტიკა. ქიული შარბაძის სახელთანა დაკავშირებული შავნაბაძე „ახალგაზრდული ქალაქის“, გდ. ვერის მიმდებარე ტერიტორიაზე „გინკოს“, ხოლო მოგვიანებით რუსთაველი უნივერსიტეტის საპროგრესო რეინტეგრაციის მხარდობა, რომლის გაშენებაც მისი ბოლოდროინდელი დანიშნა პირდაპირი გმირობის ბოლოდროინდელი იყო. მისი თაოსნობით აგებული მემორიალური ძეგლები „მთელ ხილვა“ და რუსში ქართველ-აფხაზთა და მთლიანად აფხაზეთის მემორიალის სიგელოდ იყვნ. ქიული შარბაძის სახელმწიფო მოღვაწეობა „არავი მმართველობის“ შესანიშნავი მაგალითია, ხოლო გარდაცვალება - სამეცნიერო უსახლმწიფო შეფასებული ვახანგის გმირული ნაბიჯი. მისი მოგაგონებრივი მხროვნება დირექტურად შეფასა მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს ხათალიანო-ვატრინარმა ილია მორავი, რომელსაც განცხადდა, რომ მან „ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მძიმე, ურთულეს დროში, იმხროვნა ისა, თითქმის მთელ ტერიტორიას დაუბრუნდა სახათარ თავში“.



ქიული შარბაძის სახელობის სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა ახორციელებს უმადლესი აკადემიური განათლების მისამდე საფასურის (დოქტორანტურა) პროფესიულ სახანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს; ახრთვეთ ეფავა აქტიურ საქმიანობას ახალგაზრდა პოლიტიკოსების და საჯარო მოხელეების მომზადების, პროფესიონალური გაღმარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების ორგანიზაციის მიმართულებით.

#4 2015 ქართული პოლიტიკა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 0175, საქართველო, თბილისი, ვახტანგის ქ. 77 3ბ; doctoralschool.ge
ელ-ფოსტა: info@doctoralschool.ge ტელ: 571 169 992, 595 59 23 50